"ძალოვნები" საპარლამენტო რინგზე არ გამოცხადდნენ

A2

რომან აბრამოვიჩს საფრანგეთის სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს

A7

მიხო ნანეიშვილის ნაამბობი

B5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხარასკევი, 3 ივნისი, 2005 წელი. №123 (983)

ფასი 50 თეთრი

დსთ - „ფოთოლი შიშველ საბჭოთა სხეულზე"

დღის შეკითხვა: *რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ საქართველოს ყოფნა დსთ-ში, აქვს თუ არა ამ ორგანიზაციაში ჩვენს ყოფნას პერსპექტივა?*

ვერიკო თევზაძე

კახა კაციტაძე, *ექსპერტი:*

დსთ არის მკვდრადშობილი ორგანიზმი. რუსებს ეგონათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დროებითი მოვლენა იყო. დსთ-ს ისინი უყურებდნენ, როგორც დროებით ინსტრუმენტს, რომელიც მერე ისევ იმპერიად გარდაიქმნებოდა. ბოლო დროს რუსებს ამის რწმენა ხელიდან გამოეცალათ.

პირადად მე ამ ორგანიზაციას სერიოზულად არ აღვიქვამ. უფრო სერიოზული იქნებოდა, ამავე სივრცეზე ფილატელისტთა ან ბუკინისტების კავშირი რომ შექმნილიყო. ბოლოს და ბოლოს, წიგნებს უფრო იაფად შევიძენდით.

ზურაბ დავითაშვილი, *პარლამენტარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე:*

ვერ გეტყვით, რომ დსთ-ში ყოფნა ძალზე პერსპექტიულია და მის მომავალს ნათელ ფერებში ვხედავ. მიუხედავად ამისა, გაუმართლებლად მიმაჩნია, ამ ორგანიზაციის დემონსტრაციულად დატოვება. ეს არაფრის მომცემი არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, დე-იურედ იგი არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. მართალია, აქ წამყვანი როლი რუსეთს უჭირავს, მაგრამ პროტესტის ფორმას მაინც არასწორად მივიჩნევ.

ჯერ ერთი, დასავლეთი ამ ფაქტს სულაც არ შეაფასებს ისე, თითქოს ვაჟკაცური ნაბიჯი გადავდგით; მეორეც, დსთ-დან გამოსვლამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ შეღავათიანი ფასები, რომლითაც ენერგომატარებლებზე ვსარგებლობთ, მსოფლიო ბაზრის ფასებამდე გაიზარდოს. დღეს დსთ-ს წევრი ქვეყნების მიმართ ფუნქციონირებს გარკვეული შეღავათიანი რეჟიმი ვაჭრობაში და საქონელგაცვლაში. გარდა ამისა, რუსეთს თუ არ ჩავთვლით, დსთ-ს სხვა ქვეყნებს შორის სავიზო მიმოსვლა არ არსებობს. ჩვენი მოსახლეობისთვის ესეც ხელსაყრელია.

დსთ ზოგჯერ პოლიტიკურ ტრიბუნადაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. დაბოლოს, რუსეთს არ შეუძლია, დსთ თავის მონამორჩილ ორგანიზაციად აქციოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

სოციალურად დაუცველი საზღვრის დამცველები

ვერიკო თევზაძე
ჰაატა ცნობილაძე

ქართველ მესაზღვრეებს დაკემსილი ტანსაცმელი აცვიათ, მათი საკმაო ნაწილი საველე პირობებში იმყოფება. ქიზიყში საზღვრის დამცველები რკინის ვაგონებში ცხოვრობენ. ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთზე ელემენტარული ჰიგიენური წესების დაცვის საშუალება არ არსებობს. ერთი სიტყვით, ადამიანები, რომელთაც საზღვრის დაცვა ევალებათ, სახელმწიფოსგან სოციალურ დაცვას თავად საჭიროებენ.

"როგორ გამოიყურება, როგორ არის შემოსილი ყველაზე ღარიბი მესაზღვრე?" - ამ შეკითხვაზე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სახმელეთო საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი კორნელი სალია ასეთ პასუხს იძლევა: **"აცვია დახეული შარვალი, რომელიც რამდენიმე ადგილზე არის დაკემსილი. ფეხსაცმელიც დაზიანებული აქვს. ფეხსაცმელი ჩვენთვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს."** სალიას განმარტებით, მთის პირობებში ჯარისკაცებს "ბატინკები" ვადაზე ბევრად ადრე უცვდებათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

სადაც ეს ბიჭები მსახურობენ, ისევ თოვლი დევს, მათ კი ფეხსაცმლის პრობლემა აქვთ.

ევროკონსტიტუციის კიდევ ერთი მარცხი

ევროპის ახალ უზენაეს კანონს არც ნიდერლანდებში სწყალობენ

ხათუნა გაბიევი

ჰოლანდიელებმა ფრანგების კვალდაკვალ რეფერენდუმზე ევროპის ახალი კონსტიტუციის პროექტი ჩააგდეს. ქვეყნის ხელისუფლების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მოსახლეობამ ახალი უზენაესი კანონის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა. "სი-ენ-ენ"-ის შეფასებით, ევროპელი ლიდერები ევროკავშირის კონსტიტუციის მომავლის გამო აგონიაში არიან ჩავარდნილნი.

"ეს საშიში დამოკიდებულებაა. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება, ვაჩვენოთ დანარჩენ მსოფლიოს უკეთესი მომავლისაკენ ერთსულოვნება. ახლა ევროპისათვის რთული დროებაა, მაგრამ თავის დაღწევა ამ მდგომარეობიდან ევროპას მხოლოდ საკუთარი ძალებით შეუძლია," - აცხადებს ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი ჟანკლოდ იუნკერი.

გაგრძელება A5 გვერდზე

"ჰოლანდიელმა ხალხმა ფრანგების მსგავსად კონსტიტუციის ხელშეკრულების რატიფიცირებაზე უარის თქმა ამჯობინა", - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუმ.

ურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A8

ამინდი

	3/6	4/6	5/6
თბილისი	25	22	23
ქუთაისი	21	22	21
ბათუმი	16	17	20
სოხუმი	21	23	21
ფოთი	20	21	20
თელავი	25	21	23
ზუგდიდი	22	23	21
გორი	20	18	21
ახმეტა	25	21	24
ჭიათურა	19	21	21
გაგრა	22	23	23
სამტრედია	21	22	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8299
ევრო	2.2868
ბირვანქა სტერლ.	3.3265
რუბლი	0.0649

A

ამბები	A2
პოლიტიკა	A3
საზოგადოება	A4
უცხოეთი	A5
ეკონომიკა	A6
სამართალი	A7
ფოსტა	A8

B

რევიუ	B2
რევიუ	B3
სპორტი	B4
სპორტი	B5
ტენდერი	B6
TV პროგრამა	B7
სხვადასხვა	B8

ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული პროცესი - არჩევნები

არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადება

დღეს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს. ახალი ცესკო-ს შემადგენლობა და ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დიდია საქართველოს ახალი ხელისუფლების მონდომება, ხელი შეუწყოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. დღესდღეობით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცესკო-სადმი საზოგადოების ნდობის უნზრუნველყოფას. ეს ნდობა განმტკიცდება, თუ ცესკო-ს გარშემო გამართულ განხილვებსა და კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს არა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობა, არამედ ოპოზიციაც.

2003 წლის ნოემბრის რევოლუცია იყო ქართველი ხალხის პასუხი არჩევნების მასობრივ გაყალბებაზე. ამ რევოლუციის შედეგად ძალაუფლებაში მოსული ხელისუფლების მოვალეობაა, აჩვენოს საზოგადოებას, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი არჩევნების სამართლიანობას და ამ პროცესისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას. ჩვენ მივმართავთ პარლამენტს თხოვნით, დაუჭქარებლად წარმართოს ცესკო-ს დამტკიცების პროცესი და საზოგადოებას მისცეს საშუალება, უკეთ გაეცნოს წარმოდგენილ კანდიდატურებს და შეიქმნას მათზე სწორი შეხედულება. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა მეტი დრო დაუთმოს იმის გადაწყვეტას, თუ ვის დაეკისრება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული პროცესის - არჩევნების - ადმინისტრირების პასუხისმგებლობა და გამოიჩინოს დამატებითი ძალისხმევა, განხილვებში ოპოზიციის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

"ახალი თაობა - ახალი ინიციატივა";
არასამთავრობო ორგანიზაცია
"კონსტიტუციის 42-ე მუხლი";
"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო";
"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება"

წყალში გადაყრილი ფული და აფხაზური პასპორტები

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის ალექსანდრე ანქვაბის განცხადებით, უკვე გამზადებული, აფხაზეთის ეროვნული პასპორტების გაცემა არ მოხდება. ბლანკები მზად არის, პროექტი სახელმწიფო ხაზინას, სხვადასხვა ოფიციალური პირების შეფასებით, 600-დან 800 ათას დოლარამდე დაუჯდა, მაგრამ ბოლო მომენტში გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს გამზადებულ მაკეტში სერიოზული შეცდომებია. მაგალითად, არსად წერია, რომ დოკუმენტი აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტს წარმოადგენს. ყველგან არის ნახსენები "აფხაზეთი", თუმცა, წარმონაქმნის სახელმწიფო სტატუსი მითითებული არ არის. ძირითადად, ამ შეცდომის გამო, პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ დახარჯული თანხა წყალში ჩაყრილად უნდა ჩაითვალოს და მთელი პროცესი თავიდან დაიწყოს. თავის მოსაზრებას ალექსანდრე ანქვაბი მსოფლიო პრაქტიკით ამართლებს, აგრეთვე, იურიდიული კოლიზიების შესაძლო გაჩენით.

გაგრძელება A3 გვერდზე

დღეს თბილისში დსთ-ს პრემიერ-მინისტრების სამიტი იწყება

დღეს დილით თბილისში, 9.30 საათზე დსთ-ს სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა სამიტის ოფიციალური ნაწილი გაიხსნება.

სამიტს დაესწრება დსთ-ს წევრი ქვეყნების მთავრობების ცხრა მეთაური, რომლებიც განიხილავენ და ხელს მოაწერენ 34 დოკუმენტს, რომელიც ძირითადად შეეხება დსთ-ს ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას.

დღეს მთავრობების მეთაურები შეხვედრას გამართავენ საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან.

დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა მეთაურების სამიტს "შერატონ მეტეხი პალასი" მასპინძლობს. სამიტის გასაშუქებლად თბილისში სამოცდაათამდე ჟურნალისტია ჩამოსული.

24 საათი

სააკაშვილი და ტიმოშენკო კახეთში გაემგზავრნენ

გუშინ თბილისში ჩამოვიდა უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო, რომელიც დსთ-ს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების სხდომაში მიიღებს მონაწილეობას.

მას აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დახვდა.

ორდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ტიმოშენკო ორმხრივ შეხვედრებს გამართავს. გავრცელებული ინფორმაციით, ის შეხვდება რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხეილ ფრადკოვსაც, რომელსაც ასევე თბილისში ელოდებიან. დაუზუსტებელი ინფორმაციით კი, რუსეთის პრემიერი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, შესაძლოა თბილისში ვერ ჩამოვიდეს.

ტიმოშენკო შეხვედრებს გამართავს ასევე საქართველოს, ყაზახეთის და ბელორუსის პრემიერ-მინისტრებთან. ის შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს. გუშინვე მიხეილ სააკაშვილი და იულია ტიმოშენკო კახეთში გაემგზავრნენ.

მედიანიუსი

ბაბაფში ზომებს ამკაცრებს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში გალის რაიონის უსაფრთხოებაზე ზრუნავს. „რაიონში რთული სიტუაციაა, ამიტომ, აქ უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა, პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ ანქვაბი და შინაგან საქმეთა მინისტრი მოვიწვიე", - განაცხადა გალის რაიონის აქტივთან შეხვედრის დროს სერგეი ბაგაფშმა. გალელებს მან აცნობა, რომ ახლახან აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ ქართულ-აფხაზური საზღვრის უსაფრთხოების გამკაცრების, საკონტროლო-გამშვები პუნქტის - „ენგურის" და რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაობის დახვეწის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

„ბოლო პერიოდში გალის რაიონში ბანდიტიზმი ინტერნაციონალური გახდა. ვიღაცას სურს, მსოფლიოს დაანახოს, რომ ამ მოსაზღვრე რაიონში აფხაზეთის ხელისუფლება სიტუაციას ვერ აკონტროლებს, თითქოს აქ ადამიანის უფლებები ირღვევა. გალში სტაბილურობის შენარჩუნებისთვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ," - აცხადებს სერგეი ბაგაფში. გალში ადამიანის უფლებათა გაეროს ოფისის გახსნის შესახებ ბაგაფში ამბობს, რომ ეს ჯერ არ მოხდება, რადგან აფხაზეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილება არ მიუღია. ბაგაფშის თქმით, ახლო მომავალში გალის რაიონის დაბალ ზონაში საზღვრის გადაკვეთის რეჟიმი უფრო მოწესრიგდება. „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ შემოდის გალში საქართველოს ტერიტორიიდან. არ უნდა დავუშვათ კრიმინალების თარეში, რომლებიც ხალხს პროდუქტს, ფულს ძალავენ და ადამიანებს იტაცებენ," - აცხადებს სეპარატისტთა ლიდერი. ის ადგილობრივ მილიციის მუშაობითაც უკმაყოფილოა. „მილიციის პოსტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ უნდა იდგეს და მილიციის თანამშრომლები ხალხს ფულს არ უნდა ართმევდნენ," - განაცხადა ბაგაფშმა მისი ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრის გასაგონად, რომელსაც დაემუქრა, რომ, თუკი მდგომარეობა არ გამოსწორდება, პირადად აგებს პასუხს.

მედიანიუსი

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის განცხადება ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მიერ 26 აპრილს საწვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში შპს "კანარგო-სტანდარტ ოილი" გამარჯვებულად გამოცხადდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლებების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:

98-57-81

"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.

პირობები:

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58

"ძალოვნები" საპარლამენტო რინგზე არ გამოცხადდნენ

"ბრძოლა" მომავალი პლენარული კვირისთვის გადაიდო

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიცია ამაოდ ელოდა პარლამენტში ძალოვანი უწყებების პირველი პირების გამოჩენას.

საპარლამენტო ოპოზიცია საკანონმდებლო ორგანოში ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელთა გამოცხადებას გუშინ მოუთმენლად ელოდა. სამთავრობო საათის დაწყების მოლოდინში, ხელისუფლების ოპონენტები მინისტრებს მუქარას უთვლიდნენ. **"ვანო მერაბიშვილი ბევრს ვარჯიშობს და ბრიფინგებს ხშირად მართავს, თუმცა, მხოლოდ წუთი-წუთნახევარი ახერხებს გამართულად ლაპარაკს. ვნახოთ, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ვერსიებზე პარლამენტში როგორ ისაუბრებს,"** - პირადად შინაგან საქმეთა მინისტრი ჰყავდა ამოლებული მიზანში დავით ბერძენიშვილს.

თუმცა, ოპოზიციას იმედი გაუცრუვდა. ვანო მერაბიშვილმა, ირაკლი ოქრუაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა პარლამენტში თავიანთი მოადგილეები გაგზავნეს, რაც ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალების გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა - ისინი მხოლოდ პირველი პირების "თავებს" ითხოვდნენ. მით უმეტეს, სადეპუტატო შეკითხვები სწორედ მერაბიშვილის, ოქრუაშვილისა და ადეიშვილის სახელზე იყო "გაფორმებული". ამიტომ, ბოლოს, უმრავლესობა და ოპოზიცია შეთანხმდნენ, რომ შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, გენერალურ პროკურორთან ერთად, პარლამენტართა "ცნობისმოყვარეობას" მომდევნო პლენარულ კვირაში დააკმაყოფილებენ.

ძალოვანი უწყების ხელმძღვანელთა არყოფნის პირობებში, გუშინ დეპუტატთა ყურადღების ცენტრში ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური მოექცა. იგი პარლამენტში "კონსერვატორებმა" "დაპატიჟეს", რათა გამრიცხველიანების პრობლემებზე ესაუბრა. კანონმდებლების უკმაყოფილება, ძირითადად, იმით იყო განპირობებული, რომ რეგიონებში მიმდინარეობს საერთო, კომუნალური მრიცხველებს დამონტაჟება, რაც, ხშირად, მოსახლეობის ერთმანეთთან დაპირისპირების მიზეზი ხდება.

პარლამენტართა თქმით, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური რამდენიმე ათეულ ოჯახზე ნაწილდება, ზოგიერთებმა ამით ისარგებლეს და დენის წყაროზე სახეირო ქარხნებიც კი მიაერთეს, რაც საგრძნობლად ზრდის გადასახადს და, შესაბამისად, სხვა მომხმარებლების პროტესტს იწვევს.

"თუ როგორ გაამართლეს საბჭოურმა კომუნებმა, ყველამ კარგად ვიცით. საეჭვოა, რომ ეს გამოცდილება ენერგეტიკაში გამოგვადგეს," - აცხადებს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე.

დეპუტატებს არც ის მოსწონთ, რომ გამრიცხველიანებისთვის მოსახლეობაში 30-30 ლარი იკრიბება, თანაც - თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გაცემის გარეშე.

"2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გამრიცხველიანებისთვის 20 მილიონი ლარია გამოყოფილი. როდესაც ბიუჯეტს ვამტკიცებდით, მაშინ მოსახლეობის მხრიდან გამრიცხველიანების თანადაფინანსებაზე სიტყვაც არ თქმულა," - გაოცებულია კობა დავითაშვილი. ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი გია მეფარიშვილი კი იმით არის აღშფოთებული, რომ მოსახლეობაში ასაკრეფი თანხის ოდენობა 22-25-დან 40 ლარამდე გაიზარდა. ამასთან, როდესაც თანადაფინანსებაზეა ლაპარაკი, თანადამფინანსებლის თუნდაც ფორმალური თანხმობაც კი არ არსებობს.

პარლამენტართა კრიტიკული პათოსის მიუხედავად, ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ რეგიონებში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება, დღევანდელ ეტაპზე, ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს. ნიკა გილაურის თქმით, "თელასს" თითქმის იმდენივე აბონენტი ჰყავს (დაახლოებით, 700 ათასი), რამდენიც დანარჩენ საქართველოშია. არადა, "თელასს" თბილისის 80 პროცენტის ინდივიდუალური გამრიცხველიანებისთვის 4-5 წელი დასჭირდა და ეს "სიამოვნება" 250 მილიონი დოლარი დაუჯდა.

"რეგიონების ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას დიდი დრო და ფული სჭირდება. ეს მეორე ეტაპის ამოცანაა. დღეს კი კომუნალური მრიცხველებით უნდა შემოვიფარგლოთ," - უხსნის ოპონენტებს ენერგეტიკის მინისტრი, რომელიც დეპუტატებს ერთ საინტერესო "თეორიასაც" აცნობს: თურმე, როდესაც მოსახლე ელექტრომრიცხველში 30 ლარს იხდის, თანამფლობელის განცდა უჩნდება და მრიცხველს აღარ აზიანებს.

თუ ძალოვნების გამოუცხადებლობის გამო, სამთავრობო საათი "არსარულფასოვანი" გამოდგა, სამაგიეროდ, კანონშემოქმედებითი თვალსაზრისით, გუშინდელი დღე საკმაოდ ნაყოფიერი იყო: დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს კანონში "საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ", რომლის თანახმადაც, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ასევე აშშ-ს, იაპონიის, კანადის, ისრაელის და შვეიცარიის მოქალაქეებისთვის, საქართველოში 90 დღემდე მგზავრობისთვის, ცალმხრივი უვიზო რეჟიმი წესდება. გარდა ამისა, მიღებული იქნა კანონები "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ და სხვა.

„პროფკავშირები ტულუში არ არის"

პროფკავშირების გაერთიანების დატოვებას კიდევ 13 ორგანიზაცია აპირებს

ნანა ნიჟარაძე

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე გაერთიანებაში შემავალი 13 ორგანიზაცია, სავარაუდოდ, სპეციალურ განცხადებას გააკეთებს. მომსახურების სფეროს (22 ათასი წევრი), სოფლის მეურნეობის (20 ათასი), საჯარო მოსამსახურეთა (38 ათასი), კავშირგაბმულობის (14 ათასი), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (40 ათასი), რკინიგზის (18 ათასი), ქიმიკოსთა (7 ათასი), ავტოსტრანსპორტის (7 ათასი), მანქანათმშენებლობის (2 500), აეროპორტის (2 900), ნავთობისა და გაზის სფეროს (7 500), მეტალურგიის (7 ათასი), მეტროპოლიტენის (4 500) მუშაკთა პროფკავშირები გაერთიანების წინაშე ასეთ პირობას აყენებენ: **"იმ შემთხვევაში, თუკი ბ-ნი ი. ტულუში არ გააკეთებს განცხადებას გადადგომის შესახებ, ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციები მიიღებენ გაერთიანების შემადგენლობიდან გასვლის გადაწყვეტილებას."**

სპეციალური განცხადების მიხედვით, ამ ორგანიზაციების მოტივაცია შემდეგია: "საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებას არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება და საკმარისი ავტორიტეტი სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან ეფექტური დიალოგის წარმოებისა და მოვლენებზე ზემოქმედებისთვის"; "საქართველოს პროფკავშირული მოძრაობა ღრმა კრიზისში შევიდა, რის მიზეზთა შორის უმთავრესი გაერთიანების თავმჯდომარის ირაკლი ტულუშის უარყოფითი იმიჯია"; "ამის გამო პროფკავშირებმა დაკარგეს საზოგადოების ნდობა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ორგანიზაცია აბსოლუტურად იგნორირებულია, როგორც სოციალური პარტნიორი"; "გაერთიანების ხელმძღვანელმა, როგორი რთულიც არ უნდა იყოს მისთვის, უნდა გააცნობიეროს, თუ რა საფრთხის წინაშე აყენებს ორგანიზაციას, მის წევრებს და სასწრაფოდ უნდა გადადგეს თანამდებობიდან".

პირველი მერცხალი, რომელმაც ირაკლი ტულუშს ასეთი "ზამთრის დადგომა" ამცნო, განთლების მუშაკთა პროფკავშირი გახლდათ. იგი 128 ათას ადამიანს ითვლის. ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წევრთა სერთო რაოდენობა 180 ათასია. მარტივი არითმეტიკით, მათი გასვლით პროფკავშირების გაერთიანება, არც მეტი, არც ნაკლები, იშლება (ხმაურიანი საუბრები იმის თაობაზე, რომ ტულუშის ხელმძღვანელობით მოქმედი ორგანიზაცია 500 ათას წევრს ითვლის, თავად გაერთიანებაში იწვევს ღიმილს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ძალები პროფკავშირების კონფედერაციის შექმნაზეც სერიოზულად ფიქრობენ). რამდენად შეცვლის ყველაფერი ეს გაერთიანების საბჭოს დღევანდელი სხდომის დღის წესრიგს, მოგვიანებით გამოჩნდება.

კულუარული ინფორმაციით, ირაკლი ტულუში ამ სხდომაზე ვაკე-საბურთალოს გზაზე მდებარე ფარეხების კომპლექსისა და ქუთაისის ჭადრაკის სახლის გაყიდვის უფლების მოპოვებას შეეცდება. კიდევ ერთი საკითხი, რომლის თაობაზეც, შეიძლება, დღევანდელ საბჭოს მოხსენდეს, ჟენევაში დაგეგმილი ვიზიტია. იქ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მორიგ კონფერენციაზე, ირაკლი ტულუში საქართველოს მშრომელთა სახელით მიემგზავრება. გაერთიანების დასატოვებლად გამზადებული პროფკავშირების ლიდერების აზრით, არსებულ ვითარებაში, მას ამის უფლება არა აქვს. "საქართველოს მშრომელების სახელით მან არ უნდა ისაუბროს, ტულუში პროფკავშირები არ არის," – მიიჩნევენ ისინი.

ოცდათხუთმეტი შეჩერებული მშენებლობის ბედი

ნანა ქადაგიშვილი

გასულ წლებში შეჩერებული 35-მდე მშენებლობის მენაშენე, რამდენიმე თვეა, ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებას ელის. ზონალური საბჭოს მოწვევას (რომლის ხელმძღვანელიც ქალაქის პრემიერია და სადაც ამ მშენებლობების საბოლოო ბედი უნდა გადაწყდეს) ჯერ აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტმა შეუშალა ხელი, შემდეგ - მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციამ. მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურს აღნიშნული მშენებლობების პროექტების შეთანხმებული ვარიანტები უკვე მზად აქვს და ზონალური საბჭოს დანიშვნას ელის.

ეს მშენებლობები ქალაქის სხვადასხვა რაიონშია დაწყებული. აქედან, 10 მშენებლობის შეჩერების მიზეზი ის არის, რომ მშენებლობის ნებართვას ვადა გაუვიდა და ხელახლა დასამტკიცებელია. დანარჩენი მენაშენეები კი, უმთავრესად, მშენებლობის კოეფიციენტების მომატებას ითხოვენ. როგორც ქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან ლომინაშვილი აცხადებს, საქმე ეხება მხოლოდ ერთი-ორი სართულის მომატებას. მაგალითად, ჭავჭავაძის გამზ. №49-ში დაწყებული მშენებლობის მენაშენე ერთი სართულის მომატებას ითხოვს. დიღომში (16-სართულიანი კორპუსების მახლობლად) მშენებარე სახლის მენაშენეს K2 კოეფიციენტის 3-დან 4-მდე აწევა სურს. **"ამ მშენებლობებიდან სკანდალური არც ერთი არ არის. მენაშენეთა მოთხოვნა - K1 – K2 კოეფიციენტების მცირედ გაზრდა პრობლემას არ შექმნის,"** – აცხადებს ქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე.

ზონალურ საბჭოზეა გასატანი, აგრეთვე, ქალაქის სამი კვარტლის (წერეთლის ქუჩაზე, ვაჟა-ფშაველასა და მოსკოვის გამზირებზე) განაშენიანებისა და მზიურის სანაპირო ზოლის კორექტირების პროექტი. **"მზიურის ტერიტორიის შუაგული, წითელი ხაზების შიგნით, ხელუხლებელი დარჩება. საზღვრებზე კი განაშენიანების უფლებას გავცემთ. ამ ადგილებში 8-9 კორპუსის აშენება შეიძლება,"** – აცხადებს ლომინაშვილი.

ურბანული დაგეგმარების სამსახურმა აღნიშნული მშენებლობების პროექტების შესახებ საკუთარი წინადადებები, კარგა ხანია, მოამზადა. თუმცა, მშენებლობების ბედი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. საბოლოო სიტყვა ეკუთვნის ზონალურ საბჭოს, რომლის ჩატარებაც ვერა და ვერ მოხერხდა. როგორც საბჭოს ხელმძღვანელი, ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული აცხადებს, ზონალური საბჭოს მოწვევას ჯერ აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტმა შეუშალა ხელი, ახლა კი მერიაში მიმდინარე რეორგანიზაცია უშლის.

ასე რომ, მენაშენეებს მერიის რეორგანიზაციის დასრულებამდე ლოდინი მოუწევთ და გამორიცხული არ არის, ე.წ ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტის მომზადებაც კი მოესწროს. ურბანული დაგეგმარების სამსახურმა აღნიშნული ტერიტორიის რეკონსტრუქციაზე ქალაქგეგმარებითი დავალება უკვე გასცა და პროექტის მომზადებაც დაიწყო. ამ პროექტის მიხედვით, აგლაძის ქუჩაზე, ბაზრობის მაგივრად, საცხოვრებელი სახლები, საოფისე შენობები, სავაჭრო ცენტრები და უზარმაზარი პარკი იქნება.

მოკლედ

სააგენტო "ინტერ-პრესმა" მუშაობა შეაჩერა

საინფორმეციო სააგენტო "ინტერ-პრესმა" მუშაობა შეაჩერა.

"ინტერ-პრესის"თანამშრომელთა განცხადებით, მათ სააგენტოს დამფუძნებელთა გადაწყვეტილების შესახებ ხუთშაბათს დილით შეიტყვეს.

"ინტერ-პრესის" ინტერნეტ-საიტზე განთავსებული ინფორმაციით, ცნობილი ხდება, რომ სააგენტოს დახურვა ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ იყო გადაწყვეტილი, თუმცა მაშინ დამფუძნებლებმა სააგენტოს რამდენიმე თვით ფუნქციონირების საშუალება მისცეს.

როგორც "ინტერ-პრესის" კოლექტივი იუწყება, ამჯერად ხორციელდება სააგენტოს ლიკვიდაცია.

"ყოველთვის ვცდილობდით ობიექტურები, ოპერატიულები ვყოფილიყავით და სრულყოფილი ინფორმაცია მოგვეწოდებინა თქვენთვის, რაც ზოგჯერ გამოგვდიოდა და ზოგჯერ არა. როგორც ჩანს, მხოლოდ პროფესიონალიზმზე ზრუნვა და განვითარების კენ სწრაფვა საკმარისი არ არის. გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა ჩვენს კონტრაქტორს და მომხმარებელს, რომლებიც გვენდობოდნენ და სჯეროდათ ჩვენი. მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც წვლილი შეიტანა "ინტერ-პრესის" გაზრდა-განვითარებაში",- იუწყება "ინტერ-პრესი"

საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესი" 2001 წელს დაარსდა. 2002 წლის ზაფხულიდან დღემდე იყო მედია-ჰოლდინგ "ი-მედიას" წევრი. "ინტერ-პრესის" სამეთვალყურეო საბჭომ 2005 წლის 1 ივნისს სააგენტოს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და სომხეთის პრემიერ-მინისტრთან ანდრონიკ მარგარიანმა პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზის მშენებლობის საკითხი განიხილეს.

„სომხეთის მხარე იცნობს ჩვენს ახალ ინიციატივებს ამ საკითხთან დაკავშირებით და მათ გაგებით ეკიდება", - განაცხადა ბურჯანაძემ.

საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე გაბაშვილის თქმით, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრისას ანდრანიკ მარგარიანმა სომხური ეპარქიისთვის იმ სომხური ეკლესიის დაბრუნების საკითხი დასვა, რომელიც მოგვიანებით ქართულად გადაკეთდა. კერძოდ, ლაპარაკია თბილისში ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ეკლესიაზე.

„არ ღირს ცარიელ ადგილას პრობლემების შექმნა. თუ ადამიანები რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ამ ეკლესიებში დადიოდნენ, მათ ამის უფლება კიდევ უნდა მივცეთ", - მიაჩნია კოტე გაბაშვილს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი გიგა ბოკერია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მის ძმასთან გიორგი ჟვანიასთან ტელედებატების გამართვას არ აპირებს.

"მე ჭირისუფლებთან დებატებში არ შევდივარ და ძალიან მიკვირს, რომ ვინმემ, განსაკუთრებით კი ჟურნალისტებმა, სერიოზულად მიიჩნიეს, რომ შეიძლება ჭირისუფალთან პოლიტიკური დებატების გამართვა," - განაცხადა მან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 142-ე ჯავშანსატანკო სარემონტო ქარხნის ქართული მხარისათვის გადმოცემა დაიწყო. რუსებმა ქარხანა ქართულ მხარეს 15 ივნისამდე უნდა გადასცენ, რასაც 30 მაისს მოსკოვში საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს.

მეორე დღეა, ქარხნაში საქართველოსა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების ერთობლივი ჯგუფი ქონების აღწერას აწარმოებს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სარემონტო ქარხანა ქართულ მხარეს სწორედ ქონების ზუსტი რაოდენობის აღწერის შემდეგ გადაეცემა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, ამ პროცესში ვადები სრულად იქნება დაცული. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

აფხაზეთში ელექტროენერგიის ფასი გაიზრდება

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოსახლეობისა და საწარმოებისათვის ელექტროენერგიაზე ტარიფი გაიზრდება. პირველი ივლისიდან ერთი კილოვატ-საათის ღირებულება 30 კაპიკი გახდება. დღეს ეს ტარიფი რვა კაპიკს შეადგენს.

ქვეყნის ენერგოსისტემა საშინელ მდგომარეობაშია. სახელმწიფო საწარმო "ჩერნომორენერგოს" გათვლებით, დენის მოხმარებამ ომისწინანდელ დონეს მიაღწია. თუმცა, ორი ათეული წლის განმავლობაში გაურემონტებელ ეგერგოსისტემას მწყობრიდან გამოსვლა ემუქრება. ამის მიუხედავად, მთავრობა იძულებული გახდა, საზოგადოებრივი აზრი ტარიფის მოსალოდნელი ზრდისთვის საკმაოდ დიდხანს ემზადებინა. ტელევიზიით გადაცემების მთელი სერია გავიდა, გაზეთების ფურცლებზეც ბევრი სტატია დაიწერა.

იმის მიუხედავად, რომ მომავალი ტარიფი, რომელიც 30 კაპიკს შეადგენს, სამჯერ და მეტჯერ აღემატება მოქმედ ტარიფს, იგი მაინც ვერ ფარავს ელექტროენერგიის თვითღირებულებას, რომელიც 43 კაპიკს შეადგენს. დარგის სახელმწიფო დოტაციის საკითხი კი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. ამის მიუხედავად, "ჩერნომორენერგო" მიესალმება მთავრობის ამ გადაწყვეტილებას. ფასების გაზრდა საბრუნავი კაპიტალის მოცულობის ზრდას გამოიწვევს, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში, რამდენიმე მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზისა და ქვესადგურის რეკონსტრუქცია განხორციელდეს. ამავე დროს, "ჩერნომორენერგოში" მთავრობის დახმარებასაც ელიან, რომელმაც მოვალეებიდან თანხების ამოღების მექანიზმი უნდა შეიმუშაოს. ორგანიზაციაში იმედოვნებენ, რომ ამ საქმეში სამართალდამცველებიც ჩაერთვებიან. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, დღემდე თავად სახელმწიფო კომპანიისა და ფისკალური ორგანოების მიღწევები, დავალიანებების ამოღების თვალსაზრისით, არცთუ დიდია. თავად ვალი ათეულობით მილიონ მანეთს შეადგენს.

ტარიფის გასაზრდელად, მთავრობას კიდევ ერთი მოტივიც აქვს. იმ ინფორმაციის თანახმად, რომელსაც მთავრობაში ფლობენ, აფხაზეთს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვა, შესაძლოა, თავად მოუწიოს. აქამდე ამას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი აკეთებდა. ამიტომაც ელექტროენერგიაზე საკმაოდ დაბალი ტარიფი შენარჩუნებული იყო. ამავე დროს, ენგურჰესიდან მიღებული ელექტროენერგიის მოცულობა მუდმივი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად საკმარისი იყო. თუკი ელექტროენერგიის აფხაზურ წილს ქვეყნის ბიუჯეტიდან გადაიხდიან, ეს რესპუბლიკაში მასშტაბურ ენერგოკრიზისს გამოიწვევს. ეკონომისტებს ჯერ არ დაუთვლიათ, რა თანხა დაუჯდება ბიუჯეტს ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, მაგრამ ზოგიერთი შეფასების თანახმად, ამაზე, ყოველწლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტის არანაკლებ 90 პროცენტი წავა.

"ჩერნომორენერგო" მთავრობას კრიზისიდან გამოსვლის რამდენიმე გეგმას სთავაზობს - ან ტარიფის იმ ნიშნულამდე გაზრდა, რომელიც წარმოებული ელექტრონერგიის თუნდაც თვითღირებულებას დაფარავს, ან სახელმწიფო კომპანიის აქციონირების სქემის შემუშავება და დარგში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

გოცირიძემ რუსეთში მორიგი წერილი გაგზავნა

რომან გოცირიძე რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარეს აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის კომერციულ ბანკების უკანონო საქმიანობის თაობაზე რეაგირებისათვის კიდევ ერთხელ მიმართავს და დამატებით მასალებს უგზავნის.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ცნობებზე დაყრდნობით, წერილში აღნიშნულია, რომ რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, ბანკ „მოსკოვის“ სოჭის ფილიალის დირექტორი ბაირამოვი, ამავე ბანკის ინკასაციის სამსახურის უფროსი რეილიანი ქ. ადლერის საპენსიო ფონდის ხელმძღვანელთან მოლაპარაკებების საფუძველზე რუსული პენსიების აფხაზეთში მოქმედი ბანკების მეშვეობით გაცემაზე შეთანხმდნენ.

რომან გოცირიძე სერგეი იგნატიევს რუსული ბანკების საერთაშორისო სამართლისა და ნორმების ფარგლებში მოქმედებებისაკენ მოუწოდებს.

24 საათი

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა“ თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
„ხალხის გრიბუნა“ ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე

პარლამენტარები და მძღოლები ღვედებით "დაბმას" აპროტესტებენ

წამყვანი: სოფო ოხანაშვილი

ინტერაქტიული შეკითხვა: საჭიროა თუ არა მანქანის მართვისას უსაფრთხოების ღვედების გამოყენებისა და მობილური ტელეფონების აკრძალვის დაკანონება?

პირველი მსმენელი: უსაფრთხოების ღვედების ზომარება აუცილებლად უნდა დაკანონდეს. სასურველია, რომ არა მარტო წინ მსხდომებისათვის იყოს სავალდებულო, არამედ ხუთივე მგზავრისათვის. რასაკვირველია, საჭესთან მობილური სარეებლობაც უნდა აიკრძალოს.

მეორე მსმენელი: ღვედები არც ქალაქში და არც მაგისტრალზე არ არის საჭირო. მძღოლი ხომ უნდა იყოს ყველაფრისათვის მზად. რამე უბედური შემთხვევა რომ მოხდეს,ცუდ გადახდება, დაბმულია. რაც შეეხება მობილურ ტელეფონებს, ეს კი ნამდვილად უშლის ხელს მძღოლს.

მესამე მსმენელი: 35 წელია მანქანას ვმართავ, ახლაც მანქანიდან გელაპარაკებით, ამ ხნის განმავლობაში ვრთი წაწილაც არ გამიგანია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ვინც მძღოლობა იცის,მას ღვედები არ სჭირდება. ობიექტური ტელეფონები კი ნამდვილად პრობლემაა.

ინტერაქტივის შედეგი: ინტერაქტივში მონაწილეობა მიიღო 11 მსმენელმა. აქედან მანქანის მართვისას უსაფრთხოების ღვედების გამოყენების დაკანონების მოწინააღმდეგეა რვა მსმენელი,მომხრე სამი. 11-ეე მსმენელმა ერთხმად დაუჭირა მხარი მანქანის მართვისას მობილური ტელეფონების აკრძალვის დაკანონებას.

სოციალურად დაუცველი საზღვრის დამცველები

პირველი გვერდიდან

"ფორმები, ბალიშები, ლეიბები და ყველაფერი ის, რასაც რბილ ინვენტარს ეძახიან, ოფიცერთა შემადგენლობისათვის წლების განმავლობაში არ მიგვიცია," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსმა ეკა გიგაურმა. დღეისათვის ქართველი მესაზღვრეები, პოლიციურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პოლიციის აკადემიაში სპეციალიზაციას გადიან. შესაძლოა, რეფორმა მათ, გადამზადების, განათლების მიღების გარდა, შემოსვაშიც დაეხმაროს. ყოველ შემთხვევაში, მწირი ბიუჯეტის პირობებში, ეკა გიგაური იმედებს დონორებზე ამყარებს: **"შეიძლება, მოვახერხოთ და უცხოელებს ავუხსნათ, რომ ახალი პოლიციური ფორმები რეფორმირებული მესაზღვრეების მენტალიტეტზე დადებითად იმოქმედებს."** თუ ეს იმედები რეალობად იქცა, მენტალიტეტს თავი რომ დავანებოთ, საზღვრის დამცველებს ახალი ტანისამოსის ჩაცმა მაინც ეღირსებათ და, როგორც იტყვიან, ერთდროულად ორ კურდღელს დავიჭერთ.

პრობლემები მხოლოდ და მხოლოდ ფორმებს როდი უკავშირდება. ეკა გიგაურის განცხადებით, პრაქტიკულად, ყველა საგუშაგო სავალალო მდგომარეობაშია: **"შენობები სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. თუმცა, ჯერჯერობით რაიმე პერსპექტივა არ ჩანს, რომ მოკლე ხანში მშენებლობა ან სერიოზული სარემონტო სამუშაოები დაიწყოს."** საერთო უბადრუკი ვითარების ფონზე, გამორჩეულად მძიმე მდგომარეობაა ჩრდილოეთ სასზღვარზე და უდაბნოში.

როგორც კორნელი სალიამ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთზე საზღვრის დამცველები საველე პირობებში იმყოფებიან: **"აქ დღეისათვის უპირველესი და უმთავრესი პრობლემა არის საგუშაგოების მოწყობა. ამ მონაკვეთზე განთავსებულ არც ერთ საგუშაგოში ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული. ელემენტარული ჰიგიენური პირობების დაცვა ჭირს. მესაზღვრეებს თავის დროზე აბანოს მიღების საშუალება არ ეძლევათ. აქ, პრაქტიკულად, საველე პირობებში იმყოფებიან."**

ასე გამოიყურება სასაზღვრო საგუშაგო დარიალის ხეობაში.

გურამ აბესაძის ფოტო

საზღვრის დაცვის სისტემაში ერთგვარ ოაზისად შეიძლება წარმოვიდგინოთ წითელ ხიდზე გახსნილი საკონტროლო გამშვები პუნქტი. **"პუნქტის მახლობლად ამერიკელების მიერ აშენებული კოტეჯებია. იქვეა სპორტდარბაზი, სამედიცინო მომსახურების პუნქტი. აქაურობა, შეიძლება, მთლად ევროპულ სტანდარტებს ვერ შეესაბამებოდეს, მაგრამ არც ბევრად ჩამოუვარდება,"** - დასძენს ეკა გიგაური. ყველაზე უბადრუკად ქიზიყში ჩადგმული ვაგონი გამოიყურება. რკინის ოთხი კედელი, რომელიც 21-ე საუკუნის ქართველ მესაზღვრეს ერგო, დაწვრილებით აღწერას ნამდვილად არ საჭიროებს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა თამამად აცხადებს, რომ ერთადერთი, რისი პრობლემაც ქართველ მესაზღვრეებს არ აწუხებთ, საკვებით უზრუნველყოფაა. თუმცა, როცა ბიუჯეტის სიმცირესა და უსახსრობაზეა საუბარი, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რამდენად რაციონალურად ხდება არსებული ბიუჯეტის გამოყენება? მაგალითად, ვეტმფრენით ტვირთის გადაზიდვა იმდენად ძვირი ჯდება, შესაძლოა, ეს თანხა თავად საკვები პროდუქტის ღირებულებას არ ჩამოუვარდებოდეს. ბევრად უფრო მოსახერხებელი და ეკონომიური იქნებოდა ბოსტნეულის თუ სხვა საკვები პროდუქტების ადგილებზე, იქაური მოსახლეობისგან შეძენა. ამ საკითხზე მსჯელობისას ეკა გიგაურისაგან ასეთი განმარტება მივიღეთ: **"გეთანხმებით, თბილისიდან სხვადასხვა წერტილებში ტვირთის ჩატანა ძვირი ჯდება, მაგრამ ადგილებზე პროდუქტების შეძენის უფლება ჩვენ არ გაგვაჩნია. ამას გვიკრძალავს დღეისათვის არსებული კანონი შესყიდვების შესახებ."** ევროპელების ერთ-ერთი რეკომენდაცია უწყების მაქსიმალური დელეგირებაა, - დასძენს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

ქართველი მესაზღვრეების ცხოვრებაში ერთადერთი გამონათება ხელფასის გაზრდა იყო, თუმცა სახელფასო დანამატების სრულად გაცემას აქ ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

კითხვაზე - რატომ ჩავარდნენ ქართველი მესაზღვრეები, სხვა სამხედროებისგან განსხვავებით, ასე გამორჩეულად მძიმე სოციალურ პირობებში? – კორნელი სალია პასუხობს: **"ეს განაპირობა ბოლო წლებში ჩვენი ბიუჯეტის მუდმივმა სეკვესტრირებამ. მე მესმის, რომ ხელისუფლებასაც აქვს პრობლემა და, როგორც ჩანს, პრიორიტეტს უფრო სხვა სფეროებს ანიჭებს. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ამ ეტაპზე პრიორიტეტს სწორედ საზღვარი უნდა წარმოადგენდეს. დაუცველი საზღვარი ქვეყანას სერიოზულ პრობლემას შეუქმნის."**

დსთ - „ფოთოლი მიშველ საბჭოთა სხეულზე"

პირველი გვერდიდან

გიორგი ხელაშვილი, *საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი:*

დსთ-ში საქართველოს არსებობას აზრი არასოდეს ჰქონია, მაგრამ მთელი პრობლემა ისაა, რომ ისიც არავინ იცის, რატომ არ უნდა ვიყოთ ამ ორგანიზაციაში. პოლიტიკური დემარშით გამოსვლა არაფერს მოგვიტანს. ამით კიდევ ერთხელ გავაღიზიანებდით რუსეთს. თანაც, გამოსვლას მაშინ ექნებოდა გამართლება, ევროკავშირთან შეერთება ან სხვა რაიმე ალტერნატივა რომ გვესახებოდეს.

დსთ-ში ჩვენს ყოფნას, ერთადერთი, ტექნიკური თვალსაზრისით შეიძლება ჰქონდეს აზრი. ამით გარკვეულ სფეროებში (მაგალითად, დამნაშავეობის გადმოცემის შესახებ ხელშეკრულებები) თანამშრომლობა გაადვილებულია.

ლევან ბერძენიშვილი, *პარლამენტარი:*

საქართველოს დსთ-ში ყოფნა არც ერთი წამით, დღიდან იქ შესვლისა, ჩვენთვის სასარგებლო არ ყოფილა. მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, არც ერთი პროგრამა და პროექტი, რომელსაც საქართველოსთვის ან რუსეთისთვის, საერთოდ, ვინმესთვის რაიმე სარგებელი მოეტანა. ეს ორგანიზაცია რომ დაიბადა, მაშინვე მკვდარი იყო. უბრალოდ, იმისთვის დაიბადა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის ვიღაცას ისე შერცხვა, რომ დსთ-ს "ფოთოლი" აიფარა შიშველ საბჭოთა სხეულზე. ასეთი სასაცილო ორგანიზაცია მსოფლიოში არ არსებობს.

საქართველოს, უნდა თუ არა, მოუწევს იქიდან გამოსვლა - ნატო-სკენ მოძრაობა თავისთავად ამას ნიშნავს. ჩემი აზრით, ამ ორგანიზაციაში არც უნდა შევსულიყავით. ხელისუფლება, რა თქმა უნდა, მოძებნის შესაფერის შემთხვევას საამისოდ და შეეცდება, ძალიან არ ატკინოს გული მეზობელ ქვეყანას. პირადად მე, ამ შემთხვევაში ცოტა უფრო მკვეთრი ვიქნებოდი. უბრალოდ, გამოვიდოდი. პარლამენტში ეს საკითხი ვინმემ რომ დააყენოს, იმწუთასვე გამოვალთ 185 ხმით ნულის წინააღმდეგ.

მერე რა, თუ რუსების გაღიზიანებას გამოვიწვევთ? მე ასეთი ზედმეტი სიფრთხილე მაღიზიანებს. რუსეთს, ჩვენ რომ ვარსებობთ, იმითაც ვაღიზიანებთ. იმითაც - აზერბაიჯანი, თურქეთი, ამერიკა რომ ჩვენი მეგობარია, იმითაც, რომ თავისუფლება გვინდა. ყველაფრით ვაღიზიანებთ. რა პრობლემაა. პირიქით, სასარგებლოც კია: ცოტათი აუცილებლად უნდა გავაღიზიანოთ რუსეთი, რათა დავეხმაროთ რუსულ დემოკრატიულ ძალებს, ისინიც მოვიდნენ ხელისუფლებაში.

"შვილუკა, პრეზიდენტს უთხარით, რომ გზები გვჭირდება"

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ონის რაიონის სოფელი გლოლა ქვეყნის სასაზღვრო ზოლშია განთავსებული და რაიონული ცენტრიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული. წლევანდელმა სტიქიამ სოფელი გარესამყაროს მთლიანად მოწყვიტა. გადაუღებელი წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარე რიონმა კალაპოტი შეიცვალა და სამანქანო გზაზე გადაინაცვლა. შედეგად სოფლამდე მისასვლელი გზა ორ კილომეტრზე მთლიანად ჩაიქცა. გლოლაში მცხოვრები 140 კომლი ელექტროენერგიისა და საჭმელ-სასმელის გარეშე აღმოჩნდა.

"ელექტროენერგიის მიწოდება სოფელ გლოლას ახალახან აღუდგა - "ფერომ" ერთი კილომეტრი კაბელი გვაჩუქა. რაც შეეხება გზის აღდგენას, შაბათს ველოდებით შესაბამის კომისიას თბილისიდან, რომელიც დაადგენს, რა თანხა გამოიყოფა ჩვენი რეგიონისთვის გზების შესაკეთებლად. ქვეყნის მასშტაბით ამ მიზნით 35 მილიონი ლარია გამოყოფილი", - აცხადებს პრეზიდენტის რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში ოთარ სირაძე.

წვიმით გაღვივებული მეწყერი გლოლის მცხოვრებლებს სტიქიურ უბედურებებს კვლავაც უქადის. ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, ახლახან სოფლამდე მისასვლელი გზა შეძლებისდაგვარად შეკეთდა, თუმცა აღნიშნულ გზებზე კვლავაც ტონობით ქვა-ღორღია ჩამოწოლილი.

"შვილუკა, პრეზიდენტს უთხარით, რომ გზები გვჭირდება", - ეს არის გლოლების მოკრძალებული თხოვნა ქვეყნის პირველი პირისადმი.

სტიქიის შედეგად სოფელ გლოლაში სამი ოჯახი საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა. ელისო გავაშელიშვილი ოჯახთან ერთად მეზობელთანაა შეხიზნული, რადგან მისი სახლი მეწყერმა ორად გახლიჩა და იქ ცხოვრება დღეს შეუძლებელია.

ყველაზე მეტად ადგილობრივი მოსახლეობა იმითაა შეშფოთებული, რომ გადაუღებელმა წვიმებმა და მეწყერმა მათი სახნავ-სათესი მიწები გაანადგურა. არადა, აქაური გლეხები ძირითად სარჩო-საბადებელს სწორედ მიწაზე შრომით მოიპოვებენ. აქ ყველაფრის ყიდვა-გაყიდვა გლეხების მიერ მოწეულ კარტოფილსა და ღვინოზე გაცვლით წარმოებს. ფულადი ერთეული სოფელში მხოლოდ პენსიის სახით შედის.

პირველი და დღემდე ერთადერთი ფულადი დახმარება გლოლებმა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისგან მიიღეს. სოფელში მცხოვრებ განსაკუთრებით მიუსაფარ 19 ოჯახს, რომლებიც ადგილობრივი საკრებულოსგან შეირჩნენ, ფონდის ხელმძღვანელობამ 100-100 ლარი გადასცა. ამასთან ერთად, ფონდის მიერ სოფელში დიდი რაოდენობით ტანსაცმელიც დარიგდა.

"აღნიშნული დახმარება ფონდის თანამშრომლებმა გაიღეს. ჩვენი ფონდის ცენტრალურ ოფისში 309 ადამიანი მუშაობს, რომლებმაც გასული თვის ხელფასებიდან გარკვეული თანხა გაიღეს და შეაგროვეს ტანსაცმელი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად. ჩვენ გავარკვიეთ, რომ ონის რაიონში ყველაზე მეტი ზარალი სოფელ გლოლას მიადგა, სადაც მსგავსი დახმარება არავის შეუტანია. ამიტომ გადავწყვიტეთ ამ სოფლის მოსახლეობის დახმარება," - აცხადებს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნინო ოკრიბელაშვილი "24 საათთან" საუბარში.

წლევანდელი სტიქიის შედეგად რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში 135 სახლი დაინგრა, აქედან ონის რაიონში - 18, ლენტეხში - 80 და ცაგერში - 37. ოთარ სირაძის თქმით, სხვა ტიპის ზარალი რეგიონში ჯერ დაუთვლელია და შესაბამისად, დღემდე გაურკვეველია, რა თანხას გამოყოფს რეგიონში სტიქიის ზარალის ასანაზღაურებლად ხელისუფლება. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ დახმარებას უსახლკაროდ დარჩენილი 135 ოჯახი მიიღებს, თითოეული - 5000 ლარის ოდენობით.

წყალში გადაყრილი ფული და აფხაზური პასპორტები

პირველი გვერდიდან

პრემიერ-მინისტრი წინადადებას იძლევა, აფხაზეთის მოქალაქეთათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემას მარტივად მიუდგნენ. მისი აზრით, შესაძლებელია გაცილებით იაფი პლასტიკური ბარათების დამზადება, რომლებსაც დაცვის რამდენიმე დონე ექნებათ. ასეთი პრაქტიკა ევროპის მრავალ ქვეყანაში არსებობს. პრემიერის თქმით, ეს მეთოდი გაცილებით მოსახერხებელია, უპირველესად, იმიტომ, რომ ბიუჯეტს იაფი დაუჯდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გააჩნია ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას, რომელიც ეროვნული პასპორტების გამცემ კომისიას უდგას სათავეში. იგი აქტიურად ლობირებს დოკუმენტების გაცემის იდეას, მიუხედავად იმისა, რომ მათში სერიოზული შეცდომებია. ხაჯიმბას სხვა ლოგიკა აქვს, დამყარებული იმაზე, რომ ბლანკების ნაგავში გადაყრა არ შეიძლება, რადგან მათზე ფული დახარჯული. იგი წინადადებას იძლევა, რომ დაიწყოს დოკუმენტების გაცემა, ხოლო ახალი, გასწორებული ბლანკების დამზადება მოგვიანებით მოხდეს. თავის პოზიციას ხაჯიმბა იმით ამართლებს, რომ დოკუმენტში არის სიტყვა "აფსნი" (აფხაზეთი), რომელიც, კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს თვითდასახელებას წარმოადგენს. აგრეთვე, არის სიტყვა "მოქალაქე".

პასპორტების ირგვლივ შექმნილ სიტუაციას საზოგადოებაში სერიოზული რეზონანსი არ მოჰყოლია, მაგრამ ოპოზიცია უკვე ავითარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დასჭირდათ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს პასპორტების გაცემის დაწყების წინ ამ პროცესის შეჩერება. პირველი ვერსია ისაა, რომ ერთი წლის შემდეგ უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები, მასში უეჭველი გამარჯვებისთვის კი ხელისუფლებას შედეგების გაყალბების ინსტრუმენტები სჭირდება. იმ სიტუაციაში, როდესაც არსებობს პასპორტი და, შესაბამისად, მოსახლეობის აღწერა, ამის გაკეთება არც ისე ადვილია. თუ პასპორტებს არ გასცემენ და ძველი სისტემა შენარჩუნდება, მაშინ მოსახლეობა გაურკვეველი დოკუმენტით მისცემს ხმას და ფალსიფიცირების ორგანიზება გაადვილდება.

მეორე ვერსიაში სხვა აზრია ჩადებული. საქმე ისაა, რომ ვიცე-პრეზიდენტ ხაჯიმბას ერთადერთ რეალურ დატვირთვას ეროვნული პასპორტების გაცემის კომისიის ხელმძღვანელობა წარმოადგენს. ამდენად, თუ ის სამუშაოს თავს ვერ გაართმევს, ეს იქნება "უკანასკნელი ჩავარდნა" მის კარიერაში. ამიტომ, ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, პრეზიდენტი და პრემიერი ასეთი ჩავარდნის ორგანიზებას ცდილობენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს ბატონ გიორგი გომიაშვილს ბაბუის არჩილ გომიაშვილის გარდაცვალების გამო

პედიატრის სურვილი

პროფესორი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე.

ზაზა ფაჩუაშვილი

გამიგონია, მშობლები ავადმყოფი ბავშვის კვეზერელთან მიყვანას თუ მოახერხებდნენ, მერე ამით სულ ამაყობდნენო. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძესთან პირველივე შეხვედრისას მიხვდებით, რომ ეს გრძნობა აღიარებული პედიატრის მხოლოდ პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით არ ყოფილა განპირობებული. სიამაყეს ბადებს მისი პიროვნული ხიბლი, თავმდაბლობა, ახალგაზრდული მხნეობა და, თუ გნებავთ, გარეგნობა. ეს რა აღსანიშნავი იქნებოდა, დიდ ექიმს რომ 80 წელი არ შესრულებოდა.

იუბილეს უხდება და მოკლედ მოგახსენებთ მის მიერ განვლილ გზას. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და, განაწილებით, სოხუმში წავიდა. 1953 წელს მოსკოვის პედიატრიის ინსტიტუტის ორდინატორი გახდა. სამი წლის შემდეგ ისევ აფხაზეთში დაბრუნდა მთავარ პედიატრად. 1960 წელს კი თბილისში ახლად დაარსებულ პედიატრიის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ გადმოიყვანეს. 1966 წელს დააარსა ბავშვთა ჰემატოლოგიური განყოფილება, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. იგი არის 150 ნაშრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი. ამავდროულად, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტია.

პროფესორი კვეზერელი-კოპაძე: **"1950-იან წლებში საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობა 60 პრომილეს შეადგენდა (ყოველ 1000 ახალშობილზე 60 ბავშვი იღუპებოდა). ამან განაპირობა პედიატრიის ინსტიტუტის შექმნაც, რომელიც ქვეყნის პედიატრიულ სამსახურს სათავეში ჩაუდგა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. 1990 წლიდან ბავშვთა სიკვდილიანობა 25 პრომილემდე დაეცა. ეს იმის შედეგი იყო, რომ 3 ათეული წლის განმავლობაში ჩვენი პედიატრიული სამსახური არაჩვეულებრივად ვითარდებოდა. მერე ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ბაშვთა სიკვდილიანობა კვლავ მაღალია. პედიატრიის ინსტიტუტი კი ბიუჯეტში არ ჩასვეს, იმის მაგივრად, რომ ხელი შეეწყოთ ერთადერთი დაწესებულებისთვის, რომელიც გენოფონდს ემსახურება."**

იმისათვის, რომ დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა კვლავ შემცირდეს და პატარების მომსახურება სათანადო დონეზე დადგეს, რეფორმა აუცილებელია, მაგრამ გამოცდილ პედიატრს ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სურვილი აქვს.

პროფესორი კვეზერელი-კოპაძე: **"პირველ რიგში, ბავშვთა მომსახურება მშობლისათვის სრულიად უფასო უნდა იყოს, პროგრამები კი - დახვეწილი და სრულყოფილი."**

„ყვითელი ბარათი" თავდაცვის სამინისტროს

თამარ მაისურაძე

აფხაზეთის ომის დამთავრებიდან დღემდე, ძველი თუ ახალი მთავრობა საქართველოში მცხოვრებ ომის ვეტერანთა რაოდენობის დადგენას ამაოდ ცდილობს. ეს რიცხვი პერმანენტულად იცვლება და 100 ათასის გარშემო მერყეობს. ეს ფაქტი ვეტერანებს ძალიან აღიზიანებს - 100 ათასი მებრძოლი გვყოლია და 5 ათასმა აფხაზმა როგორ გამოგვყარაო?

1997 წლამდე, ვიდრე ვეტერანთა დეპარტამენტი შეიქმნებოდა, არც მებრძოლთა ოფიციალური რაოდენობა იყო ცნობილი და, ზოგადად, ამ ადამიანების სოციალური მდგომარეობითაც ნაკლებად ინტერესდებოდნენ. მათთვის რადიკალურად არც დეპარტამენტის შექმნის შემდეგ შეცვლილა რამე. ის, რაშიც გუშინ დეპარტამენტის თანამშრომლები თავდაცვის სამინისტროს ადანაშაულებდნენ, ახლო წარსულში არც თავად დეპარტამენტისთვის იყო უცხო.

გუშინ ვეტერანების მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც აფხაზეთის ვეტერანთა საქმეების სამმართველოს უფროსი ონისე ხუხუტია უძღვებოდა, სამინისტროს, ასევე რამდენიმე ბატალიონის მეთაურსა და გარკვეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც თავად განაცხადეს, სერიოზული ბრალდებები წაუყენეს.

"ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის აფხაზეთის სამმართველოს თავისი მოვალეობის შესრულება უძნელდება, გამომდინარე იქიდან, რომ თავდაცვის სამინისტრო დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს. ყალბი საბრძოლო მოკვლევები, ყალბი "ყვითელი ბარათები" (საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი ბარათი) და უამრავი სიყალბის შემცველი ცნობები, ბრძანებები კვლავინდებურად გაიცემა. თავდაცვის სამინისტროს დაახლოებით 15 ათასი "ყვითელი ბარათი" აქვს გაცემული. ზემოაღნიშნულის შესახებ დეპარტამენტმა თავდაცვის სამინისტრო არაერთხელ გააფრთხილა, მაგრამ მათი მხრიდან დღემდე არანაირი რეაგირება არ მომხდარა," – ვკითხულობთ დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც დეპარტამენტში აცხადებდნენ, გასულ წლებში ვეტერანთა აღურიცხაობისა და ყალბ ვეტერანთა დიდი რაოდენობის არსებობის გამო, სახელმწიფო ყოველთვიურად 800 ათასიდან ერთ მილიონ ლარამდე თანხას კარგავდა. ეს "მაქინაცია" ძალზე ადვილად განსახორციელებელი იყო. ვეტერანის სტატუსი 300-400 დოლარი ღირდა. ეს გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი "ბიზნესი", სადაც "ჩადებულ" ფულს რამდენიმე თვეში ამოიღებდი, რადგან კომუნალურ გადასახადებზე დანესებული შეღავათების გარდა, ვეტერანებს არ ეხებოდათ ხელფასის საშემოსავლო დაბეგვრა. ამ სტატუსის მიღების შემდეგ კი, წინა წლებში დაბეგრილი ფულიც უნაზღაურდებოდათ. იმასაც ამბობენ, რომ ყალბი სტატუსით ძალიან ბევრი ცნობილი პიროვნება, მათ შორის, ყოფილი და ახლანდელი პარლამენტარებიც სარგებლობენ. თუმცა, კონკრეტული პიროვნებების დასახელებისგან თავს იკავებენ.

როგორც ონისე ხუხუტიამ განაცხადა, მებრძოლების აღრიცხვა უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს. ამ საქმისთვის ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტშიც იყო ჩადებული 150 ათასი ლარი, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობას ეს თანხა უფრო მნიშვნელოვანი საქმეების განსახორციელებლად დასჭირდა. ამდენად, დეპარტამენტმა აღრიცხვის სხვა, ალტერნატიული ვარიანტი შეიმუშავა. სპეციალურად შექმნილი კომისია სხვადასხვა სამხედრო დანაყოფების ხელმძღვანელებით დაკომპლექტდება. ამდენად, პიროვნებები, რომელთაც ომში ყოფნაზე "პრეტენზია" აქვთ, ზეპირსიტყვიერად ჩააბარებენ "გამოცდას". კომისიის წევრებიც მონაყოლიდან - ფაქტებიდან და დეტალებიდან გააკეთებენ დასკვნას, ესა თუ ის პიროვნება სამშობლოს დასაცავად მართლა იბრძოდა თუ არა.

ცხოვრების გახანგრძლივება დაინვალიდების გარეშე

ქირურგების საერთაშორისო ფორუმი თბილისში

გუშინ ევროპისა და ევრაზიის ქირურგთა და გასტროენტეროლოგთა მერვე საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა. სპეციალისტების თქმით, ასეთი დონის შეხვედრა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. კონგრესზე, რომელიც გუშინ გაიხსნა და სამ დღეს გასტანს, 15 ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. თითოეული ქვეყნის წარმომადგენელი ქირურგიაში საკუთარი ქვეყნის მიღწევებზე ისაუბრებს. ქართული მხარიდან წარმოდგენილი იქნება სამი ახალი ოპერაცია.

თამარ დვალი

პროფესორი თენგიზ ახმეტელი, პროფესორი ალექსანდრე ბეთანელი და ინგლისელი მეცნიერი ენდრიუ კინგსმორტი - ეს იმ ადამიანების ჩამონათვალია, რომლებმაც მერვე საერთაშორისო კონგრესის გახსნის დღეს, ქირურგიაში გაწეული ღვაწლისთვის საპატიო ჯილდოები მიიღეს.

"ქირურგიაში 1947 წლიდან ვმოღვაწეობ. ჩემი საქმიანობისთვის არც ახლა დამინებებია თავი. 63 წელიწადი პედაგოგად ვიმუშავე. ეს ჯილდო, ალბათ, ჩემი პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობისთვის გადმომცეს. ამ ხნის განმავლობაში 20 ათასამდე ოპერაცია მექნება გაკეთებული. დღეისთვის 160 სამეცნიერო ნაშრომი და 18 წიგნი მაქვს დაწერილი. საერთოდ, ქირურგიის განვითარება დამოკიდებულია ახალ ტექნოლოგიებზე. ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება საზღვარგარეთ და ეს ნამდვილად წაადგა ჩვენი დარგის განვითარებას. ერთადერთი, რაც ქართველ ქირურგებს გვაკლდა, ეს იყო შეიარაღება და აპარატურა, ახლა არც ეს არის პრობლემა," – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ოქროს ჯილდოს მფლობელმა თენგიზ ახმეტელმა.

დღეს უცხოელ კოლეგებს თავიანთ მიღწევებს გააცნობენ ქართველი ქირურგები: უროლოგიის ინსტიტუტის აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე, ონკოლოგიის ცენტრიდან პროფესორი დავით გოცაძე და ბაადურ მოსიძე.

დავით გოცაძის თქმით, ხელოვნური შარდის ბუშტისა და სწორი ნაწლავის გადანერგვა, პაციენტებს შესაძლებლობას აძლევს, დარჩენილი ცხოვრება ინვალიდობის გარეშე გაატარონ, ანუ მათ შეუნარჩუნდებათ ცხოვრების ხარისხი.

"მიუხედავად იმისა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ, პაციენტების 70 პროცენტი ექიმთან დაგვიანებით მიდის. ამიტომაც, ონკოლოგიურ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს დაგვიანებული პაციენტის მკურნალობა. ასეთ შემთხვევებში, მცირე მენჯში მოუშავე ექიმები ცალ-ცალკე ოპერაციებს ვერ აკეთებენ. ჩვენი მიღწევა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვცვლით იმ ორგანოებს, რომელსაც ვჭრით. ეს არის შარდის ბუშტი, სწორი ნაწლავი და ა.შ. აქამდე ავადმყოფის გადარჩენა შეგვეძლო, მაგრამ მათი ცხოვრების ხარისხი იმდენად დაბალი იყო, რომ მათი უმეტესობა სიკვდილზე ოცნებობდა. ასეთი სახის 80-მდე ოპერაცია გვაქვს გაკეთებული. მინდა ავუხსნა მოსახლეობას, რომ ჩვენ ვეხმარებით ადამიანს, გაიხანგრძლივოს ცხოვრება დაინვალიდების გარეშე, თორემ ეს ავთვისებიანი სიმსივნის განკურნების გზა არ არის," – აღნიშნა დავით გოცაძემ, რომელიც მათი ცენტრის მიღწევებზე დღეს ისაუბრებს.

კონგრესის მნიშვნელობაზე ისაუბრა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა.

საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ფორუმი

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, სასტუმრო "მეტეხი პალასში" საქართველოს ქალთა კოალიცია ფორუმზე შეიკრიბა. ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები იმ საკითხებზე მსჯელობდნენ, რომელიც არანაირად მხოლოდ ქალთა პრობლემებს არ წარმოადგენს და საერთოდ, ყველას მოეხსენება, რომ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანებს, სქესის განურჩევლად, საერთო საფიქრალი აქვთ. ამიტომაც, მაინც უხერხულად ხვდებოდა თვალს, რომ დიდ დარბაზში მაგიდას მხოლოდ ქალები უსხდნენ.
ფოიეში კი კოალიციის ორგანიზაციათა პუბლიცისტური გამოცემების და ფოტოსტენდები იდგა. იყო ძალიან საინტერესო მაგიდა, რომელიც მომსვლელთა მატებასთან ერთად უფრო და უფრო იხუნძლებოდა საბავშვო სახლებისთვის განკუთვნილი სათამაშოებით, რომელსაც ფორუმი საბავშვო სახლებს უმზადებდა - ის დღე ბავშვების იყო, როგორც უნდა იყოს ყველა დღე წლის განმავლობაში.

გრიშა აბაშიძე/ფოტოკორი

სანდრო ნავერიანი

ბავშვთა მდგომარეობა საქართველოში, ოჯახისა და ბავშვთა უფლებების დაცვა, პრობლემები და პერსპექტივები, ოჯახური ძალადობა და მის წინააღმდეგ სამართლებრივი ინსტრუმენტები, ქალთა არალეგალური მიგრაცია, ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენცია, მიგრანტთა ოჯახების დაცვა, შრომითი კოდექსი და მისი გენდერული ანალიზი - აი, იმ პრობლემატიკის ჩამონათვალი, რომელიც ქალთა კოალიციის კონფერენციაზე განიხილებოდა და ახალი სამოქმედო გეგმაც დაისახა.

ქალთა კოალიცია და "ვიყოთ გენდერულად მგრძნობიარენი"

თუ ვინმეს ბრალია, ალბათ, უფრო შესაბამისი ორგანიზაციების პიარსამსახურის მორიდებულ საქმიანობას და საზოგადოების არაინფორმირებულობას უნდა "დავაბრალოთ", რომ გენდერული თანასწორობის ყოფითი სინონიმი "ფემინიზმია" და ასოციაციით მეცხრამეტე საუკუნის მუნდშტუკიანი ქალების კარიკატურასთან ასოცირდება. მარტივად და გასაგებად კი გენდერული თანასწორობა ადამიანთა თანასწორობა, მათი უფლებების და მოვალეობების, მათი არსებობის თანასწორობაა - გენდერული პრობლემები აქტუალურია როგორც ქალთათვის, ისე მამაკაცებისთვის. "სამწუხაროდ დღევანდელ საქართველოში მომგებიანი არ არის იყო გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკოსი, ჟურნალისტი ან მეწარმე"- ამბობს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული ქალთა საკონსულტაციო საბჭოს კოორდინატორი ქეთევან მახარაშვილი .

ამ საბჭოს შექმნა განაპირობა საქართველოს პარლამენტში გაეროს პროგრამის -"გენდერი და პოლიტიკა", დაწყებამ. საბჭო თანამშრომლობს ყველა დონორ ორგანიზაციასთან, რომელიც საქართველოში გენდერულ პროგრამას ახორციელებს.

კოალიციაში გაერთიანებული ორგანიზაციები სხვადასხვა მიმართულების ჯგუფებად არიან გაერთიანებული.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციონალური მექანიზმების ჯგუფი მუშაობს მექანიზმების შემუშავებასა და ფორმირებაზე. ამ ჯგუფში ჯერჯერობით, გაერთიანებულია ცხრა ორგანიზაცია, თუმცა: "კოალიციის წევრი ყველა ორგანიზაცია და ფიზიკური პირი შესაძლებელია გახდეს ჯგუფის წევრი, მათ წერილობით უნდა ჩამოაყალიბონ სურვილი და მოტივაცია. დღემდე წერილობითი ოფიციალური განაცხადი არავის წარმოუდგენია"- განაცხადა მაია შარვაშიძემ.

"ქალთა სამშვიდობო საბჭო" შეიქმნა ქალთა კოალიციის ჯგუფის "ქალი და მშვიდობის მშენებლობა" ბაზაზე. ეს ჯგუფი აქტიურობდა UNIFEM-ის ქსელის მუშაობაში, ინსტიტუციონალური მექანიზმების შემუშავებაში. იგეგმება შეხვედრები სახელმწიფო მინისტრთან კონფლიქტების მოგვარების საკითხში გოგა ხაინდრავასთან, აფხაზეტის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ირაკლი ალასანიასთან, გაეროს სპეციალურ წარმომადგენელთან ჰაიდი ტალიავინთან და ქვეყნის პირველ ლედისთან სანდრა რულოვასთან. შეიქმნა სამხრეთ კავკასიის რეგიონალური კოალიციის "ქალები მშვიდობისათვის" რეგიონალური საბჭო, რომელშიც ქალთა კოალიციის ჯგუფიდან ელენე რუსეცკი და მანანა მებუკე იმუშავებენ : "7 მაისს ვიმყოფებოდით ცხინვალში და ედუარდ კოკოითის შევხვდით. ეს შეხვედრა სახალხო დიპლომატიის ეგიდით გაიმართა. რეალურია, რომ ომი არავის არ უნდა და კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას დიდი პოტენციალი აქვს".

როზა კუხალაშვილი "აფხაზეთის ქალთა საბჭოს" ხელმძღვანელობს, რომელიც 1994 წლიდან არსებობს. "კოალიციაში გაერთიანებამ დაგვანახა , რომ ერთად მუშაობას უფრო მეტი შესაძლებლობები და წარმატებები მოაქვს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით აფხაზ ქალებს. არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა საქართველოს საზღვრებს გარეთ . ამგვარი შეხვედრები, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მეტად ჩვენს ურთიერთობას თბილისსა თუ სოხუმში ჩატარებული სემინარები და მრგვალი მაგიდები წაადგებოდა"- ამბობს როზა კუხალაშვილი. ხოლო 1 ივნისის კოალიციის ფორუმზე ხელი მოეწერა განცხადებას: "2005 წლის ივნისში მოსკოვში დაგეგმილ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე არ არის გათვალისწინებული ქალთა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა მონაწილეობა. ამით საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურის მიერ იგნორირებულია გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 (2000 წლის) რეზოლუცია. მოვითხოვთ რეზოლუციის აღსრულებას, რაც საშუალებას მოგვცემს, გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა დირექტიულ დონეზე კონფლიქტების მოწესრიგებისა და სამშვიდობო პროცესებში". ქალთა კოალიცია იმედოვნებს, რომ მათი მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება და მოსკოვის შეხვედრაზე კოალიციის წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ჩვენ კი არაფერს ვიტყვით ქალთა დიპლომატიის ისტორიულ წარმატებულ მაგალითებზე, რომელიც დროა "კაცთა დიპლომატიის" თანასწორად იქნეს აღიარებული.

აი, ისევ გენდერიო, იტყვის წამკითხველი.

1 ივნისი ბავშვთა უფლებების დაცვის დღეა

კოალიციის ფორუმზე ბევრი ითქვა საქართველოში ბავშვთა მდგომარეობაზე, მათი უფლებების დაცვაზე ბავშვთა ტრეფიკინგსა და ამ სფეროში პრობლემებსა და პერსპექტივებზე. ითქვა, რომ კანონმდებლობა ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების სათანადო გარანტიას და ამ უფლებების სათანადო რეალიზებას, რომ საჭიროა სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკა და კოორდინირებული პრაქტიკული ნაბიჯები ბავშვთა უფლებების დასაცავად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა კონვენციის მიხედვით ბავშვის ასაკად მიჩნეულია 18 წელი. საქართველოში ეს კონვენცია რატიფიცირებულია 1994 წელს, მაგრამ დღემდე რეალურად, მოქმედი კანონმდებლობით ეს ასაკი 15 წელს აღწევს. ასეა ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებებში, საბავშვო სახლებში - სახელმწიფო პროგრამები ამ ასაკამდე მუშაობს. ეს "ხარვეზი" განსაკუთრებით მწვავედ აისახება სოციალურად დაუცველი ბავშვების მდგომარეობაზე. საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა ოჯახსა და სკოლაში ბავშვთა უფლებების დარღვევა. სახალხო დამცველის აპარატში არსებულ ბავშვთა უფლებების ცენტრში შემოსული განცხადებები ეხება ოჯახური კონფლიქტების შედეგად წარმოქმნილ დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება საკანონმდებლო და შიდა საკანონმდებლო აქტების პრინციპებს.

ფორუმმა მოისმინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პრობლემის შესახებ. მათი მდგომარეობის, საზოგადოებასთან ადაპტაციის შესაძლებლობის განვითარება სახელმწიფო ქმედითი გადაწყვეტილებების დინამიკას მოითხოვს ისევე, როგორც ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენტული საქმიანობა უფრო უნდა გააქტიურდეს, რომ საზოგადოებას ავარიდოთ გამოუსწორებელი შედეგები. ოჯახური ძალადობა ხომ პირდაპირი ნეგატიური ზემოქმედებაა, როგორც ბავშვის ჯანმრთელობაზე, ზოგადად მის უფლებებზე...

ისე გენდერის რაობის არმცოდნეთათვის, თურმე ოჯახური ძალადობა კაცზეც ხორციელდება, ტრეფიკინგის მსხვერპლიც ხშირად კაცი ხდება, და საერთოდ, კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ ქალთა ორგანიზაციები, რომ გენდერი ქალთა და მამაკაცთა არსებობის თანასწორობაა.

კოალიციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით სჭირდება ქალთა მოძრაობას მასმედიის გვერდით დგომა, რადგან დღემდე შეიმჩნევა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების "არალეგალური" უგულებელყოფა, რომელსაც ისევ სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა უჭვენოს პოზიტიური მაგალითი. ქალთა კოალიცია, მოქალაქეთა კოალიციაა, რომელიც საქმიანობა საერთო საქმეს ემსახურება. ზოგჯერ კი "ხდება", რომ ადამიანს საკუთარ თავზე ზრუნვა უწევს, კაცსაც და ქალსაც. ამიტომ არც ესაა აზრს მოკლებული, რომ ქალთა პრობლემების გადაწყვეტაზე ქალებმა იზრუნონ.

კოალიციის მორიგ ფორუმამდე!

ევროკონსტიტუციის კიდევ ერთი მარცხი

პირველი გვერდიდან

ნიდერლანდებში რეფერენდუმის შედეგების წინასწარი მონაცემებით, ევროპის ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ ხმა მოსახლეობის 61.6 პროცენტმა მისცა, სასარგებლოდ კი 38.4 პროცენტმა. საბოლოო შედეგები ცნობილი მხოლოდ 6 ივნისს გახდება.

“ჰოლანდიელმა ხალხმა ფრანგების მსგავსად კონსტიტუციის ხელშეკრულების რატიფიცირებაზე უარის თქმა ამჯობინა,” - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუმ.

კონსტიტუციის გადარჩენის მიზნით, ევროკავშირი ივნისის შუა რიცხვებში სამიტის მოწვევას გეგმავს, სადაც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

რეფერენდუმამდე ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთების მიუხედავად, შედეგების პირისპირ აღმოჩენილ ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრს იან პეტერ ბალკენენდეს მოსახლეობის არჩევანზე დათანხმება მოუხდა.

“ჰოლანდიელმა ამომრჩეველმა მიიღო ნათელი და შეუვალი გადაწყვეტილება და ჩვენ ვალდებულნი ვართ, პატივი ვცეთ მათ არჩევანს. “არა” ნიშნავს “არას” და ეს ხალხის არჩევანია,” - განაცხადა ბალკენენდემ სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.

ჰოლანდიაში ევროკონსტიტუციის მოწინააღმდეგეთა კამპანიის ლიდერის ვილემ ბოსის თქმით კი, რეფერენდუმის შედეგები ევროპული ინტეგრაციის წინააღმდეგ მიმართული არ იყო. მისი განცხადებით, ეს უფრო ევროკავშირის არაეფექტური ფუნქციონირების წინააღმდეგ გამოხატული პროტესტი იყო.

პოლიტიკურ ანალიტიკოსთა აზრით კი, ჰოლანდიელთა გაღიზიანების უმთავრესი მიზეზი, თავის დროზე, ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღება იყო.

“სამართლებრივი გზით მათ ახლა გამოხატეს ის პროტესტი, რომლის გამოხტვაც მათ წლების წინ სურდათ,” - თქვა გავლენიანმა ანალიტიკოსმა მორის დე ჰონდმა.

ზოგადად კი გაღიზიანების მიზეზები ჰოლანდიაშიც საფრანგეთის ანალოგიური იყო, ანუ არადამაკმაყოფილებელი ეკონომიკური მაჩვენებლები, ევროკავშირის გაფართოება და ეროვნული იდენტობის ნაბიჯ-ნაბიჯ დაკარგვა, ამასთან იმიგრაციის მზარდი ტენდენცია და უმუშევრობის მაღალი დონე.

თუმცა, ევროსკეპტიკოსთა საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ საფრანგეთსა და ნიდერლანდებში კონსტიტუციის პროექტის ჩავარდნის მიუხედავად, ევროკავშირის მაღალჩინოსნები იმედს მაინც არ კარგავენ.

“საფრანგეთსა და ნიდერლანდებში კენჭისყრის უარყოფითი შედეგები ევროკავშირის გაფართოებას ხელს ვერ შეუშლის,” - განაცხადა ევროკომისარმა გაფართოების საკითხებში ოლი რენმა. მან ასევე აღნიშნა ისიც, რომ რამდენიმე დღეში რუმინეთსა და ბულგარეთს დაეგზავნებათ რეკომენდაციის წერილები, რაც ევროკავშირში მათ გაწევრიანებას დაარჩქარებს.

რაც შეეხება თურქეთის გაწევრიანების საკითხს, რენის განცხადებით, ოფიციალური ანკარას მიერ საჭირო ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში ამ საკითხის განხილვაც სასწრაფოდ განახლდება.

ქვეყნების რიცხვს კი, რომელმაც უკვე გაუკეთა რატიფიცირება ევროკონსტიტუციის პროექტს, 2 ივნისს კიდევ ერთი შეემატა. ავსტრიის, უნგრეთის, იტალიის, გერმანიის, საბერძნეთის, ლიტვის, სლოვაკეთის, სლოვენიისა და ესპანეთის მხარე დაიკავა ლატვიამაც.

ხუთშაბათს ლატვიის პარლამენტმა ევროკონსტიტუციის ხელშეკრულებას რატიფიცირება გაუკეთა. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს 100 კაციანი შემადგენლობიდან, ამ პროექტის მოხრე 71 დეპუტატი აღმოჩნდა, 5 – წინააღმდეგი, ხოლო ექვსმა თავი შეიკავა პოზიციის გამოხატვისაგან.

ბეირუთში ცნობილი ჟურნალისტი მოკლეს

ბეირუთის ქრისტიანული რაიონის ალ-აშრაფიას ცენტრში გუშინ დილით მანქანა აფეთქდა, რამაც ლიბანის გაზეთ “ან-ნაჰარის” მიმომხილველის, ანტისირიული ოპოზიციის მხარდამჭერი სტატიებით ცნობილი ჟურნალისტის სამირ კასირის სიცოცხლე შეიწირა.

ნინო ტიკარაძე

აფეთქებას დიდი ნგრევა და მასშტაბური მსხვერპლი არ მოჰყოლია, რის გამოც პოლიციამ დაასკვნა, რომ საქმე ეხება კარგად დაგეგმილ ტერორისტულ აქტს, რომელიც ჟურნალისტის სიცოცხლის ხელყოფას ისახავდა მიზნად.

შემთხვევის ადგილზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნაჯიბ მიკატი, შინაგან საქმეთა მინისტრი ჰასან საბეი და ინფორმაციის მინისტრი შარლ რიზკი მივიდნენ. ეს ბეირუთში პირველი პოლიტიკური მკვლელობაა იმ ტერაქტის შემდეგ, რომელმაც ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაფიკ ჰარირი იმსხვერპლა.

პალესტინური წარმოშობის ლიბანელი სამირ კასირი სწორედ ყოფილი პრემიერის მკვლელობის ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებდა, ცდილობდა მოეპოვებინა სამხილები ლიბანის ერთ-ერთი სპეცსამსახურის ყოფილი უფროსის ჯამილ ას-სეიიდას მონაწილეობის შესახებ გახმაურებულ მკვლელობაში.

მოკლული ჟურნალისტი ლიბანის “მემარცხენე-დემოკრატიული მოძრაობის” წევრი იყო. ყოველდღიური გაზეთი “ან-ნაჰარი”, რომელშიც ის მუშაობდა, თავისი მწვავე ანტისირიული პოზიციით გამოირჩევა. მისი მთავარი რედაქტორი ჯიბრან ტუენი რაფიკ ჰარირის მკვლელობის შემდეგ დაწყებული “კედრის რევოლუციის” მებაირაღედ ითვლება. მან გამარჯვება მოიპოვა კვირას ქვეყნის დედაქალაქში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში. ტუენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის “ალ-მუსტაკბალის” წევრია. ამ ორგანიზაციას სათავეში აწ განსვენებული პრემიერის ვაჟიშვილი საად ჰარირი ხელმძღვანელობს.

გუშინ ჯიბრან ტუენიმ ლიბანელ პოლიტიკოსებსა და მოსახლეობას ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანებისკენ მოუწოდა. მისივე განცხადებით, ოპოზიციის დასუსტებამ ლიბანში დემოკრატიული პროცესების მოწინააღმდეგეებს “ასეთი სისხლიანი დარტყმის” მიყენების უფლება მისცა. **“ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ოპოზიციური ძალები უნდა გაერთიანდნენ,”** - ფიქრობს ტუენი.

პრემიერ-მინისტრის ნაჯიბ მიკატის განცხადებით, ჟურნალისტის მკვლელობით ლიბანის “უსაფრთხოებასა და თავისუფლებას დაემუქრნენ”.

“ყოველთვის, როცა ლიბანი წინსვლას იწყებს, აუცილებლად გამოჩნდებიან ისეთები, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ, ქვეყანას ძირი გამოუთხარონ. ჩვენ არავის მივცემთ ქვეყანაში არეულობის პროვოცირების ნებას,” - განაცხადა ლიბანის პრემიერ-მინისტრმა.

ლიბანის ოპოზიციონერებმა ჟურნალისტზე თავდასხმაში “სირიის აგენტურა” დაადანაშაულეს. ერთ-ერთმა - მიკელ აოუნმა პრესკონფერენცია წუთიერი დუმილით დაიწყო და კასირს დიდებული ჟურნალისტი უწოდა - **“ადამიანი, რომელიც არასდროს ყოყმანობდა, არ ეშინოდა სიმართლის თქმა და ლიბანის დაცვა”.**

“სამირმა მთელი სიცოცხლე საფრთხეში გაატარა,” - მოკლულის ძმის სულეიმან კასირის სიტყვების ციტირებას ახდენს საagენტო “ფრანს-პრესი”.

გასულ თვეში მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციებისა და სერიოზული საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, სირიამ, 29 წლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ჯარები გაიყვანა ლიბანიდან. სამირ კასირის მკვლელობა ლიბანში საპარლამენტო არჩევნების დაწყებიდან ოთხი დღის შემდეგ მოხდა. ამჟამად დეპუტატის მანდატებისთვის ბრძოლა საკმაოდ გამძაფრდა. 29 მაისს დაწყებული არჩევნები 19 ივნისამდე გასტანს.

რუსეთის საგარეო უწყება უზბეკეთის მოვლენებში ისლამისტებთან ერთად ჩეჩნურ კვალსაც ხედავს

რუსეთი ფლობს ინფორმაციას უზბეკეთის მოვლენებთან ჩეჩენი ტერორისტების კავშირის შესახებ, - ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა ვლადივოსტოკში მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. **“გვაქვს ინფორმაცია, რომ უზბეკეთის მოვლენებთან დაკავშირებულნი არიან ისლამისტური ორგანიზაციები, “უზბეკეთის ისლამისტური მოძრაობის” სტრუქტურები, თალიბთა გადარჩენილი წარმომადგენლები და ზოგიერთი ჩეჩენი ტერორისტი,”** - განუცხადა ლავროვმა ჟურნალისტებს.

ხუთშაბათს, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ჩინელ და ინდოელ კოლეგებს ვლადივოსტოკში ხვდებოდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლავროვმა განაცხადა, რომ სამმხრივი შეხვედრის დროს მინისტრებმა ცენტრალურ აზიაში შექმნილი სიტუაციაც განიხილეს. **“ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ გამოძიების ჩატარება აუცილებელია,”** - ამბობს ლავროვი. თუმცა, მისი საუბრიდან ისიც ირკვევა, რომ ლაპარაკია უზბეკეთის პარლამენტის სპეციალური კომისიის მიერ ჩატარებულ გამოძიებაზე და არა მომხდარის ანალიზში საერთაშორისო სტრუქტურების ჩართვაზე. შეგახსენებთ, მანამდე თითქმის ყველა განვითარებულმა დასავლურმა სახელმწიფომ (ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებმა) ანდიჟანის ტრაგედიასთან დაკავშირებით უზბეკეთის საერთაშორისო გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა. მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა კატეგორიულად უარყო მათი წინადადება. **“უზბეკეთის მხარე მიიჩნევს, რომ ანდიჟანის მოვლენების გამოძიებისთვის საერთაშორისო კომისიის შექმნა საფუძველს მოკლებულია,”** - ნათქვამია უზბეკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

24 საათი

ორი სიტყვით

კავკასია. ინგუშეთში რუსეთის სამართალდამცველებმა დაიკავეს სამი პოლონელი ჟურნალისტი, რომლებიც ჩეჩნეთის შესახებ ფილმს იღებდნენ. სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ინფორმაციით, პოლონეთის სახელმწიფო ტელეკომპანიის თანამშრომლები კვირას დაიკავეს ნაზრანში და მილიციაში 14 საათი ჰყავდათ პატიმრობაში. ჟურნალისტებს წაართვეს ჩანაწერები და ჩეჩნეთში გადაღებული ვიდეოკასეტები. ამჟამად ჟურნალისტები ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზში იმყოფებიან. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

იაპონია. ტოკიოში გუშინ მიწისძვრების სერია მოხდა. როგორც იაპონიის მეტეოროლოგიური სამსახური იუწყება, დაფიქსირდა სამი მიწისქვეშა ბიძგი, რომელთაგან უკანასკნელი (მისი ძალა რიხტერის სკალით 4 ბალს აღემატებოდა) ტოკიოს მცხოვრებთა უმრავლესობამ იგრძნო. მიწისძვრის ეპიცენტრი იაპონიის დედაქალაქიდან ჩრდილოეთით, ზღვის ფსკერის ქვეშ 60 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. დაშავებულებისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. **ინტერპრესი**

■ ■ ■

ბალკანეთი. ბოსნიის ქალაქ ზვორნიკის ყოფილი მერი ბრანკო გრუიჩი ნებაყოფლობით ჩაბარდა სერბიის ხელისუფალთ. მერის თანამდებობა გრუიჩს ბალკანეთის ომის პერიოდში ეკავა. სერბიის პროკურატურის აზრით, ის და კიდევ რამდენიმე პირი პასუხისმგებელი არიან ზვორნიკიდან ასობით მაჰმადიანის განდევნისთვის და ზოგიერთი მათგანის მკვლელობისთვის. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

აფრიკა. კოტ დ`ივუარში ეთნიკურ ჯგუფებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად 41 ადამიანი დაიღუპა და 64 დაიჭრა. როგორც ადგილობრივი პოლიცია აცხადებს, შეტაკება ოთხშაბათს გამთენიისას დაიწყო. ოფიციალურ განცხადებაში, ასევე, ნათქვამია, რომ დაღუპულთა უმეტესობას ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით აქვთ ჭრილობები მიყენებული. გარდა ამისა, აღმოჩენილია კიდევ 11 დამწვარი გვამი. **როიტერსი**

GEORGIAN VERSION 1

ATHENS UNIVERSITY OF ECONOMICS & BUSINESS
(AUEB)
MBA International Program

ათენის ბიზნესისა და ეკონომიკის მოწინავე უნივერსიტეტი გთავაზობთ საერთაშორისო MBA (მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირებაში) პროგრამას.

ეს ნოვატორული და წარმატებული MBA-ს პროგრამა (მხოლოდ ინგლისურენოვანი) დიდი შანსია იმ სტუდენტებისა და ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან ლიდერობის თვისებებით და ცოდნის მაღალი აკადემიურობით; მათთვის, ვინც ეძებს საკუთარი თავის განვითარებისა და საერთაშორისო კარიერის გაკეთების შესაძლებლობას.

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს პრესტიჟული უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხის დიპლომი, CV (curriculum vitae), ორი სარეკომენდაციო წერილი და ჩვენს ვებ-გვერდზე მოთავსებული შევსებული აპლიკაციის ფორმა (www.i-mba.aueb.gr). ამასთან საჭიროა ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

სავალდებულოა მინიმუმ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება.

MBA საერთაშორისო პროგრამის წარმომადგენლების ნახვა შეიძლება ”თბილისი მერიოთში”, 6-დან 8 ივნისის ჩათვლით.
პერსონალურ გასაუბრებაზე სურვილის შემთხვევაში გამოგვიგზავნეთ მოთხოვნა შემდეგ ინტერნეტ მისამართზე:
i-mba@aueb.gr

აპლიკაციის ფორმის გადმოწერა შესაძლებელია ჩვენი ვებ-გვერდიდან
www.i-mba.aueb.gr
აპლიკაციის წარდგენის ბოლო ვადაა : 20 ივნისი

შ.პ.ს "აჭარის ენერგოკომპანია" მიიღებს წინადადებებს შემდეგი მასალების შეძენაზე:

მასალები მოწესრიგებისთვის

АПВ 10	200 000 მეტრი;
СИП 25	5 ტონა;
СИП 35	10 ტონა;
СИП 50	5 ტონა;
მომჭერი Р-645	2000 ცალი.

მასალები ბათუმის მარაგებად:

ААБ 3Х120 (მაღალი ძაბვის)	2000 მეტრი;
ААБ 3Х120 + 1Х50 (დაბალი ძაბვის)	1000 მეტრი.

სატრანსფორმატორო ზეთი Т-1500 10 000 ლიტრი.

დენის ტრანსფორმატორები 10 კვ.

50/5	60 ცალი;
75/5	40 ცალი;
100/5	20 ცალი;
150/5	20 ცალი;
200/5	10 ცალი.

ძაბვის ტრანსფორმატორები:

35 kv	30 ცალი;
10 kv	14 ცალი;
6 kv	14 ცალი.

განაცხადები მიიღება 15 ივნისამდე.

ფაქსი (88 222) 7 63 45 მობილური: (899) 65 00 65

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის გაუქმების შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით **ჩოხატაურის რაიონის, სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ხიდისთავის სათემო კავშირთან "გუბაზი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"გუბაზი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ჩოხატაურის რაიონი,
სოფელ ხიდისთავის სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი მურმან დუმბაძე, სათემო კავშირი "გუბაზი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 6 ივნისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 100** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ჩოხატაურის რაიონი,
სოფელ ხიდისთავის სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი მურმან დუმბაძე, სათემო კავშირი "გუბაზი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 5 ივლისის 15 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

კორპორაცია განვითარების ალტერნატივები (DAI) ეძებს შესაბამის კანდიდატურებს ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამხრეთ კავკასიაში წყლის რესურსების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის მომავალი პროგრამისათვის. აუცილებელია თითოეულ კანდიდატს ჰქონდეს 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აგრეთვე სასურველია არასამთავრობო ორგანიზაციების მართვისა და განვითარების გამოცდილებაც, ისევე როგორც ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) და/ან სხვა დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

1. საქართველოს პროექტის დირექტორი: ხარისხი გარემოს დაცვის, საინჟინრო, ეკონომიკის, წყლის რესურსების მართვის, პოლიტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში. აუცილებელია ინგლისური ენის ზედმიწევნით ცოდნა.
2. ჰიდროლოგი: ხარისხი საინჟინრო, ჰიდროლოგიის ან სხვა შესაბამის სფეროში. სასურველია გამოცდილება მდინარის აუზის დაგეგმვის განხრით.
3. სოციოლოგი: ხარისხი ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში. სასურველია გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარების განხრით.

გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) და თანდართული წერილი (cover letter) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: sctb@dai.com

მისია შესრულებულია

მორჩილაძე "თბილგაზის" გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გადადგა

დიანა ჩაჩუა

ათთვიანი მოღვაწეობის შემდეგ, გუშინ "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. მორჩილაძის თქმით, "თბილგაზში" მისი მისია ამოწურულია.

"არანაირი საშიშროება იმისა, რომ თბილისს გაზმომარაგება შეუწყდეს, არ არსებობს. ასე რომ, "თბილგაზიდან" მშვიდად მივდივარ," – განაცხადა "თბილგაზის" უკვე ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ.

გუშინდელ ბრიფინგზე მორჩილაძეს კომპანიის გენერალური დირექტორის სავარაუდო კანდიდატებზე განცხადება არ გაუკეთებია. მისი თქმით, იგი არ ფლობს ამ ინფორმაციას. 20 დღის განმავლობაში, ანუ სანამ "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭო ახალ გენერალურ დირექტორს დანიშნავს, მორჩილაძის მოვალეობას გენერალური დირექტორის მოადგილე გია შაშვიაშვილი შეასრულებს.

კითხვა, თუ სად წავა მორჩილაძე "თბილგაზიდან", გუშინ უპასუხოდ დარჩა. რამოდენიმე თვის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ "თბილგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობისთვის ემზადებოდა. მორჩილაძემ ეს საგანგებო ბრიფინგზეც განაცხადა. თუმცა, გუშინ მან აღნიშნული განცხადება უარყო.

შეგახსენებთ, რომ დავით მორჩილაძე "თბილგაზში" 2004 წლის 6 აგვისტოს, ზურაბ ჟვანიას და ნიკა გილაურის უშუალო რეკომენდაციით მოვიდა. მორჩილაძის კომპანიიდან წასვლის მომენტისათვის კომპანიის დავალიანება 6,9 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო 2005 წლის ხუთი თვის ამოღების მაჩვენებელი 20 მილიონ 398 ათასი ლარია.

წარუმატებელი აუქციონი

გუშინდელი აუქციონი ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა. გამოტანილი შვიდი ობიექტიდან გუშინ მხოლოდ ერთი, თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე შპს "პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრი" გაიყიდა.

მარიამ ჯაჭვაძე

სხვადასხვა მიზეზების გამო, დანარჩენი ობიექტებით არავინ დაინტერესებულა, თუმცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში, მომდევნო აუქციონზე, ყველა მათგანს იგივე პირობებით აუცილებლად გაყიდის.

თბილისში, 226788 კვადრატული მეტრის მიწის ფართობზე მდებარე შპს "ლილო-1" გუშინ გასაყიდად გამოტანილ ობიექტებს შორის ყველაზე ძვირადღირებული იყო. ამ შპს-ს საწყის ფასად ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 4 მილიონ 100 ათასი აშშ დოლარი დაასახელა, თუმცა მასზე, ისევე როგორც დანარჩენ ხუთ ობიექტზე, არც ერთი განაცხადი არ შემოსულა. "ლილო-1"-ის აქციების ასივე პროცენტი დღემდე ისევ სახელმწიფო საკუთრებაში რჩება.

ერთადერთი, რისი გაყიდვაც გუშინდელ აუქციონზე მოხერხდა, შპს პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრი" იყო, რომელიც ფიზიკურმა პირმა, ვინმე მერაბ მურცხვალაძემ შეიძინა. მან ამ ობიექტში საბოლოოდ 205 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა, რაც სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საწყის ფასზე 5 ათასი აშშ დოლარით მეტი იყო. აღსანიშნავია, რომ მერაბ მურცხვალაძეს გუშინდელ აუქციონზე კონკურენტები არ ჰყოლია. სახელმწიფო წილი შპს "პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრში" გუშინდელ დღემდე 100 პროცენტი იყო.

გაუყიდავი დარჩა ბათუმში მდებარე შპს "რთველი XXI", რომლის ძირითადი საქმიანობა ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, დამზადება, გადამუშავება, ჩამოსხმა და, საბოლოოდ, მათი რეალიზაციაა. ამ შპს-ს გაყიდვა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურსის წესით ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა მისით დღემდე არც ერთი ფიზიკური და იურიდიული პირი არ დაინტერესებულა. შპს "რთველი XXI"-ის საწყის ფასად 800 ათასი აშშ დოლარი დასახელდა. აქაც სახელმწიფო წილი 100 პროცენტია.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კიდევ ოთხი ობიექტი გუშინ გაუყიდავი დარჩა. ესენია: შპს "საქართველოს დიაბეტის ცენტრი," ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში მდებარე ბაგა-ბაღის დაუმთავრებელი შენობა 2587,5 კვადრატული მიწის ნაკვეთით, სს "ორიონის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ავტოფარეხის შენობა და ამავე სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული, ყოფილი სასადილოს შენობა. მათგან ყველაზე ძვირად, 300 ათას აშშ დოლარად ეს უკანასკნელი იყო შეფასებული. თითოეულ მათგანში სახელმწიფო წილი 100-100 პროცენტია.

ჯულიან ბერენგაუტი: ჩვენი სურვილია, ვაშინგტონში პოზიტიური ინფორმაცია ჩავიტანოთ

დიანა ჩაჩუა

გუშინ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შეხვდა, რომელსაც ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ჯულიან ბერენგაუტი ხელმძღვანელობს. საუბარი ქვეყანაში მიმდინარე ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას შეეხო. **„ჩვენი სურვილია, ვაშინგტონში, სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოში საქართველოს შესახებ პოზიტიური ინფორმაცია ჩავიტანოთ,“** – განაცხადა სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა ჯულიან ბერენგაუტმა რომან გოცირიძესთან შეხვედრისას.

შეხვედრაზე სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვის თაობაზე თავისი პოზიცია დააფიქსირა. ჯულიან ბერენგაუტის თქმით, მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მჭიდრო თანამშრომლობა ინფლაციის დაბალი ტემპისა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელი ფაქტორია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო, სავარაუდოდ, სექტემბერში „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის“ პროგრამის ფარგლებში, მორიგი ტრანშის გამოყოფის საკითხს განიხილავს. ამ პერიოდისათვის სავალუტო ფონდის მისია, მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პარამეტრების შესრულებას შეაჯამებს. ეროვნულმა ბანკმა ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა და სარეზერვო ფულის მასის ზომიერი ზრდა უნდა უზრუნველყოს.

სავალუტო ფონდის კრედიტები ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესავსებად არის გამიზნული. როგორც რომან გოცირიძემ აღნიშნა, მიმდინარე წლის ბოლოსათვის მათი მოცულობა, დაახლოებით, ნახევარ მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, აღნიშნული თანხების გამოყენების გრაფიკი ფინანსთა სამინისტრომ ეროვნულ ბანკთან უნდა შეათანხმოს.

ცნობისათვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის“ პროგრამა 32 ქვეყანაში ხორციელდება. საქართველოსთვის აღნიშნული პროგრამა, 98 მლნ SDR-ის მოცულობით, გასულ წლის 4 ივნისს დამტკიცდა და 2007 წლის 3 ივნისს უნდა დასრულდეს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პირველი ტრანში, 14 მლნ SDR-ის მოცულობით, ეროვნულმა ბანკმა 2004 წლის 21 ივნისს მიიღო. 14 მლნ SDR-ის (21,5 მლნ აშშ დოლარი) მოცულობის მეორე ტრანში სებ-ის ანგარიშზე 28 დეკემბერს ჩაირიცხა. სსფ-ის მესამე, 14 მლნ SDR-ის ოდენობის ტრანშის მიღება კი წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის გაუქმების შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით **ონის რაიონის სოფ. შქმერის თემის ცენტრის შენობის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

სოფელ შქმერის სათემო კავშირთან "შქმერი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "შქმერი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ონის რაიონი,
სოფელ შქმერის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი დალი ჯოხაძე, სათემო კავშირი "შქმერი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის **4 ივნისიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ონის რაიონი
სოფელ შქმერის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი დალი ჯოხაძე, სათემო კავშირი "შქმერი" თავმჯდომარე

2005 წლის 5 ივლისი 15 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის გაუქმების შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით **ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

სოფელ ორბელის სათემო კავშირთან "ორბელი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ორბელი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ცაგერის რაიონი,
სოფელ ორბელი, სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი იზა ბურჯალიანი, სათემო კავშირი "ორბელი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 6 ივნისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ცაგერის რაიონი,
სოფელ ორბელი, სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი იზა ბურჯალიანი, სათემო კავშირი "ორბელი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 6 ივლისი 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79, ფაქსი: (995 32) 23 01 03

მოკლედ

"საქართველოს ელექტროკავშირის" მომსახურება ძვირდება

1 ივლისიდან "საქართველოს ელექტროკავშირის" თბილისის აბონენტებისათვის სხვა სატელეფონო კომპანიებთან დაკავშირება ფასიანი გახდება. როგორც კომპანია "საქართველოს ელექტროკავშირში" განაცხადეს, 1 ივლისიდან "საქართველოს ელექტროკავშირის" აბონენტებმა სხვა სატელეფონო კომპანიებთან დასაკავშირებლად კოდი 8-22 უნდა აკრიფონ და აღნიშნული მომსახურება ფასიანი იქნება. იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კავშირგაბმულობის მოქმედ ოპერატორებს შორის ურთიერთანგარიშსწორება ფასიანია და "ახტელისა" და "ახალი ქსელების" აბონენტთათვის ლოკალურ ზარებზე ფიქსირებული ტარიფი წუთზე 2 თეთრია, ტრაფიკის დარეგულირების მიზნით, სს "საქართველოს ელექტროკავშირის" აბონენტებისთვისაც საცალო ტარიფი ლოკალურ ქსელში 2 თეთრით განისაზღვრა.

კოდის (8-22) აკრეფის წესის შემოღება განპირობებულია უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე და ის ძველი, ტრაფიკის აღრიცხვის უუნარო სადგურების გამოცვლისთანავე შეიცვლება. "საქართველოს ელექტროკავშირის" სადგურების დიდი ნაწილი მოძველებულია და მათი საშუალებით, ადგილობრივ ქსელში სატელეფონო საუბრების წუთობრივი აღრიცხვა ვერ ხერხდება.

მედიანიუსი

გოცირიძემ რუსეთში მორიგი წერილი გაგზავნა

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარეს სერგეი იგნატიევს წერილი გაუგზავნა, რომელშიც თავის რუს კოლეგას სანკტ-პეტერბურგში ცენტრალური ბანკების მმართველთა კლუბის ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა.

ამასთან, რომან გოცირიძე რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარეს აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის კომერციულ ბანკების უკანონო საქმიანობის თაობაზე რეაგირებისათვის კიდევ ერთხელ მიმართავს და დამატებით მასალებს უგზავნის.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ცნობებზე დაყრდნობით, წერილში აღნიშნულია, რომ რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, ბანკ „მოსკოვის“ სოჭის ფილიალის დირექტორი ბაირამოვი, ამავე ბანკის ინკასაციის სამსახურის უფროსი რეილიანი ქ. ადლერის საპენსიო ფონდის ხელმძღვანელთან მოლაპარაკებების საფუძველზე რუსული პენსიების აფხაზეთში მოქმედი ბანკების მეშვეობით გაცემაზე შეთანხმდნენ.

რომან გოცირიძე სერგეი იგნატიევს რუსული ბანკების საერთაშორისო სამართლისა და ნორმების ფარგლებში მოქმედებებისაკენ მოუწოდებს. „მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოველმხრივ დაინტერესებულია აფხაზეთის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებით, მაგრამ ყოველივე ეს უნდა ხორციელდებოდეს საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო წესებისა და ნორმების შესაბამისად,“ - ნათქვამია წერილში. თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის განუყოფელი რეგიონის – აფხაზეთის მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, ყოველმხრივ მზადყოფნას გამოთქვამს. „..მით უმეტეს, ჩვენ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებისათვის ხელფასების გაცემის კარგი გამოცდილება გვაქვს,“ – აღნიშნულია წერილში.

24 საათი

რომან აბრამოვიჩს საფრანგეთის სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს

საფრანგეთის მართლმსაჯულება რუსი ბიზნესმენით რომან აბრამოვიჩით დაინტერესდა.

მილიარდერი, საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" მეპატრონე მარსელში დაწყებული ორი წინასწარი გამოძიების მასალებში ფიგურირებს. ერთი მათგანი აბრამოვიჩის მიერ ანტიბის მახლობლად მდებარე სასახლის - კროეს ყიდვას ეხება. მართლმსაჯულებამ გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული, ფულის გათეთრებასთან მებრძოლი სპეციალური ქვედანაყოფის შეტყობინება მიიღო და შესაბამისი საერთაშორისო სამძებრო დავალებებიც გასცა, რომელთა შედეგადაც უნდა დადგინდეს, უძრავი ქონების შეძენის ოპერაციისას რა არხებით იმოძრავა ფულმა კვიპროსიდან. მოსამართლე ბეატრის დელ ვოლგოს გამოძიების შედეგები ჯერ ხელთ არ აქვს.

მეორე წინასწარი გამოძიება კი, ფრანგული გაზეთის "Le Figaro"-ს აზრით, გაცილებით სერიოზულია. ეს გამოძიება იმავე სასამართლომ დაიწყო და თავდაპირველად ცნობილ რუს ოლიგარქს ბორის ბერეზოვსკის ეხებოდა. ის, როგორც ცნობილია, აბრამოვიჩის მსგავსად, ლონდონში ცხოვრობს და ლაჟვარდოვან სანაპიროზე მამული ლა გარუპი შეიძინა, სადაც ორი სასახლე – შატო და კლოშეა აღმართული.

მოსამართლე დელ ვოლგო 2002 წლიდან ცდილობს, გაარკვიოს, რა გარემოებებში მოხდა 1996-97 წლებში ამ ქონების ყიდვა და რატომ იმოძრავა ფულმა - მთლიანობაში 145 მილიონმა ფრანკმა - რუსეთისა და შვეიცარიის გავლით, ურთულესი მარშრუტით, რაშიც ყალბი ფირმები მონაწილეობდნენ. სწორედ ამ გარემოებების შესწავლამ მიიყვანა გამოძიება რომან აბრამოვიჩამდე. გამოძიებასთან კავშირში მყოფი წყაროს ცნობით, აბრამოვიჩისა და ბერეზოვსკის კავშირი დადგენილია. გამოძიებამ გაარკვია, რომ ისინი ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

თავდაპირველად ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის ცენტრალური სამმართველოს პოლიციელებმა დაადგინეს, რომ ბერეზოვსკი მამულისა და სასახლეების არენდატორად ასაღებდა თავს, სინამდვილეში კი ის ამ ქონების მფლობელია. მამული და სასახლეები რეგისტრირებულია ფირმა "სიფის" სახელზე, რომელიც თავის მხრივ შვეიცარიაში დაფუძნებულ კომპანია "ოვაგოს" ეკუთვნის. როგორც ირკვევა, სწორედ ამ "ოვაგომ" გაიღო ქონების შესასყიდი ძირითადი თანხა. შემდეგ გამოძიებამ ამ ფულის წარმომავლობის დადგენა სცადა. გამომძიებლები შარშან ორჯერ ჩავიდნენ მოსკოვში, 11 მაისს კი, როგორც ცნობილია, ლა გარუპში ჩხრეკა ჩაატარეს.

აღმოჩნდა, რომ ანტიბზე ქონების შესასყიდი თანხის ნაწილი – 85 მილიონი ფრანკი - ბერეზოვსკიმ კომპანია "სიბნეფტისგან" მიიღო, "სიბნეფტი" კი, როგორც ცნობილია, რომან აბრამოვიჩის კუთვნილებაა. რატომ მიიღო მან მონაწილეობა იმაში, რასაც, საფრანგეთის სამართალდამცველთა აზრით, ფულის გათეთრება ჰქვია? რა ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან ამ ორ ადამიანს და რა წარმომავლობისაა ეს ფული? მარსელელი მოსამართლე ამ კითხვებზე პასუხის მიღებას ცდილობს. ბერეზოვსკის და აბრამოვიჩს სასამართლოს წინაშე წარდგომა არ ასცდებათ.

როგორც ცნობილია, რომან აბრამოვიჩი რუსეთის პრეზიდენტის კარზე მიღებული კაცია, ბერეზოვსკი კი პირიქით – დევნილი. მანვე, საფრანგეთში მიმდინარე გამოძიების კომენტირებისას, განაცხადა, რომ საქმე ეხება "წმინდად პოლიტიკურ ოპერაციას", რომელსაც "საფრანგეთის ხელისუფლება პუტინის საამებლად ატარებს".

ჯერჯერობით არ ისმის კომენტარები აბრამოვიჩის მხრიდან. მისმა ფრანგმა ადვოკატმა ოლივიე მატცნერმა ამ საქმის შესახებ რაიმეს თქმისგან თავი შეიკავა.

24 საათი

გაქცევა ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილიდან

სამხედრო ნაწილებში არსებული გაუსაძლისი სოციალური პირობებისა და მეთაურთა ძალადობის გამო ჯარისკაცებმა ყაზარმები არაერთხელ დატოვეს. ამჯერად, ანალოგიური ფაქტი ლაგოდეხის რაიონში განლაგებულ სასაზღვრო ნაწილში მოხდა. მეთაურთაგან მიყენებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, ოთხი აჭარელი ჯარისკაცი ნაწილიდან გაიქცა. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულმა ჯარისკაცებმა მომხდარის შესახებ თავდაპირველად საქმის კურსში სამხედრო ნაწილის პოლკოვნიკი ბესო ზურაბიშვილი ჩააყენეს, მაგრამ მოგვიანებით, მან ფაქტი უარყო. ამის შემდეგ გაქცეულმა ჯარისკაცებმა დახმარებისთვის სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

აღნიშნულ სამხედრო ნაწილში სამართალდამცველებმა კანონსაწინააღმდეგო ფაქტი ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში გამოავლინეს. ამჟამად სასაზღვრო ნაწილის პოლკოვნიკმა, მაშინ კი რაზმის მეთაურმა ბესო ზურაბიშვილმა მის მეგობარს, ლაგოდეხის ყოფილ პროკურორს ჯემალ მინდორაშვილს, იძულებით სამუშაოდ სახლში რამდენიმე ჯარისკაცის გაუგზავნა. ამ ორ ჩინოვნიკს მაშინ შრომითი ტრეფიკინგის ბრალდება წაუყენეს, მაგრამ სამხედრო პირი, რომელმაც ჟურნალისტებთანაც კი აღიარა ჩადენილი დანაშაული, პასუხისგებაში არავის მიუცია. მეტიც, ცოტახანში იგი დააწინაურეს კიდეც.

დანაშაული, რომელიც ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილში ამჯერად მოხდა, კვლავ ბესო ზურაბიშვილის სახელს დაუკავშირდა. გაქცეული ჯარისკაცები ვაჟა დოლიძე, არტურ მინასიანი და არჩილ კუტალაძე პოლკოვნიკს უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებენ.

მომხდარის შესახებ ჯარისკაცებმა დახმარებისთვის სახალხო დამცველის აჭარის წარმომადგენლობას და ბათუმის მერიის სამხედრო განყოფილებას მიმართეს. რიგითები ვაჟა დოლიძე და არჩილ კუტალაძე ახსნა-განმარტებით ბარათში წერენ: **"შუღლის მოტივი ხშირად რელიგიურიც იყო. მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა, მას თავს არ ვუხრიდით. ამის გამო ხშირი იყო შეტაკებები, გვცემდნენ, თათრებო, მუსულმანებო, თუ ვაჟკაცები ხართ, გამოდითო. თქვენი მუსულმანი დედა... დაგხოცავთო - გვეძახდნენ. აუტანელი მდგომარეობის გამო არაერთხელ მივმართეთ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, რადგან მსგავსი შემთხვევა პირველი არ იყო. ჩვენამდე რამდენიმე კაცი ასეთი მოთხოვნის საფუძველზე სხვა ნაწილში გადაიყვანეს, ჩვენ კი მაინც იქ დაგვტოვეს. სამხედრო სამსახურზე უარს არ ვამბობთ, მხოლოდ სხვა ნაწილში გადაყვანას ვითხოვთ".**

ეროვნებით სომეხი არტურ მინასიანი კი წერს, რომ თავისი წარმომავლობის გამო ხშირად მას ოფიცრები გაუპატიურებითაც ემუქრებოდნენ. **"ჩემი ეროვნების გამო კიდევ უფრო დიდი პრობლემები შემექმნა. როცა მცემდნენ, "ეს სომეხია, მოდი...", ეუბნებოდნენ, არაერთხელ დამიპირეს გაუპატიურება"**, - აცხადებს მინასიანი.

ჯარისკაცების მოთხოვნა - სხვა ნაწილში გადაყვანის შესახებ - გახდა მიზეზი იმისა, რომ ისინი ჯერ ნაწილის ოფიცერმა ალიკ მაჭარაშვილმა სცემა, შემდეგ კი, მისი ბრძანებით, მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ სხვა ჯარისკაცებიც. სამედიცინო შემოწმების შედეგად დასტურდება, რომ დაზარალებულებს გარეგანი დაზიანებები და ტვინის შერყევა აღენიშნებათ. ბათუმში სახალხო დამცველის წარმომადგენლის გიორგი ჩარკვიანის განცხადებით, ნაცემი ჯარისკაცები მკურნალობას საჭიროებენ, რადგან ერთს ტვინის შერყევა აქვს მიღებული, მეორეს ფსიქიკური მდგომარეობა შეერყა, მესამე წევს და მკურნალობს, ხოლო მეოთხე, მირზა კურცხელიძე ნაწილს დაუბრუნდა, რადგან მას საქმის პროკურატურაში გადაგზავნის შეეშინდა.

სასაზღვრო დეპარტამენტის ლაგოდეხის N6 სამხედრო ნაწილის პოლკოვნიკი ბესიკ ზურაბიშვილი მომხდარს კატეგორიულად უარყოფს. იგი აცხადებს, რომ სამხედრო ნაწილიდან გაქცეული ჯარისკაცები თებერვლის თვეში ათდღიან შვებულებაში იმყოფებოდნენ და ნაწილში არ დაბრუნებულან. სწორედ ამის გამო, მათი საქმეები პროკურატურას გადაეცა. **"თუ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ ჯარისკაცებს, მანამდე ეთქვათ, ახლა როცა მაგათი საქმეები დეზერტირობის გამო სასამართლოს გადავეცით, მაშინ გახდა ნაწილი ცუდი?!"** - ამბობს პოლკოვნიკი.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა განცხადებით კი, სახალხო დამცველის აჭარის წარმომადგენლობას ჯარისკაცებმა გასულ კვირას მიმართეს. 27 მაისს სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული სამართველოს უფროსი რეზო ჭარბაძე ბათუმში ჩავიდა, შეხვდა ჯარისკაცებს და ახსნა-განმარტებები ჩამოართვა. ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ აჭარიდან ჩასულ ჯარისკაცებს სამხედრო ნაწილში ცუდად ეპყრობოდნენ, სცემდნენ, ჩაგრავდნენ, ამცირებდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ამის შესახებ მათ თავის დროზე ნაწილის უფროსს, პოლკოვნიკ ბესო ზურაბიშვილს მოახსენეს, რომელმაც ზომებს არ მიმართა. სახალხო დამცველის ოფისი აცხადებს, რომ ჯარისკაცების ცემის ფაქტი ბათუმის სამხედრო გარნიზონის კომენდანტმა ვიცე-პოლკოვნიკმა ნინიძემაც დაადასტურა თავის ახსნა-განმარტებაში. ნინიძე მომხდარის შესახებ პირადად ესაუბრა ლაგოდეხის სამხედრო ნაწილის უფროსს. თუმცა, მოგვიანებით, სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსის გიორგი ონიანის მიერ ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებაში ზურაბიშვილმა დაწერა, რომ მისთვის უცნობი იყო მსგავსი ჩაგვრისა და დამცირების ფაქტები. მოპოვებული მასალები, ახსნა-განმარტებები და სამედიცინო ცნობები სახალხო დამცველის აპარატმა 28 მაისს გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. გენერალურმა პროკურატურამ საქმე მოსაკვლევად კახეთის საოლქო პროკურატურას გადასცა. დაკითხვები გუშინ მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. კახეთის სამხარეო პროკურორის თამაზ ცაბუტაშვილის განცხადებით, ნაწილში დაბრუნებულმა მირზა კურცხალაძემ ჩვენების დროს დაადასტურა, რომ მასზე და მის მეგობრებზე სამხედრო ნაწილში ფიზიკურ ძალადობას ახდენდნენ. ცაბუტაშვილის თქმით, დანაშაულში მხილებული ოფიცრების მიმართ, საქმე 333-ე მუხლის მესამე პუნქტით აღიძვრება - სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

საოლქო სასამართლოს დადგენილება გასაჩივრდა

რამდენიმე თვის წინ "24 საათში" გამოქვეყნდა სტატია, სახელწოდებით, "სამართალდამცველებისგან განსხვავებით, ყალბი ვიზების დამამზადებლებს და მათ მფარველებს მართლმსაჯულება არ ინდობს". სტატიაში საუბარი იყო სასამართლოს მიერ საბერძნეთის საელჩოში ყალბი ვიზის გაცემის გამო დაპატიმრებული ქალბატონის სასამართლო პროცესზე გამოტანილი განჩინების შესახებ, რომლითაც პროკურატურას დაევალა დაზარალებული მხარის მიერ დანაშაულის თანამონაწილედ მონათლული საბერძნეთის კონსულის თარჯიმნის მადლენა ტატაროვას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტა.

როგორც გაირკვა, სასამართლოს დადგენილებაში მოხსენიებულ ტატაროვას ელენე ჰქვია და იგი არ არის საბერძნეთის კონსულის თარჯიმანი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მიწვეული სპეციალისტის სახით, თარჯიმნის მოვალეობას ასრულებს საკონსულოში. რაც შეეხება სასამართლოს მიერ მის დანაშაულში ეჭვის შეტანას და პროკურატურისთვის მიცემულ დავალებას, ტატაროვას ადვოკატმა, გიორგი თურაზაშვილმა საოლქო სასამართლოს ეს დადგენილება უზენაეს სასამართლოში უკვე გაასაჩივრა და მისი თქმით, დაწყებულია მისი კლიენტის დარღვეული უფლებების აღსადგენად საქმის წარმოება.

ამასთან, ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ მოითხოვოს საქმეში დაზარალებულად ცნობილი სოფიო პოპოვასა და მისი ადვოკატის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, მეტიც – მისი კლიენტი აპირებს ფულადი კომპენსაციაც მოითხოვოს სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის.

მოკლედ

სახალხო დამცველმა მორიგი ცრუმოწმე გამოავლინა

თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ, ჩხრეკის შედეგებზე დაყრდნობით დაკავებულ ბარდაველიძეს ეჭვმიტანილად ცნობის ოქმი წარუდგინა. ჩხრეკის დამსწრე ერთ-ერთი ცნობილი ცრუმოწმე - თემურ გოგიჩაიშვილი იყო.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოკვლეული მასალების მიხედვით, თემურ გოგიჩაიშვილი ექვსჯერ არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული. ამასთან, იგი ინტენსიურად ესწრება პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩატარებულ ჩხრეკებს.

სოზარ სუბარს საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ გოგიჩაიშვილი დაინტერესებულია სამართალდამცველთა მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგებით და პოლიციასთან უკანონო თანამშრომლობას ეწევა. სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურორს ვაჟა აბაკელიას და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს ლევან მაღრაძეს. ომბუდსმენი გოგიჩაიშვილის ახსნა-განმარტების სანდოობის, მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შესწავლას და შესაბამისი ზომების მიღებას მოითხოვს. **24 საათი**

ნათლობა საპატიმროში

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრუწლოვანთა კოლონიაში სამი არასრუწლოვანი მსჯავრდებული საბურთალოზე მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარმა მამა გიორგიმ მონათლა. დაწესებულების დირექტორის ხათუნა ჯაპავას ინფორმაციით, ნათლობა წმინდა ნინოს ხსენების დღეს დაემთხვა.

მსჯავრდებულთა ნათლიები არიან დაწესებულების თანამშრომლები, მათ შორის - ხათუნა ჯაპავა.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს პატიმართა თანამეგობრობამ" იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ჰუმანიტარული ტვირთი - სამედიცინო აპარატურა შეიტანა. ჰუმანიტარულ ტვირთში შედის ქირურგიული კაბინეტი, ქირურგიული ინსტრუმენტები, საწოლები, სამედიცინო პერსონალის სპეციალური ტანსაცმელი და სხვა ნივთები, რომელიც საქართველოში შვეიცარიიდან, აღნიშნული ორგანიზაციის სათავო ოფისიდან გამოიგზავნა.

"საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის" ხელმძღვანელის ლალი აფციაურის თქმით, მისი ორგანიზაცია გეგმავს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის ოთხი სტომატოლოგიური კაბინეტის გადაცემას, რომელსაც საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოიტანენ. **24 საათი**

გიორგი აბაშიძის ყოფილი დაცვის უფროსი კვლავ დააკავეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ვაჟის გიორგი აბაშიძის ყოფილი დაცვის უფროსი როლანდ ბერიძე, მეტსახელად "ჩაკია", დააკავეს.

შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის აჭარის რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებმა დაკავების ოპერაცია აჭარის ტელევიზიის წინ, მემედ აბაშიძის გამზირზე განახორციელეს. "ჩაკია" იქ მეგობრებთან ერთად იდგა. ერთი წლის განმავლობაში ის უკვე მეორედ დააკავეს. პირველად იგი პოლიციას საკუთარი ნებით ჩაბარდა, როდესაც საქართველოში ჩამოსული ასლან აბაშიძის ქალიშვილის დიანა აბაშიძის სახლთან მისი მეგობრები სპეციდანიშნულების რაზმმა აიყვანა. მაშინ პოლიციას ჩაბარებულ როლანდ ბერიძეს ბრალად აჭარაში მიტინგების დარბევა წაუყენეს. რვათვიანი პატიმრობის შემდეგ, ბერიძე ორი თვის წინ გაათავისუფლეს.

როგორც სამართალდამცველებმა განაცხადეს, "ჩაკიას" ამჯერად, ჯიბეში ნარკოტიკი აღმოაჩნდა. როლანდ ბერიძე დაკავებისას სამართალდამცველებს წინააღმდეგობას უწევდა და ყვიროდა, რომ მას ნარკოტიკები ჩაუდეს. **ინტერ-პრესი**

კონსტანტინე კემულარია ყირგიზეთის სამთავრობო დელეგაციას შეხვდა

საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი, იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია დღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ამ ქვეყნის ვიცე პრემიერ-მინისტრი ადახან მადუმაროვი ხელმძღვანელობდა.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ყირგიზეთის ფინანსთა მინისტრი აკილბეკ ჟაპაროვი, ყირგიზეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში აპას ჯუმაგულოვი და სხვები.

„ჩვენს ქვეყანაში, როგორც საქართველოში წელიწადნახევრის წინათ, პოსტრევოლუციური პერიოდია და ამიტომ მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარება, რაც საქართველოს ხელისუფლებას აქვს", - განუცხადა ჟურნალისტებს ადახან მადუმაროვმა.

კონსტანტინე კემულარიას თქმით, შეხვედრაზე ისაუბრეს კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე, ასევე სამართალდამცავი ორგანოების რეფორმაზე, ხელისუფლების ურთიერთობაზე არასამთავრობო სექტორთან და მასმედიასთან. „სტუმრებს ამ კუთხით ჩვენი გამოცდილება აინტერესებდათ", - აღნიშნა კემულარიამ.

ორი სიტყვით

წალენჯიხა. 40 წლის ელისო ხარაშვილმა 11 წლის შვილი - ვანო სიჭინავა მოკლა. წინასწარი ინფორმაციით, დედამ შვილი ჯერ დაახრჩო, შემდეგ კი დანით დაჩეხა. მოგვიანებით, იგი მდინარეში გადახტა და დაიხრჩო. მკვლელობა წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში მოხდა. სოფლის მოსახლეობის თქმით, ელისო ხარაშვილი სულიერად იყო დაავადებული და მკურნალობდა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ საბაჟო დეპარტამენტის დასავლეთის ფოთის საგუშაგოს ინსპექტორი თენგიზ კეკელიძე დააკავა. ცოტა ხნის წინათ ფინანსურმა პოლიციამ კონტრაბანდული წესით შემოსული დიდი ოდენობით პროდუქცია დააკავა, რომელიც უკრაინიდან ბათუმში გამოიგზავნა. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მებაჟე თენგიზ კეკელიძემ სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა - არ დაათვალიერა ავტომანქანა, რომელშიც ტვირთი იყო განთავსებული და არც იმისთვის მიუქცევია ყურადღება, რომ მანქანას სინამდვილეში სხვა ლუქი ედო, საბუთებში კი სხვა იყო გაფორმებული. მებაჟე კეკელიძის დაპატიმრების შესახებ გამოძიებამ სასამართლოს უკვე მიმართა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავასთან დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის გადმომტანი დაიკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციდანიშნულების რაზმის ყოფილ თანამშრომელს ლაშა ქავთარაძეს აფხაზეთიდან საკუთარი მანქანით გადმოჰქონდა 5 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი. ყოფილი პოლიციელი დაკავებულია, მისი დაპატიმრების მოთხოვნით გამოძიებამ სასამართლოს უკვე მიმართა. **მედიანიუსი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....
ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....
საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და წაიგზავნის თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქუპონები, ჭეროსანებში არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ასევე თბილისში მეტროს ქვეშით ნაგოსლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "საბურთალო II";
6. მეტროს სადგური "გარეჯული";
7. მეტროს სადგური "ნაძალადევი II".
(ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაჟას მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმარკის" შენობის ჩრდილოეთ სარკული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77, იურიდიული ოფისი "გაპი".

ადამიანები ოპტიმიზმით უნდა დავმუხტოთ

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს

ამ წერილის გამოგზავნას მავალდებულებს ის მძიმე, თითქმის კატასტროფული მდგომარეობა, რომელშიაც ამ ბოლო დროს ქართული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები აღმოჩნდა და მათ შორის, რასაკვირველია, ჩვენი ხალხის მიერ კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად მიჩნეული ჟურნალი "მნათობი", რომელსაც დღიდან დაარსებისა (1924 წ.) არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა. ამჟამად "მნათობი" დახმარებას კი არა, შველას თხოულობს, თანაც სასწრაფოსა და გადაუდებელს. აგერ უკვე ნახევარი წელია, სახელმწიფო ჟურნალს აღარ აფინანსებს, ეს კი, პირდაპირ რომ ვთქვა, ჟურნალის დახურვას ნიშნავს, რაც საქართველოში არც ერთ, თვით კომუნისტ ოკუპანტსაც კი არ ჩაუდენია.

თქვენზე უკეთესად ვის უნდა მოეხსენებოდეს, რომ დღევანდელ დღეს, მრავალი და მრავალი მიზეზის გათვალისწინებით, ქართულ კულტურას სახელმწიფოს დახმარების გარეშე არსებობა არ შეუძლია. თავისუფლება კულტურის ენით მეტყველებს, ამდენად კულტურაც სახელმწიფოებრივი ფენომენია, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ამას წინათ ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაზე, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ჩამოთვალეთ ჩვენი ისტორიული მტრები: არაბები, სპარსელები, მონღოლები, თურქები, რუსები. ყველაფერს თავისი სახელი დაარქვით. ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველთვის ჭკვიანი მტრები გვყავდა, რომლებმაც ჩვენი მთავარი ძალა იცოდნენ და ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხატს, წიგნსა და ფრესკას ანადგურებდნენ.

წარმატებული რევოლუციის ეიფორია ჯერ კიდევ არ გამქრალა, მღელვარებისგან ამოვარდნილი გული ჯერ საგულეში არ ჩაგვიბრუნებია, ალბათ ამის გამო, არც არის საკვირველი, რომ ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოხელეც, ჯერჯერობით, გულით აზროვნებს და არა თავით. უძველესი და უმდიდრესი ქვეყნების გამოცდილების ჩვენს სინამდვილეში გადმოტანა, მიუხედავად ეფექტურობისა, აშკარად ვერ ეგუება ჩვენს გენეტიკურ ჩვევებსა თუ ტრადიციებს, შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ, მათი დაჩქარებით, დამკვრელური წესით დანერგვის გამო. რასაკვირველია, არ შეიძლება ეჭვის შეტანა ახალ მოხელეთა გულწრფელობაში, რომლებიც, სწორედ რომ გულწრფელად, ვერც კი წარმოიდგენენ, უნებურად ხელს რომ უწყობენ ჩვენში ნიჰილიზმის დამკვიდრებასა და გავრცელებას, რომელსაც, ბატონო პრეზიდენტო, სამართლიანად, "ჩვენი უპირველესი მტერი" უწოდეთ. ეს არის ნიჰილიზმი ყველაფრის მიმართ,რასაც დღეს ვაკეთებთ და რაც წარსულში გაგვიკეთებია. ეს კი განსაკუთრებით დამაფიქრებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ჰაერში გამოკიდებულ, უფესვო, უთვისტომო, უწარსულო ხალხად ვევლინებით მსოფლიოს, ხოლო ასეთი ხალხის არათუ კარგ, არამედ საერთოდ მომავალზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ნიჰილიზმმა უკვე მიაღწია იმას, რომ ჩვენი უძველესი, ერთიანი კულტურა დაჰყო "გუშინდელ" და "დღევანდელ", "ძველ" და "ახალ" ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად. კულტურის გახლეჩვა ერის შეგნებაში აჩენს სახიფათო ბზარს, რომელსაც დროზე თუ არ მივხედავთ, შეიძლება იმ უფსკრულად გადაიქცეს, ჩენს ეროვნულ თავისთავადობას რომ შთანთქავს. მოგეხსენებათ, თუ რა შეიზარავ ბოროტებას წარმოადგენდა ლენინური თეორია ხალხის "ორი კულტურის" შესახებ, რომელიც შემდგომში სამოქალაქო ომის იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა. ნამდვილად სიცოცხლისუნარიანია ის კულტურა, რომელიც მემკვიდრეობითი ესტაფეტის საშუალებით ინარჩუნებს მთლიანობას და ერთადერთი დრო გააჩნია – მარადისობა! მოგეხსენებათ, კულტურაში, კერძოდ – მწერლობაში, ბევრი რამ, რაც ძველია, მარადიულიცაა! ამავე დროს, რაოდენ სასიხარულო და მისასალმებელია, რომ დიდი საზოგადოებრივი ძვრების ფეხდაფეხ, ჩენს ქვეყანაში მოდის ნამდვილი – და არა ტელევიზორის ინკუბატორში გამოჩეკილი – მწერლების ახალი, უნიჭიერესი თაობა, რომელიც ღირსეული და კანონიერი მემკვიდრე გახდება იმ საგანძურისა, ჩვენმა ნაწამებმა, წმინდანებად ქცეულმა წინაპრებმა რომ შექმნეს. ნოვატორობა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც დიდი ტრადიციები არსებობს.

ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს თვალწინ, გაჩნდა ყველა რევოლუციის თანმხლებ მედროვეთა, ანუ ნებისმიერი რევოლუციის ერთნაირად მხარდამჭერთა საკმაოდ გავლენიანი ფენა, რომელსაც რევოლუციის მხარდაჭერა არფიან საქმიანობად უქცევია. სწორედ ეს ფენა, რევოლუციის სახელით, უპირისპირდება ყველაფერს საუკეთესოს, რაც ჩვენს ხალხს საუკუნეების მანძილზე შეუქმნია. ასეთი დაპირისპირებით წარმოშობილი სიტუაცია, ხშირ შემთხვევაში, "კულტურული რევოლუციის" ყველაზე არასასურველ, ჩინურ ვარიანტს ემსგავსება.

ქართველი ხალხის უძველესი კულტურა შეიძლება თავისუფლებისათვის ბრძოლის სინონიმადაც წარმოვიდგინოთ, რომელიც გამუდმებით შეგვახსენებს, რომ ხალხს ღირსების გრძნობას მის მიერვე წმინდად შენახული შემოქმედი სული უნარჩუნებს და უმძაფრებს კიდეც. "სული გქონდეს უსპეტაკეს თოვლისა"-ო, გვმოძღვრავდა დიდი პოეტი, რომელსაც, და მასთან ერთად მთელ "გუშინდელ" ქართულ მწერლობას, გაუგონარი ცინიზმით აბუჩად იგდებენ ზოგიერთ სატელევიზიო არხსა თუ ლიტერატურულ კაფეში. დღევანდელ დღეს თითქმის მოდად ქცეული ნიჰილიზმი უპირისპირდება და ერთგვარად ახშობს კიდეც თავდაპირველ პათოსს ახალი რევოლუციისა, რომელიც, გვწამს, მოწოდებულია – ჩვენი კულტურა, ფაქტობრივად, იგივე ეროვნული ენერგია, ღირსეულ მომავალში შესვლის გარანტად აქციოს. ამიტომ, აჩქარებისა და ზედმეტი თავგამოდების გამო, ადვილი შესაძლებელია, თავისთავად რევოლუციური, აღმშენებლობის სულისკვეთებით შთაგონებული რეფორმა რეაქციულ მოვლენად გადაგვარდეს. გონიერი თავშეკავებით რომ უმნიშვნელოვანესი წარმატების მიღწევა შეიძლება, ეს თვალნათლივ დაგვანახა 2003 წლის ნოემბერში პარლამენტის წინ შეკრებილმა ათი ათასობით ადამიანმა.

მართალია, "მნათობი" დღეს ძალიან პატარა ტირაჟით გამოდის, მაგრამ ასეთი დიდი ტრადიციების ჟურნალის არსებობა დღევანდელ დღეს, თავისთავად, იმის მაუწყებელია, რომ ყოფილი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე, კომუნისტური რადიაციით მოწამლულ სივრცეში, სიცოცხლე მაინც გრძელდება. სხვათა შორის, სხვა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მთავარი ლიტერატურული ორგანოების ტირაჟებიც ამჟამად საგრძნობლად შემცირებულია, მაგრამ, რასაკვირველია, ყოვლად წარმოუდგენელია, ვინმემ, თუნდაც ფიქრში, დაუშვას, ვთქვათ, "ნოვი მირის" დახურვა. დღეს ჟურნალ "მნათობის" არსებობა იმედის ყლორტს აჩენს უამრავი და უამრავი ჩვენი მოქალაქის გულში. ჩვენი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების, ანუ ჩვენს მიერ ბევრჯერ ნაცადი "ქვემეხების" მოულოდნელი ჩაჩუმება, უნებურად მაინც, გაგვახსენებს იმ საბედისწერო შეცდომას, როცა, მტრის გაფთრებული იერიშების დროს, სოხუმიდან მძიმე ტექნიკა გამოვიტანეთ...

იქნებ ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოხელესთვის შეგეხსენებინათ, რომ ხელოვნების ვერც ერთი დარგი, თვით სახელმწიფოს მიერ გამორჩეულიც კი, ვერ განვითარდება იქ, სადაც მწერლობისადმი პილატესეულ დამოკიდებულებას იჩენენ. ამ შემთხვევაში ყოველგვარი ცალმხრივობა გამოუსწორებელი შეცდომის ტოლძალია. რატომღაც მაინცდამაინც ეს – ყველასთვის აქსიომად ქცეული – შეხედულება დავივიწყეთ. ძველ საბერძნეთში, სპორტული ოლიმპიადების გვერდით, პოეზიისა და დრამატურგიის ოლიმპიადებიც იმართებოდა და მათი წყალობით, მსოფლიო კულტურას დღესაც ამშვენებს დიდი პოეტების, თუნდაც სოფოკლეს, ევრიპიდესა და არისტოფანეს სახელები...

იმედი მაქვს, თქვენი თაოსნობით ჩვენშიაც დამკვიდრდება და საქმედ იქცევა საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება, რომ კულტურა, კერძოდ – მწერლობა, წარმოადგენს ეროვნულ საგანძურს და დაცულია სახელმწიფოს მიერ.

ეს წერილიც ამ დიდი იმედითაა შთაგონებული.

პატივისცემით
თამაზ ჭილაძე
ჟურნალ "მნათობის" მთავარი რედაქტორი

საინფორმაციო პოლიტიკის ის მიმართულებები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული უმცირესობების ობიექტურ, ადეკვატურ ინფორმირებასთან საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესების შესახებ, უთუოდ საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და ამ წერილში შემოგთავაზებთ მოსაზრებებს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომელთა თაობაზე საუბარიც, ვფიქრობ, ბევრ საკითხზე ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის.

მოგეხსენებათ, ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის საკითხებში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება არაქართულენოვანი საინფორმაციო საშუალებების მოღვაწეობას. მათ შორის ჩვენს გაზეთს, რომელმაც, მრავალი წარმატებული თუ წარუმატებელი ცვლილების შემდეგ, მაინც შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია საქართველოს საინფორმაციო სივრცეში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიან, ფხიზლად რეაგირებენ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე, ვითარდებიან და ცდილობენ უკეთესობისაკენ წაიყვანონ საზოგადოებაც. ბუნებრივია, მედიის გავლენა ძალიან დიდია. ამიტომ, როგორც არასდროს, ისე გაიზარდა იმ ადამიანთა პასუხისმგებლობა, ვისი მეშვეობითაც პრესა საზოგადოებრივი მიზიდულობის ცენტრი გახდა.

საიდუმლო არაა, რომ მედიის, საზოგადოებისა და ხელისუფლების კავშირში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საინფორმაციო უსაფრთხოებას.

თანამედროვე პირობებში საინფორმაციო სფერო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემის შემქმნელი ფაქტორია და რაც უფრო აქტიურად ვითარდება იგი, მით უფრო მეტადაა დამოკიდებული მასზე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკური, თავდაცვითი, ეკონომიკური და სხვა შემადგენლები. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების პირობებში ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზრდება.

როცა ცხოვრება უსწრაფესად იცვლება, თანდათან იკვეთება დიალოგის აუცილებლობა – დიალოგისა ეროვნული დიასპორების წარმომადგენლებთან, რომელთაც გააჩნია საკუთარი აზრი, სურთ გაერკვნენ ყველაფერში რისხვისა და მიკერძოების გარეშე, რათა ერთად ვცადოთ ხელოვნურად აღმართული, ჩვენი დამაშორებელი საზღვრების, შიშის, უნდობლობისა და გაუცხოების დაძლევა, რათა ჩვენმა ურთიერთგაგებამ ასახვა ჰპოვოს საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

ჩემთვის, როგორც რუსულენოვანი გაზეთის წარმომადგენლისათვის სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ "სვობოდნაია გრუზიას" მიერ განხორციელებული ერთობლივი ქართულ-რუსული პროექტი ორგანულად შეერწყა ქვეყნის საინფორმაციო ველს. ერთიანი საინფორმაციო სივრცე, რომლის თაობაზე ამდენს საუბრობენ, ნელ-ნელა ყალიბდება სწორედ ასეთი საერთაშორისო პროექტების მეშვეობით. მათი წარმატებით განხორციელებისათვის კი საქართველოში ყველა პირობა არსებობს.

მინდა გავიხსენო ერთი ცნობილი გამონათქვამი: "თუ საკუთარი თავისთვის არ ვიქნებით, ვინ იქნება ჩვენთვის? და თუ მხოლოდ საკუთარ თავზე ვიზრუნებთ, რისთვის მოვედით ამქვეყნად?" ჩვენ რომ მხოლოდ საკუთარი თავისათვის არ ვართ – გასაგებია, რადგან ეს ჩვენი პროფესიის სპეციფიკაა, მაგრამ, სამწუხაროდ, საკუთარ თავსაც რომ ვერ ვუვლით?! ამას კი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები განაპირობებს.

ჩვენ გვესმის, რომ ჭეშმარიტების ის მომენტი დგება, როცა აუცილებელია გამოცდილების გააზრება და პროფესიულ ბედზე ფიქრი.

დამოუკიდებლობის განვლილი 14 წლის მანძილზე საქართველოს საინფორმაციო ველი ძირფესვიანად შეიცვალა. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ის ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბაზარი თანდათან სტრუქტურდება, ეკონომიკასაც ზრდა დაეტყო, რაც დიდ და მცირე გაზეთებს არსებობის საშუალებას მისცემს. სახელმწიფო საკმაო ხნის განმავლობაში თვალს ხუჭავდა სხვადასხვა დარღვევებზე, რითაც ბაზრის განვითარების, გამოცემების ფეხზე დადგომისა და მომაგრების საშუალებას გვაძლევდა.

დღეს ჩვენ გვესმის, რომ თამაშის წესები იცვლება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი კონტურები იკვეთება.

ქართული ჟურნალისტიკა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სასარგებლო, თუ სახელმწიფო დააფინანსებს ჟურნალისტური კადრების მომზადებას. ქვეყანაში ჟურნალისტიკის ათეულობით ფაკულტეტია, მაგრამ კურსდამთავრებულთა ხუთიოდე პროცენტს თუ შეუძლია კვალიფიციური მუშაობა.

სერიოზულად დამაფიქრებელია ხელისუფლებისა და საინფორმაციო საშუალებების, მედიისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება. ერთის მხრივ, მოსახლეობა ჟურნალისტებთან ეძებს გაგებასა და მხარდაჭერას, მეორეს მხრივ კი – შიშობს, რომ ჟურნალისტიკა დემოკრატიაზე შურისძიების ინსტრუმენტად არ იქცეს და საზოგადოებამ მასზე კონტროლი არ დაკარგოს.

ამჟამად რამდენიმე საერთაშორისო ფონდს აქვს გამოყოფილი გრანტები, რომელთა სხვადასხვა ჟურნალისტებსა თუ საინფორმაციო საშუალებებზე გაცემით, ხელს უწყობენ მათს განვითარებას. სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს მედიის მხარდამჭერი სახელმწიფო ფონდი. მისი შექმნა, ჩემი აზრით, მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია.

ურიგო არ იქნებოდა, თუკი გაიზრდებოდა პრეზიდენტის თანმხლები ჟურნალისტების რიცხვი. კარგად გვესმის, თუ რატომ სჭარბობენ ამ დელეგაციებში ტელეჟურნალისტები, როგორც ახალი ამბების მთავარი და ოპერატიული მიმწოდებლები. მაგრამ, ამავე უფლებით უნდა სარგებლობდნენ ბეჭდური მედიის წარმომადგენლებიც. გარწმუნებთ, რომ აქაც ბევრი ნიჭიერი ჟურნალისტია, რომელთაც ძალუძთ პროფესიულად ასახონ ქვეყნის პირველი პირის მუშაობის ხასიათი და დინამიკა. ამ თემას იმიტომ არ შევხებივარ, რომ იმის გარკვევა ვცადო, ვის ენიჭება მთავარი როლი საინფორმაციო პოლიტიკაში – ტელე, თუ გაზეთის ჟურნალისტს. უბრალოდ, მინდა მოგაგონოთ, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსისგან ისიც კი გაისმა, საჭიროა თუ არა საერთოდ გაზეთი. ზოგი უფრო შორს მიდის და ბეჭდურ მედიას დასამარებასაც კი უწინასწარმეტყველებს. საბედნიეროდ, ამ "იდეას" ნაკლებად გამოუჩნდნენ მხარდამჭერები, რადგან ცნობილია, რომ გაზეთების დახურვა უამრავ ინფორმაციულ პრობლემას შექმნის, განსაკუთრებით რეგიონებში, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ხელისუფლებისათვის. უმთავრესად ეს ეხება იმ რეგიონებს, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. მინდა დაგარწმუნოთ, რომ პრესა ყველაზე ახლოს არის პროვინციელ მცხოვრებლებთან, პასუხობს მათ მოთხოვნებს და ასრულებს საზოგადოების ინფორმაციულ დაკვეთას. ეს ფაქტია. არაქართულენოვანმა გაზეთებმა საინფორმაციო ბაზარზე იპოვეს საკუთარი ადგილი და ესეც ჭეშმარიტებაა. მართალია, მათ გამოიარეს ოპტიმიზაციის წლები. ამ დროის მანძილზე შემცირდა მათი მოცულობა, პერიოდულობა და ა.შ., რისი მიზეზიც, რა თქმა უნდა, ქრონიკული უსახსრობა გახლდათ.

ჩემი თვალსაზრისით, ეს გაზეთები უფრო მეტი ყურადღების ღირსნი არიან, როგორც მკითხველთა, ასევე და კიდევ უფრო მეტად – სახელმწიფოს მხრიდან.

დასამალი არაა, რომ ეს გაზეთები სახელმწიფო მიმართულების პრესას წარმოადგენენ. ისინი ხელისუფლებასთან ურთიერთობაში და სახელმწიფო პრიორიტეტების გაშუქებისას ემორჩილებიან გარკვეულ წესებს. სხვა საქმეა – როგორ ვაკეთებთ ამას, მაგრამ პრიორიტეტები ნამდვილად არსებობს. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მეორეს მხრივ, ხელისუფლებასაც აძლევს ხელს, რომ ვწერით სიმართლე, თანაც ვწეროთ უკეთესად. მათთვისაც და ჩვენთვისაც ასე უფრო იოლია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოცემებმა, თვითდაფინანსების პირობებში (სახელმწიფოს ნაწილობრივი დახმარებით), გარკვეულ ზრდას მიაღწიეს, ახლა კი – შეიძლება ითქვას, ერთ ადგილს ტკეპნიან. მიზეზი ერთადერთია: ასეთ სპეციფიკურ გაზეთებს განვითარებისათვის სახელმწიფო დახმარება სჭირდებათ. დიახ, განვითარების შემაფერხებელი პრობლემაა მწირი დაფინანსება, რომლის გამოც რედაქციები განიცდიან თანამედროვე ტექნიკის ნაკლებობას, თანამშრომლებს აქვთ ჩვენი დროისათვის სამარცხვინოდ დაბალი ხელფასები (სანაცვლოდ, უსაზღვრო დატვირთვა) და ა.შ. მოკლედ, დღესაც იგივე პრობლემებია, როგორც მაშინ, როცა არაქართულენოვანი პრესა მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ეროვნული უმცირესობებისადმი ახლა სხვა დამოკიდებულებაა, სხვა საინფორმაციო სივრცეა და, აქედან გამომდინარე, ამგვარი გაზეთების ფუნქციაც სრულიად განსხვავებულია.

მე არ მინდა, რომ ამ პრობლემების წამოწევა თქვენ რედაქტორის წუწუნად აღიქვათ. საუბარია გამოცემათა დაფინანსების სტანდარტების შემოღებაზე. სახელმწიფო ჩვენს დაფინანსებას დოტაციად თვლის, მაგრამ ეს არაა დოტაცია.

როცა ერთიანი სტანდარტები არ არსებობს, მართლაც, გამოდის, რომ ინფორმაციული დაკვეთის მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, უნდა თუ არ უნდა ჩინოვნიკს თანხის მოცემა. ვთვლი, რომ სტანდარტები უნდა ითვალისწინებდეს გაზეთის მოცულობას და, გარკვეულად, მის მნიშვნელობასაც.

მესმის, რომ ეს გაზრდის ხარჯებს, მაგრამ დღესდეღეობით ამ ტიპის პრესის თვითდაფინანსების პირობებში არსებობა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. გასათვალისწინებელია, რომ ბეჭდური სარეკლამო ბაზარი ჩვენთან საკმაოდ განუვითარებელია.

ვფიქრობ, სპეციფიკურ გამოცემებს სრულმასშტაბიანი ფინანსური მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეთ.

90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული არაქართულენოვანი გაზეთები ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა იმ პროცესის თანამონაწილენი არიან, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მიმდინარეობდა. კარგად გვაქვს ასევე გაცნობიერებული, რა ხდება დღეს ჩვენს სფეროში და გვჯერა, რომ, გააზრებული მენეჯმენტის მეშვეობით, კვლავაც ვიპოვით საკუთარ ადგილს ჩვენი საინფორმაციო ბაზრის მძლავრ ნაკადში.

ჩვენ ვცდილობთ მკითხველს, უპირველესად ობიექტური, განწყობილებული ინფორმაცია მივაწოდოთ. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პროდუქციის მომხმარებლები განათლებული, ჭკვიანი ხალხია, ისინი კარგად ერკვევიან, თუ რად ღირს ესა თუ ის შეფასება და, აქედან გამომდინარე, არ ვისახავთ მიზნად მათი ცნობიერებით მანიპულირებას. რა თქმა უნდა, ეს ჩვენს გამოცემებს არ ართმევს საკუთარი ანალიზის თუ აზრის გამოთქმის უფლებას. თუმცა, ვკისრულობთ რა პასუხისმგებლობას და სერიოზულ მოვალეობებს, ადეკვატურ დამოკიდებულებას და მხარდაჭერას ვსაჭიროებთ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა ტოლერანტობით და ეთნიკური ნიშნით ჩვენს მოქალაქეებს აქ პრობლემები არ ექმნებათ. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს საინფორმაციო პოლიტიკაში ამ მიმართულებით ჯერჯერობით იგრძნობა სუსტი მხარეც. საქმე ეხება ინფორმაციებს სახელმწიფო ტენდერების, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების, პროექტების შესახებ, არსებული ვაკანტური თანამდებობების დაკავების მსურველთათვის განკუთვნილ მასალებს და ა.შ.

ახლახან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ჩაატარა ტენდერი ამ ტიპის ინფორმაციების სავალდებულო გამოქვეყნებაზე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მათ მიაჩნიათ, რომ ამ გზით ორგანიზაციებმა თანხებიც დაზოგეს.

აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ, საქართველოს მოქალაქეთა 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში ქართულ ენას თავისუფლად ფლობს 3 მლნ. 881 ათასი მოქალაქე, რუსულს – 1 მლნ. 548 ათასი, ხოლო ინგლისურს – 163 ათასი. თქვენ კარგად იცით, რომ საქართველოში მუშაობს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, ფუნქციონირებს უცხოური ფირმების ფილიალები. მათ შორის საკმაოდ ბევრია დსთ-ს სახელმწიფოთა წარმომადგენელი.

ვფიქრობ, არ იქნებოდა ურიგო, ზემოთხსენებული დანაზოგი თანხის გარკვეული ნაწილი მოხმარებოდა ამ ინფორმაციებისა და საკანონმდებლო აქტების რუსულ ენაზე გამოქვეყნებას.

ეს იქნებოდა კიდევ ერთი დასტური, რომ საქართველოს ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა აქტიურ ჩაბმას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ფონზე, არ მინდა შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ დამოუკიდებლობის უმთავრეს მონაპოვარს – სიტყვის თავისუფლებას.

როგორი წინააღმდეგობრივი და რთულიც უნდა იყოს დღევანდელობა, მუდამ გვახსოვს, რომ ჩვენ თავისუფლებისა და პლურალიზმის პირობებში ვმუშაობთ, მითუმეტეს, რომ ყველაფერს ერთმანეთთან შედარებით აღვიქვამთ კონკრეტული პირობების კონტექსტსა და კონკრეტულ დროში.

რასაკვირველია, უცოდველნი არც ჩვენ ვართ. ჩვენც გვაქვს შეცდომები, რომელთაგანაც დაზღვეულია მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს. შეცდომები ბუნებრივია, რადგან ჩვენ ხშირად უდროობის ზღვარზე ვმუშაობთ. ამასთან, ყოველთვის როდი ვართ საზოგადოებრივი ცხოვრების ექსპერტები. ეს ფაქტია.

იმისდამიხედვით, თუ როგორ განვითარდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პირდაპირაა დამოკიდებული დემოკრატიისა და ქვეყნის პერსპექტივის ბედი.

ის მოვლენები, რომელთაც გასულ საუკუნეში ტექნოლოგიურ რევოლუციას უწოდებდნენ, დღეს ჩვეულებრივ სადაგ საქმედ იქცა. ტექნიკური სიახლენი სწრაფად ინერგება ჩვენს პროფესიულ მოღვაწეობაშიც. ყოველივე ეს თანამედროვე მსოფლიოში მედიის როლის ღრმა გააზრებას მოითხოვს. ამასთან, გლობალიზაციის პირობებში, რისთვისაც ჩვენ ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ, აქტუალური ხდება ეროვნული ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა.

ეს მხოლოდ სახელმწიფო ამოცანა როდია. ქართული მედიასტრუქტურები ამ პოლიტიკის აქტიური, გონიერი მონაწილე და გამტარებელი უნდა გახდნენ.

მართალი ინფორმაცია აუცილებელია თავისუფალი საზოგადოებისათვის. ის შესაძლებლობას აძლევს ხალხს, გაერკვეს:

სად არის რეალური ცხოვრება და სად – დემაგოგია;

სად არის ობიექტურობა და სად – პირადი ინტერესებით ჟონგლიორობა;

სად არის საქმიანი დამოკიდებულება და სად – ხელისუფლებისათვის ბრძოლა;

საჭიროა, დავეხმაროთ ადამიანებს, სწორად გაერკვნენ ამ საკითხებში. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მედია მიუკერძოებლად მოემსახურება ხალხს.

საინფორმაციო სფერო მთლიანად არ უნდა დაეთმოს სამართავად საბაზრო რეგულირების მექანიზმებს. მართალია, დღეს სახელმწიფო საინფორმაციო სფეროს დირექტივებით არ მართავს, მაგრამ სამართლებრივი რეგულირება და სტრატეგიული დაგეგმარება – ნებისმიერი დემოკრატიული წყობის ატრიბუტია. ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მედია-ბიზნესის განვითარების აუცილებელი პირობების შექმნას. ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ ის მხოლოდ მაყურებელი უნდა იყოს და არა ინფორმაციული მოღვაწეობის თანაბარუფლებიანი და აქტიური მონაწილე.

როგორც ჩანს, მომწიფდა აუცილებლობა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს, მედიისა და საზოგადოების ურთიერთქმედების დაბალანსებული და მყარი სისტემა.

უპირველესად, აუცილებელია ისეთი საინფორმაციო საშუალებების მხარდაჭერა, რომელთა მთავარი ფუნქციაც საყოველთაო ინტერესების გამოხატვა იქნება.

მეორე: აუცილებელია შევიმუშაოთ სქემები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევს "საინფორმაციო იერიშების" გავრცელებას, არაკორექტული მეთოდებით ინფორმაციის მოპოვებას, განსაკუთრებით კი – ფაქტების ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც ხშირად ნამდვილ ფალსიფიკაციას ემსგავსება.

დაუშვებელია საზოგადოების ცნობიერებაში ჩამოყალიბდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ცალმხრივი, დამახინჯებული სახე.

ეს, რა თქმა უნდა, დღეს არ დაწყებულა. ჩვენ ამ პრინციპის მომსწრენი უკვე ათი წელია ვართ, და სანამ ჩვენს მედიაში ნეგატივი იმძლავრებს, ჩვენი საზოგადოება უფრო ჩამორჩება მოწინავე ქვეყნებს, სადაც მოსწავლემაც კი იცის, რომ მხოლოდ პოზიტიური აზროვნებაა წარმატებული ცხოვრებისა და საქმიანობის საწინდარი. დამეთანხმებით, პოზიტიური აზროვნება სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი საფუძველიცაა.

ჩემი აზრით, ჩვენი საინფორმაციო საშუალებების სერიოზული პრობლემაა ნორმალური ცხოვრების ლამაზად, ღირსეულად და დამაჯერებლად ჩვენება რომ არ შეგვიძლია. ჩვენთვის აუცილებელია, დღეიდანვე დავიწყოთ პოზიტიური ჟურნალისტიკის მშენებლობა და თეთრი პიარის განვითარება.

მერწმუნეთ, ეს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია.

სამწუხაროდ, ჩვენ არც საინფორმაციო სააგენტო გვაქვს, რომელიც ყველა რეგიონში გააერცელებდა სრულ ინფორმაციას. ვფიქრობ, ხელისუფლებამ თვითონ უნდა შექმნას ძლიერი მედიაკომპანია, რომელიც ინფორმაციის არა მხოლოდ რეგიონებში გავრცელებას შესძლებდა, არამედ საზღვარგარეთაც.

ალბათ, საჭიროა შევისწავლოთ იმ დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა, სადაც სახელმწიფოს, მედიისა და საზოგადოების ურთიერთობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არა მხოლოდ რეტრანსლატორები, არამედ საზოგადოებრივ მოვლენათა მონაწილენი, საერთოეროვნული ინტერესების დამცველნი არიან და მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ ეკონომიკურად ძლიერი, გახსნილი, თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნის სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტაში.

საქართველო – ჩვენი საერთო სახლია. აქ უნდა ვიცხოვროთ ჩვენც და ჩვენმა შვილებმაც. და თუ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ცხოვრებას მხოლოდ გავაკრიტიკებთ და არ გავირჯებით მის ასაღორძინებლად, მხარს არ დავუჭერთ მის ყოველ ამონაყარს – ჩვენ პატრიოტებად ვერ ჩავითვლებით.

რა თქმა უნდა, ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ მეტი და მეტი სურს. ის, რაც დღეს მისთვის დეფიციტია, ხვალ ჩვეულებრივი ხდება. ეს ნორმალურია! ხალხი ხელისუფლებას ირჩევს, რომ უკეთ იცხოვროს.

ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს ნაკლოვანებებზე, მაგრამ არ უნდა გავაყალბოთ ფაქტები. არ არის საჭირო არსებულის შელამაზება, მაგრამ უნდა უარვყოთ პესიმისტური სურათი, დავეხმაროთ ადამიანებს დამრთგუნველი ყოფიდან თავის დაღწევაში, მოვუთხროთ მათ იმ ხალხის შესახებ, ვინც წარმატებებს მიაღწია - დავუმტკიცოთ, რომ ცალკეული ადამიანის გადარჩენა შემთხვევითობა კი არა, ნორმაა. გვახსოვდეს, რომ დღეს განვითარებული ქვეყნებიც დიდი დეპრესიიდან კომპრომატების ნაკადით როდი გამოვიდნენ, ისინი წარმატებული ამბების ტალღას გამოჰყვნენ.

ადამიანები ოპტიმიზმით უნდა დავმუხტოთ, საამისო დრო მოვიდა!

ტატო ლასხიშვილი
გაზეთ "სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი

"საბუქარს" ფული არ ჰყოფნის

B2

"ლოკომოტივმა" თასი დეპოში შეიტანა

B4

ქაილი მინოუგის საკონცერტო ტურნე გადაიდო

B8

ქართული გამოფენა ევროპარლამენტში მიიწვიეს

ექსკლუზიური ინტერვიუ ევროპარლამენტის დეპუტატთან

ოთარ ქირია

საქართველოში მომზადებული გამოფენა ევროპარლამენტში მიიწვიეს. ექსპოზიცია პირველად თბილისში მარტში მოეწყო გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ქვეყანაში უხვად არსებობასა და მათი ინვენტარიზაციის პროცესს ასახავდა. სწორედ ამიტომ ეს უჩვეულო გამოფენა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები (მოდ) ქიმიური ნაერთების ერთ-ერთი ყველაზე ტოქსიკური და საშიში კატეგორიაა, რომლებიც ადვილად აკუმულირდება ადამიანისა და ცხოველის ქსოვილში და იწვევს ისეთ საშიშ პათოლოგიებს, როგორებიცაა სიმსივნე, გონებრივი ჩამორჩენილობა, რეპროდუქციული სისტემის მოშლილობა და სხვა. მოდ-ების ჯგუფი შეიცავს პესტიციდების გარკვეულ (აკრძალულ) კატეგორიებს, რაც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება; პოლიქლორირებულ ბიფენილებს, ანუ ენერგეტიკაში გამოყენებულ სინთეტურ ზეთებს და დიოქსინ-ფურანებს ანუ მომწამლავ აირებს, რომლებიც წვის პროცესის შედეგად წარმოიშობა. სხვათა შორის, სწორედ დიოქსინის ნაერთის საფუძველზეა შექმნილი ე.წ. "ნარინჯისფერი აგენტი", რითაც იუშჩენკო მოიწამლა.

თბილისში გამოფენის წარმატებულად განხორციელების შემდეგ პროექტი ექსპოზიციის საქართველოს რეგიონებში გადატანას გეგმავდა, თუმცა, გეგმა დროებით შეიცვალა, ვინაიდან იგი სოფიაში დაგეგმილ პესტიციდების მერვე საერთაშორისო ფორუმზე მიიწვიეს. მაისის ბოლოს გამართულ ფორუმს ბულგარეთის დედაქალაქში ამ სფეროსთან დაკავშირებული ასამდე ქვეყნისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ შორის მასპინძელი ქვეყნის გარემოს დაცვის მინისტრი და ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეც. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ფორუმზე მოხვედრა არ ისურვა საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა ბულგარეთში თეიმურაზ შარაშენიძემ. არადა, ორგანიზატორთა დაჟინებული მოთხოვნით ფორუმი სწორედ ქართული გამოფენით გაიხსნა. შესაბამისად, გამოფენა პროექტის ხელმძღვანელმა გივი კალანდაძემ და ფორუმის დამფუძნებელმა ჯონ ვიიგენმა გახსნეს (ეს უკანასკნელი, ამავდროულად, მსოფლიო სასურსათო და აგრარული ორგანიზაციის ექსპერტია). ჩვენს გაზეთს საშუალება ჰქონდა ამ ფორუმს დასწრებოდა და გასაუბრებოდა ფორუმის ერთ-ერთ სტუმარს, **ევროპარლამენტის დეპუტატს ვიესლავ შტეფან კუცს**. ბატონი კუცი ევროპარლამენტში პოლონეთის კვოტით არის მოხვედრილი. პროფესიით გეოინჟინერი, სამეცნიერო მუშაობის გარდა, დიდი ხნის განმავლობაში კერძო ბიზნესშიც მოღვაწეობდა. ევროპარლამენტში ის სოციალისტური პარტიის სიით მოხვდა და ამჟამად საბიუჯეტო და, იმავდროულად, აგრარული კომიტეტის წევრია.

- ამ ფორუმის მნიშვნელობას ალბათ იცნობთ. როგორია ის?

- გარემოს დაცვისა და აგრარულ სფეროში ეს ყველაზე მაღალი დონის შეხვედრაა 160 დელეგატითა და ყველა შესაბამისი საერთაშორისო თუ ადგილობრივი, სამეცნიერო, კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლობებით.

- ქართული გამოფენა მოგეწონათ?

- შესანიშნავი გადაწყვეტილებაა. მე დავინახე ეკო-არტი, თუმცა, ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება იყო. მთავარი აქ ის არის, რომ უმძიმესი პრობლემა ფართო საზოგადოებისთვის იოლად აღსაქმელ ენაზეა მიტანილი და ის აუცილებლად დააფიქრებს ექსპერტსაც და ჩვეულებრივ მოქალაქესაც. ეს პირველი შემთხვევაა ამ სფეროს პრაქტიკაში და, შეიძლება ითქვას, რევოლუციურიც. როგორც ვიცი, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ხელმძღვანელობამ, ფორუმი ამ გამოფენით გაეხსნა - კარგი მაგალითია არა მხოლოდ გარდამავალი ეკონომიკის, არამედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც. მოდ-ებისა და შხამქიმიკატების ნარჩენების პრობლემა დღეს ყველას აწუხებს და ხვალ ის აუცილებლად მთავარი თემა გახდება. რა თქმა უნდა, დღეს პრიორიტეტულ თემად ითვლება კონფლიქტები, პოლიტიკური და სამხედრო საკითხები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილი ვისხდეთ. პესტიციდებისა და ქიმიკატების საკითხი პირდაპირ უკავშირდება იმას, რასაც ვსუნთქავთ ან მივირთმევთ. მაგალითად, ესპანეთსა და პორტუგალიას დღეს წყლის სიმშრალის სერიოზული პრობლემა აწუხებს. ამაზე აქამდე არავინ საუბრობდა, დღეს კი უკვე მთავარი თემა გახდა.

- მაგრამ ასეთ პრიორიტეტებს სწორედ პოლიტიკოსები და მათ შორის თქვენც განსაზღვრავთ...

- გეთანხმებით, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებთ. მაგალითად, იმას, რომ ფული გარემოს დაცვითი და ასეთი მნიშვნელობის პრობლემებისთვის ყოველთვის არსებობს. თუმცა, ჩემი აზრით, პოლიტიკოსებს იმის პრობლემა მაინც აქვთ, თუ რა მიმართულებით დაიხარჯოს ფული.

- ფიქრობთ, რომ ფული არასწორად იხარჯება?

- ასე რადიკალურად ვერ ვიტყვი, მაგრამ, ჩემი აზრით, გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ თემებს, როგორებიცაა პესტიციდები, მოდ-ები, ნარჩენები და სხვა.

- რადიაციული ნარჩენები?

- უსერიოზულესი პრობლემაა და ამან არაერთხელ აატკივა თავი სხვადასხვა ქვეყანას.

- ჩვენთან ამჟამად განლაგებულია რუსული სამხედრო ბაზები, რომლებიც მალე დატოვებენ საქართველოს. სამხედრო საწყობებს ყოველთვის ახლავს ნარჩენები; რა მდგომარეობაა ამ მხრივ ევროპაში და, ზოგადად, ევროპარლამენტი თუ ფიქრობს ამ პრობლემის მოგვარებას?

- რა თქმა უნდა, და, გარწმუნებთ, ეს მხოლოდ საქართველოს არ ანუხებს. არ დაგავიწყდეთ ატომური ელექტროსადგურები. გახსოვთ ალბათ უკრაინის მაგალითიც. მაგალითად, გერმანია იძულებული გახდა, დაეხურა ელექტროსადგური და კოლოსალური თანხა დახარჯა როგორც დახურვაზე, ისე ნარჩენების უტილიზაციაზე. მაგრამ იგივეს ვერ გააკეთებს ბულგარეთი, რადგან ელექტროენერგიის 75 პროცენტს ეს ქვეყანა სწორედ ატომური ელექტროსადგურიდან იღებს. იგივე ხდება ლატვიაშიც. თუმცა, იქ უკვე გადაწყდა დახურვა და, როგორც დღეისთვის არის ცნობილი, ისინი ელექტროენერგიას შეისყიდიან. საერთოდ, დოკუმენტი ამ საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტული ფორმულირებით, ევროპარლამენტს მიღებული ჯერ არა აქვს, მაგრამ ეს საკითხი უკვე განხილვის სტადიაშია და პროცესი ატომურ საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციაზე, ვენაში, აქტიურ ფაზაში შევა. ასე რომ, ასეთ კონფერენციებსა და ფორუმებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

- პრაქტიკულად, რა შედეგი შეიძლება გამოიღოს ამ გამოფენამ და ასეთმა ღონისძიებამ?

ვიესლავ შტეფან კუცი ევროპარლამენტის დეპუტატი

ქართული ექსპოზიცია საგამოფენო დარბაზში

ფორუმი

- პირველი ის, რომ ამ სფეროში ეს პრეცედენტი აუცილებლად მაგალითი გახდება ყველასთვის. თავად თქვენი ქვეყნისთვის ეს იქნება მომავალში ახალი სათანამშრომლო პროექტების საწყისი. დარწმუნებული ვარ, ამ გამოფენას ძალიან დიდი გამოხმაურება ექნება საერთაშორისო დონეზე. ჩემი მხრივ, მე შესაძლებლობა მაქვს და გავაკეთებ იმას, რომ ეს გამოფენა უახლოეს მომავალში ევროპარლამენტის შენობაში მოხვდეს. ისე, ამ ბოლო დროს საქართველომ მართლაც ბევრი კარგი მაგალითი აჩვენა მსოფლიოს (იცინის - ო.ქ.).

- რა თქმა უნდა, რევოლუციას გულისხმობთ. ევროპაში როგორ აფასებენ ამ ყველაფერს?

- ჩვენ ვიცნობდით შევარდნაძეს, რომელსაც საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, თუმცა, თანამედროვე ცხოვრებამ და რეალობამ ისიც ნათლად დაგვანახა, რომ ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო. დღევანდელ პრეზიდენტს ნაკლებად ვიცნობთ, მაგრამ დანამდვილებით ვიცით ის, რომ მისი ძალისხმევა დემოკრატიისა და მაღალგანვითარებული ქვეყნის მშენებლობისკენ არის მიმართული და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ადამიანის ასე გაცნობა და წარმოჩენა ბევრს ნიშნავს არა მარტო თქვენი პრეზიდენტისთვის, არამედ ქვეყნისთვის.

- საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქმის კურსში ხართ?

- რა თქმა უნდა, იმ დონეზე, რაც საერთაშორისო მედიასა და საზოგადოებაში ვრცელდება. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ამ ქვეყანაში მოვლენები საკმაოდ კარგად ვითარდება. გახსოვთ ალბათ, რომ ის პრობლემები, რაც თქვენ გქონდათ, ბევრ სხვა ქვეყანაშიც იყო, მაგრამ დღეს ბალტიის ქვეყნები და ჩემი სამშობლო ევროგაერთიანების წევრები არიან. მალე მათ ბულგარეთი და რუმინეთი შეუერთდება. შემდგომში ალბათ ურაინის საკითხი დადგება და აშ.

- საქართველო?

- რატომაც არა? ჯერ ერთი, ეს საერთო ინტერესებსაც ემსახურება, მეორეც საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი გეზი ამისკენ მიუთითებს. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ჩანს.

- მაგრამ ევროპაში საქართველოს ხელისუფლებას ხშირად ახსენებენ ხოლმე შტატებთან ახლო მეგობრობას, ასევე იმ პრობლემებს, რაც რუსეთთან არშემდგარმა თანამშრომლობამ წარმოშვა...

- გასაგებია, მაგრამ ერთ დროს პოლონეთი და რუსეთიც დიდი მეგობრები იყვნენ, დღეს კი ეს მეგობარი გერმანიით შეიცვალა.

- თუმცა, რუსეთთან გართულებული ურთიერთობა ჩვენს ქვეყანაში არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ სტაგნაციასაც იწვევს...

- იცით, ასეთი და ამაზე მძიმე პრობლემები რუმინეთსა და ბულგარეთსაც ჰქონდა და აქვს, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი გვარდება. ევროგაერთიანების დოგმატური მოთხოვნა არ არის მაინცდამაინც კარგი გზების მშენებლობა. ეს, რა თქმა უნდა, კარგი და აუცილებელია, მაგრამ მთავარია დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის უფლებები. თუ გზები გაქვს და დემოკრატია არა, ევროგაერთიანებაზე არც უნდა იფიქრო, მაშინ როცა პირიქით ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი. თქვენ თავადაც ხედავთ, რომ იდეალური გზები არც ბულგარეთშია, მაგრამ 2007 წელს ის ევროგაერთანების სრულუფლებიანი წევრი გახდება. მანამდე ბულგარეთი კიდევ ბევრს მოასწრებს. გაიხსენეთ თურქეთის შემთხვევა. ამ ქვეყანას სულ პრობლემები ჰქონდა ევროგაერთიანებაში შესვლასთან დაკავშირებით და დღესაც ასეა, რადგან ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებები არ არის პრიორიტეტული თემა. თუმცა, ეკონომიკურად ის საკმაოდ ძლიერია ევროგაერთიანების გარეთ მყოფ სხვა ქვეყნებთან შედარებით.

- ელექტროენერგიის შესყიდვა ვახსენეთ. თუ იცით, რომ ამ თვალსაზრისით საქართველო რუსეთზე საკმაოდ არის დამოკიდებული...

- ეს ალბათ კომერციულ საწყისებზე დაფუძნებული შეთანხმებაა, მაგრამ, ჩემი აზრით, სახელმწიფომ ასეთი ობიექტები არ უნდა გაყიდოს. თუმცა, ასეთი მაგალითი მსოფლიოში ბევრია.

- რაც შეეხება აშშ-სთან თანამშრომლობას, ჩვენთან ექსპერტები ხშირად ამბობენ, რომ ამერიკასთან ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა, შესაძლოა, ზიანის მომტანიც იყოს გარკვეულ ეტაპზე.

- ეს არაფერს ნიშნავს, კარგის გარდა. შტატებთან ჩვენც ვთანამშრომლობთ და ძალიან ბევრი ერთობლივი სტრატეგია გვაქვს, მათ შორის ისეთიც, რომელიც მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავს - თუნდაც "ნატო". ცდება, ვინც ასე რადიკალურად აცხადებს. მე მათ გავახსენებ ცივ ომს, ბერლინის კედელს. ამავდროულად მივუთითებ იმაზეც, რომ ამ პლანეტაზე არსებობენ რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, რომლებიც ძალიან გაძლიერდნენ. არ დაგავიწყდეთ, რომ ძალა მათაც აქვთ. ამდენად, სტრატეგია არ უნდა იყოს ვიღაცის ვიღაცისგან გამოყოფა ან შედარება, ვინ ვისთან უფრო თანამშრომლობს. სტრატეგია ყველასადმი კეთილგანწყობილი უნდა იყოს. უსაფრთხოებაში ესეც იგულისხმება.

- რამდენად არის ეს გათვალისწინებული ევროგაერთიანების გაფართოების დროს, თუნდაც, საზღვრებთან დაკავშირებით?

- დღეს დიდი პოლემიკაა იმაზე, თუ როგორი იქნება საზღვრის დაცვა. უკვე დიდი ხანია დავობენ, უნდა არსებობდეს თუ არა ერთიანი არმია. საქმე იქამდე მიდის, რომ 2013 წლისთვის ევროგაერთიანებას ექნება ერთიანი სასაზღვრო დამცავი სისტემა და ერთიანი არმია.

- თქვენ ამას ეთანხმებით?

- ჩემი აზრით, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, საჭიროა არსებული მდგომარეობისა და რეალობის სერიოზული შესწავლა. ეს აუცილებელი და კარგია, მაგრამ ძალიან ფაქიზი და მტკივნეული თემაა. კულტურული თვალსაზრისითაც კი ძალიან ძნელია სხვადასხვა ერების ინტეგრაცია ერთ სივრცეში, არათუ სამხედრო თავლსაზრისით.

- მაგრამ ევროპას ალბათ აქვს საამისო მიზეზები...

- სანამ მშვიდობაა, ადამიანებს არა აქვთ იმის პრობლემა, რომ ერთიანი არმია შეიქმნას. როგორც კი რეალური საფრთხე შეიქმნება, იქ უკვე ძნელია ერთ ჩარჩოში აკონტროლო სხვადასხვა ერის თანამებრძოლები. მიხვდით?

- ანუ მიგაჩნიათ, რომ ეს შეცდომაა? შეიძლება თუ არა, ამის დასტურად ჩაითვალოს ახალი კონსტიტუციის ფაქტობრივად ჩავარდნა?..

- მე ვთვლი, რომ უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც ავტომატურად გამორიცხავს ასეთ პრეცედენტს. რაც შეეხება კონსტიტუციის ჩავარდნას, ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ გავლენას და რადგან საქმე გვაქვს ხალხის არჩევანთან, ეს ნიშნავს იმას, რომ "არა" პირველ რიგში უკავშირდება სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ალბათ ევროპამ უნდა გადახედოს ამ კუთხით მიღებულ გადაწყვეტილებებსაც.

კიკალეიშვილების ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ზურაბ მალაქიის ძე კიკალეიშვილი

პანაშვიდი 3 და 4 ივნისს 5 საათზე. მისამართი: ვ. ბარნოვის 13.

გამოსვენება 5 ივნისს 2 საათზე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

კონცერტები

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
სუხიშვილები - 60
საიუბილეო კონცერტები
დას: 20:00 სთ.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
"საჩუქრები დიდებს, როდესაც ისინი პატარები იყვნენ"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 19:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
უილიამ შექსპირი
"რომეო და ჯულიეტა"
(ამბავი ორ მოქმედებად პროლოგითა და ეპილოგით)
დამდგმელი რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
"ბინა ყიფშიძის ქუჩაზე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
კახა ბაკურაძე
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

კინოს სახლი
"ჩრდილოეთისკენ, ჩრდილო დასავლეთის გავლით"
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

რუსთაველი
ახმეტელი
"ცოდვების ქალაქი"
დას: 14:30 სთ.

"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
დას: 17:00 სთ.

ამირანი
"მისს კონგენიალობა-2"
დას: 15:00; 20:00; 22:15 სთ.

"კონსტანტინე"
დას: 17:30 სთ.

გამოფენები

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
იტალიელი მხატვრის ალბაკიარა პიზუტოს ნამუშევართა გამოფენის გახსნა

კოპალა
ეკა ნათენაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ქარვასლა
პროფესორი ფოლკერ ალბუსის ვორკშოპი თემაზე
"პროდუქტის ფუნქციის შეცვლა, გადაკეთება"
დას: 15:00 სთ.

TMS
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

ცენტრ-პოინტ გალერეა
გალერეა "ადამიანი და ზღვა"

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

ეროვნული გალერეა
პაატა მოისწრაფიშვილის პერსონალური გამოფენა "მინდვინი"
(ფერწერა, გრაფიკა)

გოეთეს ინსტიტუტი
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

პრეზენტაციები

კაფე "პარნასი"
ზაზა თვარაძის ლექსების ახალი კრებულის პრეზენტაცია
დას: 17:00 სთ.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

"საჩუქარს" ფული არ ჰყოფნის

შეიცვლება თუ არა ფესტივალის პროგრამა

ვერა ნეფარიძე

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "საჩუქარი" ახლოვდება. ორგანიზატორები სტუმრების დასახვედრად ემზადებიან. შაბათს ფესტივალის პირველი, 37-კაციანი დელეგაცია გამოჩნდება თბილისში. თუმცა, "საჩუქრის" დაწყებამდე დათვლილი დღეების მიუხედავად, გაურკვეველია მასშტაბური ღონისძიების ფინანსური მხარე. ამ დროისთვის ფესტივალს მიღებული არა აქვს იმ მოცულობის დაფინანსება, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდათ ორგანიზატორებს. ეს უკანასკნელნი ამ ვითარებაში ქალაქის მერიას, კონკრეტულად მერიის კულტურისა და განათლების სამსახურს ადანაშაულებენ; მეორე მხარე კი ამბობს, რომ თანხის სრულად მისაღებად სათანადოდ არ იყვნენ მომზადებულნი ფესტივალის ორგანიზატორები.

ბეჭდ. ასლი/ფოტო

ვიდრე ქეთი დოლიძესა ("საჩუქრის" სამხატვრო ხელმძღვანელი) და ნატო მაჩალაძეს (მერიის კულტურისა და განათლების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი) შორის არსებულ დაპირისპირებასა თუ დავის თემას შევეხებით, ჯერ ფესტივალის ფინანსურ-ორგანიზაციულ დეტალებს მოგახსენებთ. ფესტივალი წლების განმავლობაში ძირითადად მერიის (კონკრეტულად კი, კულტურის საქალაქო სამსახურის) დაფინანსებით იმართებოდა. თუმცა, რასაკვირველია, "საჩუქარს" ჰყავდა თანადამფინანსებლებიცა და მხარდამჭერებიც. მაგალითად, მოსკოვის მერია, რომელიც ფესტივალის მონაწილე მოსკოველი თეატრალური დასებისა თუ ცალკეული ხელოვანების მგზავრობის ხარჯებს საკუთარ თავზე იღებდა. უნდა ითქვას, რომ მოსკოვის მერია "საჩუქართან" ამ ფორმით კვლავაც თანამშრომლობს. 10 ათასი ლარი გაიღო ფესტივალისთვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომაც. ამას გარდა, წლევანდელ ღონისძიებას ფინანსურად შეეწევიან: "თელასი", ასევე ბიზნესმენები - თემურ ჭყონია და ბადრი პატარკაციშვილი. როგორც ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ამბობს, მართალია, თანადამფინანსებლების წილი მნიშვნელოვანია ფესტივალისთვის, მაგრამ არც ისე დიდი. ამიტომაც, ორგანიზატორების თქმით, მეცხრე "საჩუქრის" გადასარჩენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაფინანსებას, რომელიც ფესტივალმა მერიისგან (კონკრეტულად კი განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურისგან) უნდა მიიღოს.

"საჩუქრის" პროექტი გავიდა კონკურსზე, რომელიც განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში გაიმართა. პროექტის მიხედვით, ფესტივალის დაფინანსება 74 ათასი ლარით იყო გათვალისწინებული; როგორც ქეთი დოლიძე ამბობს, საბოლოოდ გამარჯვებულ პროექტში 53 ათასი დარჩა. თუმცა, როგორც განათლებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა ნატო მაჩალაძემ გვითხრა, ვიდრე ორგანიზატორები დასაფინანსებლად აუცილებელ საბუთებს სრულყოფილად არ მოამზადებენ, "საჩუქარს" ეს თანხა სრულად ვერ გადაერიცხება.

"საჩუქრის" გარშემო მუდმივად არსებული ფინანსური პრობლემებით გაკვირვებულია ქეთი დოლიძე და ამ შემთხვევაში კონკრეტულად ნატო მაჩალაძეს ადანაშაულებს. "ჯოჯოხეთის რა შრეები არ გაიარა ამ ფესტივალმა; ცხრა წლის განმავლობაში ბევრი შეუვალი ადამიანი შემხვედრია, მაგრამ ისეთი, რომ ვერაფერი გაიგო ადამიანის, როდესაც რამეს გეტყვის და შემდეგ გიმტკიცებს, მსგავსი არაფერი მითქვამსო, არავინ მინახავს. ნატო მაჩალაძე ცხრა წლის განმავლობაში არც ერთი ჩვენი ფესტივალის არც ერთ ღონისძიებას არ დასწრებია. მეუბნება: თქვენზე ამბობენ, ჯერ პატიჟებთ ხალხს და მერე მაგიდაზე მუშტების ბრახუნით ფულს სთხოვთო. მეორე შეხვედრაზე მეხუმრა: ისედაც დაგირავებული გაქვთ ბინა, გაყიდეთ და, ბოლოს და ბოლოს, გადაიხადეთ ფესტივალის ფული. როცა ასე გესაუბრება ადამიანი, იქ ცივილურ ურთიერთობაზე ზედმეტია ფიქრი. ეს არის პირველი შემთხვევა ჩემ ცხოვრებაში, როდესაც არ ვიცი, როგორ მოვიქცე, იმდენად ვარ გამწარებული. 16-გვერდიანი პროექტიდან 14 გვერდი ამოგლიჯეს და ორი წარადგინეს. თუ არასრული იყო, რატომ მიიღეს ეს პროექტი და მეორე დილით რატომ გაატარეს რეგისტრაციაში ჩემი ხელით ჩაწყობილი ხუთი კონვერტი? მომატყუა ზურაბ ჭიაბერაშვილმაც, რომელიც დამპირდა, რომ ეს თანხა ჩვენ გვექნებოდა მერიისგან, დამპირდა, თქვენთან ერთად ვიქნებიო. მას მერე ხდება ეს უბედურება, რომელსაც ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო. ჩვენს თანამშრომელს, ფესტივალის პრესცენტრის ხელმძღვანელს სატელეფონო საუბრისას პირდაპირ უთხრა მაჩალაძემ: ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ფესტივალს ჩავაგდებდიო. 9 წლის განმავლობაში ჩვენი საბუთები იყო უსუფთავესი. კონტროლის პალატამაც შეგვამოწმა. ერთადერთი დასკვნა გამომაქვს და ნამდვილად ვიცი: პირველივე წუთიდან, როდესაც მაჩალაძის კაბინეტში შევედი, მას ჰქონდა განწყობა, რომ ეს საქმე არ გაეკეთებინა. თუმცა, მიზეზი არ ვიცი. მეუბნებოდა, თქვენი ფესტივალი არც ისე ძლიერია და მის შესახებ სხვა აზრიც არსებობსო. ბოლო სატელეფონო საუბრისას ვეკითხებოდი: რატომ არ არის ხელმოწერილი საბუთები, რომ თანხა გადმოირიცხოს-თქო. ის ერთი და იგივეს მპასუხობდა, რომ ვერ ხედავდა ვერანაირ პრობლემას. შაბათს 37 კაცი ჩამოდის, რითი მივიღო ეს ხალხი? გადმორიცხული არ არის არც ერთი კაპიკი; სპონსორების ფული ამისთვის გათვალისწინებული არ მქონია. სრულიად გამაოგნებელია ამ ახალგაზრდა ქალის ასეთი სადიზმი". თავის მხრივ, მართალია, თითქმის უემოციოდ გვპასუხობს მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი ნატო მაჩალაძე. მისი თქმით, ქეთი დოლიძის ინფორმაცია, თითქოს მის სამსახურში პროექტის 14 გვერდი გაქრა, ტყუილია. რაც შეეხება თანხის გადარიცხვას: "ეს პროცედურა გამკაცრებულია და ვიდრე ყველა შესაბამისი დოკუმენტი არ იქნება მოწესრიგებული, თანხა სრულად ვერ გადაირიცხება. პროექტს აკლია საბუთები, მათ შორის, თანადამფინანსებლის დასტურის წერილი. ამას გარდა, ყველა დოკუმენტი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ხუთ-ხუთ ეგზემპლარად". და კიდევ, ნატო მაჩალაძის თქმით, ამ დღეებში კონკურსში გამარჯვებული პროექტების ორგანიზატორებთან უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ვადები, თუ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურა.

ერთი სიტყვით, ვითარება საკმაოდ ბუნდოვანია. საზოგადოებისთვის კი უფრო მნიშვნელოვანია, შეიცვლება თუ არა წლევანდელი "საჩუქრის" პროგრამა, რომელიც ორი დღის წინათ გაგვაცნეს; მით უფრო საინტერესოა ეს საკითხი, რომ, მართალია, ორგანიზატორები უარყოფენ, მაგრამ არანაკლებ სარწმუნო წყაროები ამტკიცებენ, ანდრეი კანჩაველოვსკი ისედაც არ ჩამოდის ამ ფესტივალზეო.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქრის" მონაწილეებს

მივესალმები მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქრის" მონაწილეებს. მოხარული ვარ, რომ დაარსებიდან ცხრა წლის განმავლობაში ფესტივალმა საინტერესო და შემოქმედებითად მდიდარი გზა განვლო, არაერთ საქვეყნოდ აღიარებულ ხელოვანს უმასპინძლა და ქართული კულტურა ღირსეულად წარმოაჩინა.

დღეს, როდესაც საქართველო კვლავ იბრუნებს თავის ადგილს მსოფლიო ცივილიზაციაში, ევროპული კულტურის წიაღში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო ხალხთა კულტურული საგანძურის გაცნობა და ქართული მრავალსაუკუნოვანი უნიკალური კულტურის, ქართული სუფრის სათანადოდ წარმოჩენა.

იმედს ვიტოვებ, რომ ფესტივალი "საჩუქარი" ამ უმნიშვნელოვანეს მისიას ღირსეულად შეასრულებს და საინტერესო და დაუვიწყარ დღეებს აჩუქებს ქართველ მაყურებელს.

გისურვებთ წარმატებას.

მიხეილ სააკაშვილი
2.06.2005.

"ნიამორის" გრან-პრი იტალიაში

ვერა ნეფარიძე

გუშინ ცნობილმა იტალიელმა მთამსვლელმა სილვიო კალვიმ კუთვნილი გრან-პრი მიიღო. სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური ფესტივალის "ნიამორი" ორგანიზატორებმა სტუმარს ფესტივალის მთავარ პრიზებთან ერთად სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. თხუთმეტდღიან მოგზაურობას საქართველოს მთებში, რასაც ერთ-ერთი საჩუქარი ითვალისწინებს, სილვიო კალვის სხვა თანამემამულეები და მეგობრები აუცილებლად შეძლებენ; თავად კალვი კი ძალიან კარგად იცნობს ყველა იმ ადგილს, რომელთა დათვალიერებასაც "ნიამორის" ეს სამოგზაურო ბარათი სთავაზობს.

სილვიო კალვი (მარჯვნიდან პირველი) "ნიამორს" უსახსოვრებს

ბეჭდ. ასლი/ფოტო

სილვიო კალვი წლევანდელი "ნიამორის" ფავორიტი გახლდათ. მთამსვლელმა ფესტივალზე საკუთარ ფოტონამუშევრებთან ერთად 1954 წელს პირველი იტალიელი მთამსვლელების K2-ზე ასვლის ამსახველი დოკუმენტური ფილმიც გამოუგზავნა. ფოტოსერია "სვანეთი" ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ფოტოგამოფენაზე ნახა დამთვალიერებელმა, ფილმმა კი ფესტივალის გრან-პრი დაიმსახურა.

სილვიო კალვი, რომელიც ამჟამად ბერგამოს ალპური კლუბის წარმომადგენელია, საქართველოთი კარგა ხანია დაინტერესებულია. იგი 29 იანვარს მილანში იტალიური ალპური კლუბის მიერ მოწყობილი კონფერენციის, მრგვალი მაგიდისა და ფოტონამუშევრების გამოფენის (ღონისძიების სახელწოდება იყო: "საქართველო გუშინ და დღეს") ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. კალვის განსაკუთრებული ურთიერთობები აქვს ქართველ კოლეგებთანაც. ამაზე მეტყველებდა გუშინ სასტუმრო "მთის ბროლში" საჩუქრების გადაცემისას შეკრებილი საქართველოს მთასმვლელთა ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარის, გივი ქართველიშვილის სიტყვებიც: "ბატონი სილვიო ძალიან გვეხმარებოდა ქართველ ალპინისტებს. ასევე მისი დიდი დამსახურება იქნება, მალე საქართველოში ათასობით ტურისტი რომ გამოემგზავრება". საქმე იმაშია, რომ სილვიო კალვი სხვა იტალიელ თანამოაზრეებთან ერთად ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფის ვიტორიო სელას მარშრუტის აღდგენას აპირებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პროექტი უკვე დაამტკიცა იტალიის მთავრობამ. ამ პროექტთან დაკავშირებული დეტალების დასაზუსტებლად ჩამოვლენ ორგანიზატორები საქართველოში; სწორედ ამ ადამიანებზე თქვა სილვიო კალვიმ, როდესაც მას თხუთმეტდღიანი საგზური გადასცეს: "აუცილებლად იმოგზაურებენ ამ შესანიშნავ ადგილებში ჩემი მეგობრები, რომლებიც იმ დროისათვის საქართველოში იქნებიან. კარგია, რომ ეს ყველაფერი მე ნანახი მაქვს", - ამის გარდა, კალვიმ "ნიამორის" ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა საჩუქრებისთვის (რითაც იგი აშკარად კმაყოფილი დარჩა) და განაცხადა, რომ K2-თვის "ნიამორში" გამარჯვება სასიამოვნო წარმატება იყო. თავის მხრივ, სტუმარმა "ნიამორის" ორგანიზატორს თამარ ჯიშკარიანს ფილმის პირველი აფიშა და ვიდეოკასეტა უსახსოვრა. რაც შეეხება ფესტივალს, "ნიამორი" ზაფხულში დროშის მყინვარწვერზე ატანითა და ფესტივალისადმი მიძღვნილი ჟურნალის პრეზენტაციით გაგრძელდება.

ქართველი პოეტის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება

ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი ტრადიციისამებრ წელსაც აჯილდოებს საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაც თავისუფლების გავრცელებაში დიდი წვლილი შეიტანეს. საბჭოს წევრები კანდიდატურებს ინსტიტუტის არქივში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით არჩევენ და მათი რაოდენობა ყოველთვის შეზღუდულია.

გუშინ **თავისუფლების მსოფლიო მედალზე** წარდგენის ცნობა მიიღო პოპულარულმა ქართველმა პოეტმა **დავით მაღრაძემ**. ის ერთ-ერთია მსოფლიოს მასშტაბით არჩეული ორმოცდაათი მოღვაწისგან, რომელთაც ინსტიტუტი დააჯილდოებს. გთავაზობთ საერთაშორისო კვლევების საბჭოს დირექტორის ჯიმ ევანსის წერილს, რომელიც დავით მაღრაძემ გუშინ მიიღო:

დათო მაღრაძე და მისი აღიარების სერთიფიკატი



ძვირფასო ბატონო დავით,

პატივი მაქვს, წარგადგინოთ ძალიან მნიშვნელოვან და გავლენიან პრემიაზე.

ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის - ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დაწესებულების - პრეზიდენტობის წლებში ხშირად მწვევია მსგავსი ბედნიერება, დამეჯილდოებინა დიდებული ადამიანები განსაკუთრებული მიღწევებისთვის. თუმცა, რაღაც გაგებით, მსოფლიოს თავისუფლების მედლის გადაცემა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნოდ აღსასრულებელი ვალია.

ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა საჭიროა კეთილშობილი ადამიანებისა და მათი ღვაწლის შესახებ გამუდმებით შეახსენებდე როგორც მთელ საზოგადოებას, ისე მათი ვიწრო სამოღვაწეო სფეროების წარმომადგენლებს.

თავისუფლების მსოფლიო მედალი ამ მიზნით გაიცემა. საერთაშორისო მასშტაბით დაჯილდოვდებიან ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი სიმტკიცით მაგალითს აძლევენ საზოგადოებას და პროგრესისკენ მიჰყავთ იგი. დაჯილდოვდებიან ის საზოგადო მოღვაწეები, განურჩევლად სქესისა, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით გვარწმუნებენ ჭეშმარიტებაში - კეთილი საქმე მუდამ იმარჯვებს; რომ ჩვენი ვალია, თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლა. ბატონო დავით, თქვენ სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევით. მადლობას გიხდით და გილოცავთ.

ინსტიტუტის არქივის დეტალური შესწავლის შემდეგ, რომელიც ორ მილიონზე მეტ ბიოგრაფიულ მონაცემს შეიცავს, მე პირადად შევარჩიე ყველაზე ღირსეული კანდიდატები ამ საპატიო მედლისთვის. საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი ჩემი უმთავრესი კრიტერიუმი გახლდათ, თუმცა, ცხადია, ვითვალისწინებდი ამა თუ იმ ადამიანის თავგანწირვასაც.

ბატონო დავით, ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის სახელით მსურს, მოგილოცოთ და იმედი გამოვთქვა, რომ მიიღებთ ამ პრემიას; პრემიას, რომელიც ჩემი კარიერის განმავლობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ველი შანსს, როცა მომეცემა თქვენი მიღწევების პირადად დაფასების საშუალება, რადგან, ჩემი აზრით, თქვენი და თქვენნაირი ადამიანების მიღწევები მსოფლიოს უფრო ჰარმონიულ ადგილად აქცევს.

კეთილი სურვილებით,
ჯიმ ევანსი
საერთაშორისო კვლევების
საბჭოს დირექტორი

საფრანგეთი-საქართველო

მირიან მელუა,
ლილი სახლთხუცისშვილი
ჰარიზი-თბილისი

ლევილი - ქართული მიწა საქართველოში

ლევილის შატო - გაურკვეველი მომავალი

საქართველოს I რესპუბლიკის მთავრობის გადასახლების რეზიდენცია "ქართველთა შატო" ლევილ-ორჟზე თავის განაჩენს ელის. დღეს მისი ბედი დამოკიდებულია იმ უთანხმოების მოგვარებაზე, რომელიც საქართველოს მიერ 1922 წელს შეძენილ უძრავი ქონების დაბრუნების პირობებს შეეხება.

ლევილის შატო მოლოდინშია. საფრანგეთში მცხოვრები ქართველებისთვის შატო წარმოადგენს სიმბოლოს, მათი ოჯახების ისტორიის ნაწილს, რომელთაც სურთ, რომ მას უვლიდნენ და პატივს სცემდნენ. ამავე დროს შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისტორიულ მემკვიდრეებსა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის წარმოქმნილი ღრმა უთანხმოება ამუხრუჭებს ამ საქმის მოგვარებას.

საფრანგეთის ტერიტორიული მმართველობის ორგანოები

2003 წელს ლევილის გამგეობამ და ვალ დ`ორჟის რაიონულმა საბჭომ წამოაყენეს შატოს რესტავრაციის წინადადება. გამოიყო 1,2-მილიონევროიანი ბიუჯეტი მასში ფრანგული მედიათეკის გახსნისთვის. სოფლის ცენტრში მდებარე 3,5 ჰექტრამდე შესანიშნავი პარკი შეიძლებოდა გამხდარიყო მწვანე "ფილტვები" პარიზის გარეუბნის ამ 4000-მცხოვრებიანი ლამაზი სოფლისთვის.

მეორე მოსაგვარებელი საკითხია სასაფლაოს და მისი "ქართული კუთხის", - 1956 წელს გამგეობისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთის - გადატვირთვა, სადაც სულ უფრო მეტად გაჭირდება საფრანგეთის სხვადასხვა კუთხიდან თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსულებისთვის ქართველების საფლავებთან ახლოს მისვლა.

დღემდე მუნიპალიტეტის მესვეურები, რომლებიც თანმიმდევრულად ცვლიდნენ ერთმანეთს, მეგობრობას თამაშობდნენ. ლევილის კულტურული განყოფილების კომისიამ ბოლო ხანებში ესონის დეპარტამენტისგან მიაღწია 3-წლიან მხარდაჭერას საქართველოსადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ჩასატარებლად. საფრანგეთის ტერიტორიული მმართველობის უწყებისთვის გეოგრაფიული სიახლოვისა და ადგილობრივი ისტორიის აღმოჩენის დამთხვევა საინტერესო განსაკუთრებულებას წარმოადგენს.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შთამომავლები

1922 წელს ათასობით ქართველი გადაიხვეწა საფრანგეთში პოლიტიკური მოსაზრებების გამო. მათი გაფრანგებული შთამომავლებისთვის სოფლის სასაფლაოს "ქართული კუთხე" დაკავშირებულია ოჯახურ მოგონებებთან. აქ განისვენებენ მათი ბებია-პაპები, მათი მშობლები. "ქართველების შატოსთვის" ისტორიული ღირებულების მინიჭება ხშირად მწვავე დისკუსიის საგანი ხდება, ყველას სურს მონაწილეობა მიიღოს მასში. თუმცა, 1928 წელს მისი მფლობელი, ლევილის უძრავი ქონების საზოგადოება, შეიქმნა ეროვნული ერთიანობის სულისკვეთებით, უმრავლესობისა და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისგან.

მთელი XX საუკუნის განმავლობაში ფრანგულ-ქართულ მეგობრობას ხელს უწყობდნენ. პარიზში მოქმედი საფრანგეთის ქართული ასოციაცია რეგულარულად იწვევს საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს სხვადასხვა დღესასწაულზე. იგი მონაწილეობას იღებს პარიზის ტრიუმფალური თაღის ქვეშ ცეცხლის ანთების ცერემონიალში და პატრონობს ლევილის სასაფლაოს "ქართულ კუთხეს".

წმინდა ნინოს სახელობის კულტურის ასოციაცია, რომელიც გაერთიანებულია საფრანგეთში მოქმედ ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, აწყობს საკვირაო ღვთისმსახურებას პარიზში და ლევილის სასაფლაოს "ქართულ კუთხეში" ატარებს წირვა-ლოცვებს. იგი კავშირს ამყარებს ეკუმენიზმის მოძრაობის მეთაურთან, მღვდელმთავარ მელიასთან. ეს უკანასკნელი კი უკავშირდება მამაო ლაზნეს, კათოლიკური მრევლის მღვდელს. ეს კავშირები მუდამ არსებობს.

ლევილში მდებარე წმინდა იოანე ნათლისმცემელის ეკლესია რეგულარულად მართავს მართლმადიდებლურ რელიგიურ წირვებს. აქვე ინახება მცხეთიდან ჩამობრძანებული ხატი. პოლიტიკური, კულტურული, ჰუმანიტარული თუ კერძო ღონისძიებები ხელს უწყობენ საფრანგეთში საქართველოს "არდავიწყებას".

რა იქნება XXI საუკუნეში, მაშინ როდესაც ქართველთა შთამომავლები ლევილის რეგიონში ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელებიღა რჩებიან?!

უკანასკნელი წლების ეკონომიკური ემიგრანტები

ოთხმოციან წლებში ეკონომიკური მოსაზრებების გამო საქართველო ალბათ ერთმა მილიონმა ქართველმა, ანუ მოსახლეობის 20 პროცენტმა დატოვა.

საფრანგეთმა ისინი ათასობით, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებმა ასიათასობით მიიღო, ზოგი - სათანადო საბუთებით (სტუდენტები, უფროსები თუ ოჯახები), ზოგი კი - არალეგალურად.

ფრანკოფონი სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ საფრანგეთის უნივერსიტეტებში და ქართველი ემიგრანტებისთვის, რომლებიც ნებადართულად ცხოვრობენ საფრანგეთში, "ქართველების შატო" წარმოადგენს თავშეყრის ადგილს, სადაც აღნიშნავენ დღესასწაულებსა და ღირსშესანიშნავ თარიღებს.

რაც შეეხება არალეგალურად მცხოვრებ ქართველებს, აქ სრული გაუგებრობაა. ოჯახები ქუჩაში ცხოვრობენ. რატომ არ შეიძლება მათ თავი შეაფარონ "ქართველების შატოს", სანამ პოლიტიკური თავშესაფრის ჰიპოთეკურ უფლებას მიიღებენ? ხშირად ერთნიც და მეორენიც პარიზის სერბეთის ეკლესიის წიაღში ახლახან გახსნილ ქართულ სამრევლო ეკლესიას მიმართავენ. ცხადია, მათ სრულიად განსხვავებული ღირებულებები ამოძრავებთ, ვიდრე ძველ პოლიტიკურ ემიგრაციას.

კარგ ამინდში ლევილი ივსება გერმანიაში, შვეიცარიასა თუ ჰოლანდიაში შეძენილი მანქანებით. მათი ქართველი მგზავრების მოთხოვნები საკმაოდ მძაფრია. ზოგს უკვირს, რომ ეკლესია დაკეტილია, სხვებს კი სურთ, დაესწრონ სააღდგომო წირვა-ლოცვას სასაფლაოზე, ზოგი კი, თუ ისინი "ქართველთა შატოში" შეღწევას მოახერხებენ, სოლიდური თანხის ჩადების სურვილს გამოთქვამენ.

ლევილი ორჯერ ყველასთვის მითიურ ადგილს წარმოადგენს, მეტ-ნაკლებად იმ იდეით გამსჭვალულს, რომ მისი "შატო", მისი ეკლესია, მისი სასაფლაოს მართლმადიდებლური "კუთხე" საქართველოს კუთვნილებაა.

II რესპუბლიკის საქართველოს ხელისუფალნი

თავის დროზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ დანიშნა ერთობლივი კომისია, რომელიც მუშაობდა "ქართველთა შატოს" მფლობელთა, უძრავი ქონების საზოგადოების რწმუნებულებთან ერთად. ადვილი წარმოსადგენია, რომ ის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც სამსაუკუნოვანი შენობის რესტავრაციას და მის შენახვას სჭირდება, აღემატებოდა ქართული მხარის შესაძლებლობებს. ვარდების რევოლუციამ ყველაფერი შეაჩერა.

2004 წელს პრეზიდენტმა საკაშვილმა მოითხოვა "ქართველთა შატოს" მამულის დაბრუნება საქართველოსთვის, რომელიც თავდაპირველად ნაყიდი იყო საქართველოს I რესპუბლიკის ფულით, ან ამგვარად იყო მიჩნეული. 2004 წლის ნოემბერში მის ოფიციალურ წარმომადგენელს საფრანგეთში დაევალა საქმის წარმოება. 2004 წლის მარტში საპრეზიდენტო კაბინეტი აღნიშნავს, რომ "ქართველთა შატოს" მამულის დაბრუნების პროცესი დაწყებულია. 2004 წლის მარტის ბოლოს საქართველოს ელჩი საფრანგეთში აცხადებს, ამ საკითხზე სასაუბროდ ხელსაყრელი დრო ჯერ არ არისო.

ამავე დროს ქართული პრესა და ტელევიზია ამძაფრებენ ეროვნულ მისწრაფებებს ქართულ საზოგადოებაში. ქართველი ჟურნალისტები და ოპერატორები მრავლად ჩამოდიან "ქართველთა შატოში," ზოგჯერ სრულიად საიდუმლოდაც კი. მათ ესმით მხოლოდ ის, რისი გაგებაც სურთ, "საქართველოსთვის ამ ქართული მიწის დაბრუნება" და არად დაგიდევენ საფრანგეთში მოქმედ სასამართლო, იურიდიულ თუ საგადასახადო ასპექტებს.

რა ელის ლევილს, პატარა საქართველოს?

ძნელი წარმოსადგენია, რომ "ქართველთა შატოს" მფლობელი საზოგადოება არ შეეცდება დარწმუნდეს, რომ 1953 წელს I რესპუბლიკის უკანასკნელი წარმომადგენლების მიერ საქართველოსთვის მისი დაბრუნების განახლებული პირობები არ იქნება დაცული და იგი არ მოითხოვს სამომავლო გარანტიებს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ გახადონ იგი შიდა პოლიტიკურ პრობლემად. გამოიჩენენ კი ისინი კეთილ ნებას და შეძლებენ ამ სამემკვიდრეო ისტორიული მამულის მნიშვნელობის შეფასებას და ფრანგულ ტერიტორიულ უწყებებთან მეგობრობის შენარჩუნებას?

ძნელი წარმოსადგენია, ფრანგულმა ტერიტორიულმა უწყებამ არ გაითვალისწინოს, თუ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ისარგებლოს ყიდვის პირველობის უფლებით რეზიდენციასა და სოფლის ცენტრში მდებარე პარკზე.

კვანძის გახსნის მოლოდინში "ქართული კერა", რომელიც იქ მცხოვრები ქართველებისგან შედგება, 2035 წლამდე მოქმედი უპროცენტო სესხის საბუთის საფუძველზე უვლის, თუმცა კი, ძნელ პირობებში, პარკს და შენობას, რომელიც მონადირის სახლს დაემსგავსა.

კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სოფლის სასაფლაოს "ქართული კუთხის" ბედიც, რომელიც ახლახან გამოხშირეს მრავალრიცხოვანი ხეებისგან. გუშინდელი პოლიტიგრანტების მიერ ხელმოწერილი კონცესიების მოქმედების ვადები არ არის უსასრულო და დღევანდელი ქართველი ეკონომიკური ემიგრანტების იქ დაშვებაც არ არის უსაზღვრო.

ქართულ-ფრანგული მეგობრობის მომავლის საკითხიც ლევილში გაურკვეველია. ქალაქ მცხეთისა და ლევილის დაძმობილების პროექტი გადადებულია ვარდების რევოლუციის გამო. ამისთვის ახალი ბიძგი გახდება საჭირო. ქართულ თემატიკაზე კულტურული ღონისძიებები გრძელდება სამუსიკო სკოლაში, ბიბლიოთეკაში, სხვა სკოლებსა და ახალგაზრდულ ცენტრში. კონცერტებისა და კონფერენციების შემდეგ, ლევილი, როგორც ყოველთვის, იწყებს სამზადისს რიგით მესამე ყოველწლიურ ფრანგულ-ქართული დღეების ჩასატარებლად 2005 წლის ნოემბერში. მაგრამ როდემდე?

პრეზიდენტები, მინისტრები, ელჩები, ადგილობრივი დეპუტატები, მემკვიდრეები თუ ნდობით აღჭურვილი პირები იცვლებიან. რა მძიმე პასუხისმგებლობა დააწვებათ მათ მხრეებზე, თუ ოთხმოცწლიანი ფრანგულ-ქართული ურთიერთობის ისტორიას ნამსხვრევებად აქცევენ მხარეთა შეუთანხმებლობის გამო!

ალექსი ი. 69 წლის პენსიონერი: "მე ვარ ფრანგი. ეს ახალი საქართველო სულ არ მაინტერესებს. შუა საუკუნეების ჯვარი, სხვადასხვა რელიგიები, ჯარისკაცები ერაყში, ეს არ არის ჩემი მშობლების საქართველო. ისინი ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ერისკაცები და შემწყნარებლები. დროშას შეცვლიან თუ ეროვნულ ჰიმნს, ჩემთვის სულ ერთია. წაიღონ "შატო", გააკეთონ საქართველოს საელჩოს საზაფხულო რეზიდენცია საფრანგეთში, ჩემთვის სულ ერთია! ჩვენი მშობლების ხსოვნა ჩვენ გვეკუთვნის, მას ვერავინ წაგვართმევს!"

ორორი ბ. 19 წლის, ახალი ლევილელი: "მე არც კი ვიცი, რა არის ამ ღობის მიღმა. შესასვლელი კარი მუდამ დაკეტილია. პარკი? შატო? ალბათ პარკს უნდა მოვუაროთ და შატო განვაახლოთ. მგონი, მერია აპირებდა იქ მედიათეკის მოწყობას. რატომაც არა? ლევილში მაინც არაფერია ახალგაზრდებისთვის. არა, არასოდეს არაფერი მსმენია ქართველებსა და საქართველოზე."

თამუნა ს. 34 წლის, ქართველი: "წელიწადნახევარია საფრანგეთში ვცხოვრობ. ძალიან მინდა ლევილის ნახვა. შატო ქართველებს ეკუთვნის. არ მესმის, რატომ არ შეუძლიათ ქართველებს, რომლებიც პარიზსა თუ სხვა ქალაქებში ქუჩაში უსაბუთოდ ცხოვრობენ, იცხოვრონ აქ, ამ ქართულ მიწაზე. არ მესმის, რატომ არ შეუძლიათ ქართველ მღვდლებს ჩაატარონ წირვა-ლოცვა ქართულ სასაფლაოზე, იმისა მიუხედავად, ბერძნულ ეკლესიას ეკუთვნიან ისინი თუ სერბიულს".

ჟერარ ნ. 53 წლის, ლევილელი: "ჩემი მშობლები კარგად იცნობდნენ ძველ ქართველებს. მახსოვს ქალბატონი ლალო. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა. თავიანთი არსებობისთვის ქართველები ამუშავებდნენ მიწას ან "რენოს" და "სიტროენის" ქარხნებში მუშაობდნენ. ისევე, როგორც ჩვენი მშობლები. ახალი ქართველები სხვანაირები არიან. მათ, როგორც ამბობენ, "უფლებები აქვთ". ისინი პოლიტიკური დევნილები აღარ არიან. ისინი სარგებლობენ საფრანგეთის სოციალური დახმარებით. როგორ შეგვიძლია, ჩვენ ისეთივე თვალით შევხედოთ ქართველებს, როგორც მათ ჩვენი მშობლები უყურებდნენ?!"

ვახტანგ მ. 39 წლის, პარიზელი: "ჩემი ბებია-პაპა წარმოშობით ქართველები იყვნენ. სულ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი შატოში. იქ შესვლა განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება. იგი საქართველოს ფულით ნაყიდი კერძო საკუთრებაა საფრანგეთის ტერიტორიაზე: იგი უნდა დაუბრუნდეს საქართველოს წარმომადგენლებს საფრანგეთში, ე.ი. მის საელჩოს. მისი გადასაწყვეტია, გაუღებს თუ არა იგი კარს ფრანგებს მათთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად, მაგრამ აგრეთვე ფრანგულ სასაფლაოზე ქართული სასაფლავების პატივსაცემად."

ინფორმაცია

"ჩელსი", მოურინიო და კოული დასაჯეს

ლონდონის "ჩელსის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ბრიუს ბაკმა "არსენალის" ხელმძღვანელობა მცველის ეშლი კოულის ირგვლივ ატეხილ სკანდალში დაადანაშაულა. Tribalfootball-ის ცნობით, ბაკს მიაჩნია, რომ "არსენალის" ხელმძღვანელობამ აიძულა მცველი, "ჩელსის" მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს შეხვედროდა.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება ამა წლის 27 იანვარს ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში კოულსა და "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორს პიტერ კენიონს, ასევე მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს საიდუმლო შეხვედრას. ადგილობრივი პრესის მტკიცებით, მხარეებმა ფეხბურთელის 20 მილიონ გირვანქა სტერლინგად ლონდონის ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლაზე ისაუბრეს. ამასთან, 24 წლის კოულის ხელფასი (ის ამჟამად კვირაში 27 ათასი გირვანქა სტერლინგია) ორჯერ უნდა გაზრდილიყო.

კოული გარიგებაზე საუბარს კატეგორიულად უარყოფდა, აცხადებდა, რომ "არისტოკრატთა" წარმომადგენლებს სრულიად შემთხვევით შეხვდა სასტუმროში.

ფეხბურთელს "მეთოფეებთან" კონტრაქტის ვადა 2007 წლამდე აქვს, ასე რომ, მას არც ერთ სხვა კლუბთან მოლაპარაკება არ შეეძლო თავისი გუნდის ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე.

მოკლედ, საბოლოოდ გაურკვევლობას წერტილი დაესვა და პრემიერლიგის დისციპლინალურმა კომიტეტმა "ჩელსი", ჯონე მოურინიო და ეშლი კოული სატრანსფერო წესების დარღვევაში დაადანაშაულა და ჯარიმის გადახდაც დააკისრა: "ჩელსის" - 300 ათასი გირვანქა სტერლინგი, მოურინიოს - 200 ათასი, კოულს კი - 100 ათასი. მხარეებს 14 დღე აქვთ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის.

ჯერჯერობით უცნობია, გაასაჩივრებენ თუ არა ისინი დისციპლინალური კომიტეტის გადაწყვეტილებას.

კემპბელს ოპერაცია არ სჭირდება

"როიტერსის" ცნობით, ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელმა სოლ კემპბელმა განაცხადა, რომ კოჭის ტრავმა სერიოზული არაა. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ფეხბურთელმა სათანადო სამედიცინო შემოწმება გაიარა. ამგვარად, კემპბელს შეუძლია გუნდთან ერთად მოემზადოს ახალი სეზონისთვის.

"გამოკვლევის შედეგებით ცნობილი გახდა, რომ ოპერაცია არ მჭირდება. ასე რომ, ორი-სამი კვირის შემდეგ ვარჯიშის დაწყებაც შემიძლია", - განაცხადა ფეხბურთელმა.

შოკოტა "პორტუში" გადავიდა

პორტუგალიურმა კლუბმა "პორტუმ" ახალი კონტრაქტი გააფორმა თავდამსხმელ ტომო შოკოტასთან, რომელიც ადრე "ბენფიკასთან" გამოდიოდა. "როიტერსის" ცნობით, ხორვატის კონტრაქტი ახალ კლუბთან ოთხ წელს ითვალისწინებს. ამ სეზონზე 28 წლის შოკოტამ 11 მატჩი ჩაატარა "ბენფიკას" შემადგენლობაში და ოთხი ბურთი გაიტანა.

"რეალს" სელადესი არ სჭირდება

ესპანური გამოცემა "მარკას" ცნობით, ნახევარმცველი ალბერტ სელადესი, რომელსაც მადრიდის "რეალთან" კონტრაქტის ვადა 30 ივნისს ეწურება, კლუბში აღარ დარჩება. ფეხბურთელს ვერ დაეხმარა მთავარი მწვრთნელის ვანდერლეი ლუშემბურგოს მხარდაჭერა. "სამეფო კლუბის" თავკაცმა განაცხადა, რომ ამ ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებს. ხელმძღვანელობამ მწვრთნელის აზრი არ გაითვალისწინა და გადაწყვიტა, რომ სელადესს კონტრაქტი აღარ გაუგრძელოს.

ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას. ის ესპანეთის დატოვების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს.

ფეხბურთი

"ლოკომოტივმა" თასი დეპოში შეიტანა

მიხეილ აბაიშვილი

"ძალიან სასიხარულო დღეა. საქართველოს რკინიგზის და "სილქ როუდ ჯგუფის" ერთობლივი მენეჯმენტის წყალობით, თბილისის "ლოკომოტივმა" უმნიშვნელოვანეს ტურნირში გაიმარჯვა - დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი მოიგო. ეს თასი საპატიო ადგილს დაიკავებს საქართველოს რკინიგზის მუზეუმში", - თქვა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით ონოფრიშვილმა გუშინ, თასის გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე.

არა, საქართველოს ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ თასი "ლოკომოტივს", წესისამებრ, ფინალის დასრულებისთანავე, 26 მაისს გადასცა. გუშინ კი "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ თასი რკინიგზის დეპარტამენტში წაიღო და მის თავმჯდომარეს კაბინეტში მიართვა. მართალი გითხრათ, დეპარტამენტის წილი გუნდის ამჟამინდელ წარმატებებში სრულიად უმნიშვნელოა. ამ უწყებას კლუბის აქციების მხოლოდ 25 პროცენტი აქვს და ამ წილის შესაბამისადაც ველარ ირჯება. გუნდის მეპატრონეა "სილქ როუდ ჯგუფი", რომელიც "ლოკომოტივის" ყველა ხარჯს აფინანსებს. ამის მიუხედავად, რკინიგზის დეპარტამენტისთვის თასის გადაცემა, ჩემი აზრით, სწორი ტაქტიკური ნაბიჯია. ვაკეში მდებარე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი, რომელზეც "ლოკომოტივი" საშინაო მატჩებს ატარებს, დღემდე რკინიგზის დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება. "ლოკომოტივს" კი ამ სტადიონზე თამაში საკმაოდ ძვირი უჯდება. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა არც ადრე მალავდა და გუშინაც დაადასტურა, რომ სტადიონის გასხვისებას აპირებს, თუმცა, ჯერ კიდევ ინვესტორის ძიებაშია. რკინიგზის დეპარტამენტისთვის თასის გადაცემა ერთგვარად იმის მინიშნებაცაა, რომ იქამდე მაინც, სანამ ინვესტორი გამოჩნდება, ამ უწყებამ "ლოკომოტივს" შეღავათი გაუწიოს სტადიონით სარგებლობაში. პრინციპში, ამის საწინააღმდეგო დავით ონოფრიშვილსაც არაფერი აქვს.

"ლოკომოტივმა" საქართველოს თასი რკინიგზის დეპარტამენტში მიიტანა

"საქართველოს რკინიგზა საბიუჯეტო ორგანიზაციაა და ჩვენ უფლება არც გვაქვს, რომ არაპროფილურ საქმეში - ფეხბურთში ფული ვხარჯოთ. ამიტომ, მოხარულები ვართ, რომ გუნდს გამოუჩნდა შეძლებული მეპატრონე და პირველივე წელიწადს ასეთ სერიოზულ წარმატებამდე მიიყვანა. შესაძლებლობის ფარგლებში, სტადიონის იჯარაში შეღავათები იქნება ეს თუ სხვა რამ, რკინიგზის დეპარტამენტი "ლოკომოტივს" დაეხმარება. იმასაც ვფიქრობთ, რომ როდესაც სტადიონის გაყიდვაზე მიდგება საქმე, ერთ-ერთ სატენდერო თუ საკონკურსო პირობად "ლოკომოტივის" ინტერესების გათვალისწინებას წამოვაყენებთ", - აღნიშნა რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

თასის გადაცემას ესწრებოდა "სილქ როუდ ჯგუფის" დირექტორატის წევრი ლექსო თოფურია, რომელმაც კლუბის განვითარების გეგმებზე ისაუბრა.

"ჩვენი მთავარი მიზანია, კლუბი განვითარდეს. ამისთვის კი, სხვა ნაბიჯებთან ერთად, ბავშვთა საფეხბურთო სპორტსკოლის გახსნას ვგეგმავთ. სკოლა დავით ყიფიანის სახელობის იქნება და, პროექტის მიხედვით, ცნობილი ესპანური გრანდის, "ბარსელონას" საფეხბურთო ტალანტების მოძიების პროგრამაში გაერთიანდება. "რაც შეეხება "ლოკომოტივის" უახლოეს გეგმებს, ჩვენ ამ ახალგაზრდული გუნდის დიდი იმედი გვაქვს და მიღწეულ წარმატებებზე შეჩერებას არ ვაპირებთ. სამწუხაროდ, ჯერ ისე მდიდრებიც არ ვართ, რომ მიხეილ მესხის სტადიონის შეძენაზე ვიფიქროთ, მაგრამ გუნდის განვითარებაზე სერიოზულ მუშაობას რომ გავაგრძელებთ, გპირდებით", - განაცხადა ლექსო თოფურიამ.

შეხვედრას ესწრებოდნენ კლუბის მმართველი დირექტორი ლევან ყიფიანი, მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობია და ფეხბურთელები.

ვერ გეტყვით, სტადიონთან დაკავშირებით როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: თუ "ლოკომოტივს" არსებულ დონეზე მაინც შეუნარჩუნდა დაფინანსება, ეს გუნდი მომავალ წელს თავის გულშემატკივრებს კიდევ ბევრ სიურპრიზს შესთავაზებს.

სტივენ ჯერარდი - კაპიტანი, რომელმაც გოგოს თასი ამჯობინა

ლაშა გოდუაძე

დაახლოებით ათი დღის წინათ სტამბულში, ათათურქის სტადიონზე, "ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა ჩემპიონთა თასი ასწია. ის გახდა რიგით 39-ე კაპიტანი, რომელმაც მომქანცველი სეზონი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს აღმართვით დააგვირგვინა.

...2004 წლის ივლისში მან თითქმის დატოვა "ლივერპული" - "ჩელსი" შესაწინშნავ კონტრაქტს სთავაზობდა, თუმცა, საბოლოოდ კლუბში დარჩენა ამჯობინა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა თასის, ყველაზე ფასეული საკლუბო ჯილდოს მოგების არცთუ დიდი შანსი ჰქონდა. სტამბულური ფინალის პირველი ტაიმის შემდეგ ხომ საერთოდ ძნელი წარმოსადგენი იყო ენფილდროუდელთა ტრიუმფი.

მაგრამ წითლების კაპიტანმა, უეფას მიერ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა ფეხბურთელმა, მეორე ტაიმის დასაწყისშივე ჯერ ლამაზი თავური გოლი გაიტანა, მერე კი პენალტიც მოინადირა და სათავე დაუდო ჩემპიონთა თასის ფინალების ყველაზე ლამაზ გარდატეხას, ერთგვარ შემოტრიალებას, რომელიც ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

არადა, შესვენებაზე, გასახდელში შესულ ლივერპულელებს ბრძოლის გაგრძელების სურვილიც არ ჰქონიათ:

"ყველა უხალისოდ იყო, უკლებლივ ყველა მატჩის დასასრულზე ფიქრობდა, მაგრამ მთავარი იყო ქომაგებზე გვეფიქრა - მათ დიდი ფული დახარჯეს და საყვარელ კლუბს სტამბულში გამოჰყვნენ, უნიათო თამაშით კი, რბილად რომ ვთქვა, მათდამი უპატივცემულობას ვიჩენდით. საბედნიეროდ, ერთი გოლი მალევე გავიტანეთ. ამის შემდეგ უკეთესად ავთამაშდით, ისე, როგორც "ლივერპულს" და მის გულშემატკივრებს შეშვენით", - ამბობს ახალგაზრდა ტრიუმფატორი.

ჯერარდისთვის გასული სეზონი უცნაური იყო - მიუხედავად იმისა, რომ ქომაგების საყვარელი ფეხბურთელი გახლდათ, საუკეთესო ლივერპულელის ნოდება მაინც ჯეიმი კარაგერს ხვდა წილად. ბევრი მას ხაბი ალონსოსაც ამჯობინებდა, თუმცა, დეკემბერში "ოლიმპიაკოსის" კარში გატანილმა უმშვენიერესმა და უმნიშვნელოვანესმა გოლმა კვლავ ცხადყო, რომ "ენფილდ როუდზე" ჯერარდი შეუცვლელია. არ დაგავიწყდეთ, რომ სწორედ მისი გოლის წყალობით გააღწია "ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში...

"გულახდილად გეტყვით: სეზონის წინ ვერ ვიფიქრებდი, რომ მთელ გზას გავივლიდით და ჩემპიონთა თასს აღვმართავდით, მაგრამ ყველა მატჩში ბოლომდე ვიხარჯებოდით. ჩვენ არაერთი კარგი შეხვედრა ჩავატარეთ, ულამაზესი გოლებიც გავიტანეთ, ვიბრძოლეთ და ფინალში დავამტკიცეთ, რომ, რამდენიმე წაფორხილების მიუხედავად, არასდროს დავმარცხებულვართ!" - ჯერარდი.



სტივენ ჯერარდი: "გულახდილად გეტყვით: სეზონის წინ ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემპიონთა თასს აღვმართავდით"

ცხადია, შესანიშნავი სეზონის შემდეგ მისი შეძენის სურვილი ბევრმა გაიზიარა, მაგრამ ნათელია, რომ კაპიტანი კლუბს არ დატოვებს. სხვა თუ არაფერი, ამის შესახებ მან ფინალის შემდეგვე ისაუბრა, როცა, წესით, მხოლოდ გამარჯვებით უნდა ხარობდეს:

"მჯერა, რომ რაფაელ ბენიტესი და ჩვენი თავმჯდომარე რიკ პერი მალე მოიწადინებენ ჩემთან შეხვედრას. ვფიქრობ, ეს ლოგიკურია. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, როგორ ფიქრობთ, ასეთი თამაშის შემდეგ სხვაგან წასვლაზე ვიფიქრებ? ეს გამორიცხულია! ახლავე გპირდებით - ამ სეზონს ზაფხულში დავივიწყებ და შემოდგომიდან უკეთეს ჯერარდს იხილავთ!"

რაც შეეხება ფინალის საუკეთესო მოთამაშეობას, ვფიქრობთ, დაიმსახურა - ძირითადი დრო მებრძოლ ნახევარმცველად ჩაატარა, დამატებითში კი დაცვაშიც დაიხია, რათა სერჟინიოს თავდასხმებს გამკლავებოდა. ნუ დაივიწყებთ, რომ სწორედ მან გაიტანა პირველი გოლი და პენალტიც მოინადირა. სხვათა შორის, საუკეთესოდ ბევრი ერეი დუდეკს მიიჩნევდა, რომელმაც მართლაც კარგად ჩაატარა ფინალი, თუმცა...

"სტამბულური საღამო საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში! შესვენებაზე ვფიქრობდი, რომ შეუძლებელი იყო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ, მოედანზე გასულს, ეს უკვე აღარ მახსოვდა. ჩვენ შეუძლებელი შევძელით და სწორედ ამიტომ ვარ ამაყი - ჩემპიონთა თასს უდავოდ ვიმსახურებდით!" - კვლავ ჯერარდი.

...ლივერპულში ჩასულმა ვლადიმირ შმიცერმა, ფინალური მატჩის ერთ-ერთი გოლის ავტორმა, ჭორიკანა ჟურნალისტებს უთხრა:

"სტივენმა მეგობარ გოგოს ულალატა - ის სტამბულში არ ჩამოსულა და ჯერარდმაც თამაშის შედგომი ღამე ჩემპიონთა თასთან გაატარა"...

გზა კაპიტნობამდე

1980 წელს დაბადებულ სტივენ ჯერარდს "ლივერპულის" გარდა სხვაგან არც უთამაშია.

მისი დებიუტი პირველ გუნდში 1998 წლის ნოემბერში შედგა "ბლეკბერნ როვერსის" წინააღმდეგ - შეცვლაზე შევიდა. ძირითად შემადგენლობაში პირველად იმავე წელს გამოჩნდა უეფას თასზე ვიგოს "სელტასთან" შეხვედრაში.

2000-2001 წლების სეზონში ნახევარმცველმა გაიბრწყინა - 2001 წლის გაზაფხულზე "ლივერპულმა" ზედიზედ მოიგო ინგლისის ლიგის და ასოციაციის, ასევე უეფას თასი. სამივე მატჩში ჯერარდი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ევროთასის ფინალში კი, ესპანური "ალავესის" წინააღმდეგ 5:4 მოგებულ შეხვედრაში, გოლიც გაიტანა.

2001-2002 წლების სეზონის დასაწყისში ჯერარდმა და "ლივერპულმა" კიდევ ორი თასი მოიგეს - ჯერ ინგლისის სუპერთასი, მოგვიანებით კი - ევროპის.

2001 წელს ჯერარდი საუკეთესო ახალგაზრდა ინგლისელ ფეხბურთელად დაასახელეს. იმავე წელს "მანჩესტერ იუნაიტედს" ისეთი გოლი გაუტანა, რომელიც "ლივერპულის" ულამაზეს გოლად აღიარეს პრემიერლიგაში თამაშის მანძილზე. შესანიშნავად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში გერმანელების წინააღმდეგ მიუნხენის "ოლიმპიაშტადიონზე" - ინგლისელებმა 5:1 მოიგეს და მან შორეული დარტყმით დალაშქრა ოლივერ კანის კარი.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა. საერთოდ, თუ ტრავმა არ აწუხებს, ინგლისის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრია.

2003 წელს სტივენი რიგით მეორე ლიგის თასს უეფლება - ფინალში, "მანჩესტერ იუნაიტედთან", ანგარიში გახსნა.

2003-2004 წლების სეზონში "ლივერპულის" კაპიტანი გახდა - ფინელი მცველი სემი ჰიიპია შეცვალა, მოგვიანებით კი კლუბთან ხელშეკრულება გააახანგრძლივა - 2007 წლის 30 ივნისის ჩათვლით გააფორმა კონტრაქტი.

გასული სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, თუმცა, ფების თითი მოიტეხა და ნოემბრამდე ვერ ითამაშა. მერე კი...

ინფორმაცია

ბაროში, შესაძლოა, "ლიონში" აღმოჩნდეს

"ლივერპულის" თავდამსხმელმა მილან ბაროშმა აღიარა, რომ ის შეიძლება "ლიონში" აღმოჩნდეს, კლუბში, რომელსაც ორი დღის წინათ "ლივერპულის" ყოფილი მწვრთნელი ჟერარ ულიე ჩაუდგა სათავეში. როგორც ცნობილია, ჩეხი ფორვარდი უკვე დიდი ხანია ინგლისური კლუბიდან გადასვლის შესაძლებლობას განიხილავს. "ლივერპულის ძირითად შემადგენლობაში" მას გასულ სეზონზე ადგილი არ ჰქონდა.

"ჯერჯერობით ზუსტად არაფერი ვიცი. ულიემ დიდ ფეხბურთში თამაშის შანსი მომცა, როცა 19 წლის ასაკში "ოსტრავასგან" მიყიდა. ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითად შემადგენლობაში თამაშს. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, მოისურვებს თუ არა მწვრთელი გუნდში ჩემს მიყვანას", - განაცხადა ბაროშმა.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

TV სპორტი

ოთხშაბათი. 3 ივნისი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუკეთესო მატჩების ანონსი
12:20 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. ლიბერტადორესის თასი. "გვადალახარა" (მექსიკა) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). პირველი მატჩი
14:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "მალიორკა" - "ბეტისი"
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 "ფეხბურთი ჭრილში"
16:25 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
16:55 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "უდინეზე" - "მილანი"
18:40 თავისუფალი დარტყმა
18:55 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 "საფეხბურთო კლუბი"
20:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. ლიბერტადორესის თასი. "გვადალახარა" (მექსიკა) - "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). პირველი მატჩი
22:00 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ლივერპული" - "ჩელსი". საპასუხო მატჩი
23:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:50 "საფეხბურთო კლუბი"

НТВ+ПЛЮС
10:00, 13:00, 16:00, 19:30, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ქალთა ნახევარფინალები
13:15 "მოტოვებული კვირა"
14:00 NBA-ს სკალათბურთო მიმოხილვა
14:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. ბრაზილია - რუსეთი
16:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:45 "ბილიარდის მეუფენი"
17:15 ტაილანდური კრივი
18:10 ცხენოსნობა. "The Oaks". პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". მიმოხილვები
22:25 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. იტალია - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ახალი ამბები
00:15 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. ბრაზილია - სერბეთი და მონტენეგრო

EUROSPORT
10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "თურქეთის რალი"
11:00 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურნიგის კლასში
11:30 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. პორტუგალია - კორეა
12:45 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. ინგლისი - ტუნისი
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ქალები. ნახევარფინალი
15:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი. ბაჰრეინი - იაპონია. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. საფრანგეთი - იაპონია
00:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი. სეზონის მიმოხილვა
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". მიმოხილვა
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "თურქეთის რალი"
02:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:15 ახალი ამბები

ფიგუს თავიდან იშორებენ

ნინო ტიკარაძე

ესპანურ გაზეთ "მარკას" ცნობით, მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ მსოფლიოსა და ევროპის ყოფილ საუკეთესო ფეხბურთელს, პორტუგალიელ ლუიშ ფიგუს სხვა კლუბებთან მოლაპარაკების უფლება მისცა. მიუხედავად იმისა, რომ "სამეფო კლუბთან" გაფორმებული კონტრაქტის ვადა კიდევ ერთ წელს ითვალისწინებს, ფიგუ გუნდში გაჩერებას აღარ აპირებს. მისი დარჩენა, როგორც ჩანს, არც კლუბის ხელმძღვანელობას უნდა.

დიდი ხანია საუბარია იმაზე, რომ მადრიდის "რეალის" პორტუგალიელი ნახევარმცველი კლუბიდან წასვლას აპირებს. იმასაც ამბობენ, რომ მისი გადაწყვეტილება ნებაყოფლობითი არ არის. მართალია, მსოფლიოსა და ევროპის ყოფილი საუკეთესო ფეხბურთელისთვის ძალა არავის დაუტანებია, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ისეთი პირობები შეუქმნეს, რომ ფიგუს "სამეფო კლუბიდან" წასვლა თავადვე გადაეწყვიტა. სეზონის ბოლოს, რომელშიც "რეალმა" ლიდერობა "ბარსელონას" დაუთმო, თანაც, ვერც სხვა ტურნირების მოგება შეძლო, 32 წლის ფეხბურთელს გუნდის მთავარ მწვრთნელთან ვანდერლეი ლუშემბურგოსთან გაუფუჭდა ურთიერთობა. შედეგად ის მოხდა, რომ მან ძირითადი შემადგენლობიდან სათადარიგო სკამზე გადაინაცვლა. რამდენიმე ხნის წინათ ფიგუმ საჯაროდ მოითხოვა ლუშემბურგოსგან ახსნა-განმარტება ასეთი დამოკიდებულობის გამო. იგი მწვრთნელს მიზეზების დასახელებას სთხოვდა.

"როგორ შეიძლება ფეხბურთელი ძირითადი შემადგენლობიდან ამოიღო ისე, რომ მას არაფერი უთხრა ამის შესახებ. ამან თავმოყვარეობა შემილახა. ჩემთვის არავის უთქვამს, რომ ჩემი თამაშის დონე ისეთი მაღალი აღარ არის, როგორიც ადრე იყო. უკმაყოფილო ვარ იმით, რაც ამჟამად ხდება მადრიდის "რეალში", - განაცხადა განაწყენებულმა ფიგუმ ესპანურ გამოცემა "მარკასთან" საუბრისას.

სხვათა შორის, სათადარიგო შემადგენლობაში გადასვლის შემდეგ ფეხბურთელმა პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო: "ეროვნულ ნაკრებზე იმიტომ ვთქვი უარი, რომ მინდოდა, მარტო "რეალის" მატჩებზე მეფიქრა, მთელი ყურადღება მხოლოდ მათზე გადამეტანა. ახლა კი რადგან თამაში, ფაქტობრივად, აღარ მიწევს, მზად ვარ, ნაკრებში დავბრუნდე", - რამდენიმე ხნით ადრე თქვა ფეხბურთელმა.

როგორც ჩანს, ლუიშ ფიგუს კლუბის შეცვლა მოუწევს.

შეგახსენებთ, ფიგუმ ეროვნული ნაკრებიდან წამოსვლის გადაწყვეტილება 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მიიღო.

"რეალის" სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ იტალიურ რადიოსადგურ "პუნტოსთან" საუბრისას აღიარა, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელის მომავალი მადრიდის კლუბში ბუნდოვანია: "მე არ ვიცი, დარჩება თუ არა ფიგუ "სამეფო კლუბში". მის კონტრაქტს ჯერ კიდევ არ გასვლია ვადა. იმედი მაქვს, არსად წავა, რადგან ის დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ვფიქრობ, მისი მომავალი უფრო მეტადაა დამოკიდებული მასზე, ვიდრე ჩვენზე".

ფიგუ კი მაინც კონკრეტულ პასუხს ელოდა კითხვაზე: თუ მასთან მუშაობა აღარ უნდოდათ, პირდაპირ ეთქვათ და ისიც ახალი კლუბის ძებნას დაიწყებდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ხელმძღვანელები დუმდნენ. თუმცა, ორი დღის წინათ, ბოლოს და ბოლოს, მათ ფიგუს სხვა კლუბებთან მოლაპარაკების დაწყების უფლება მისცეს.

პორტუგალიელი ფეხბურთელის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს "ტოტენჰემი", რომელიც "ევერტონისთვის" საიმონ დევისის მიყიდვის შემდეგ მის შემცვლელს ეძებს მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე. "როიტერსის" ცნობით, ლუიშ ფიგუს შეძენა იტალიურ კლუბს "ინტერსაც" სურს. სხვათა შორის, ამ იტალიურ კლუბს "რეალის" სხვა ფეხბურთელებზეც - სანტიაგო სოლარისა და ვალტერ სამუელზეც უჭირავს თვალი.

შეგახსენებთ, ლუიშ ფიგუ 2000 წელს გადავიდა "რეალში" "სამეფო კლუბის" შეურიგებელი მოწინააღმდეგე გუნდიდან "ბარსელონადან". მისი ტრანსფერი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური გახდა, როცა მადრიდის "რეალის" ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ფეხბურთელში იმ დროს რეკორდული თანხა გადაიხადა - 56 მილიონი დოლარი (37 მილიონი გირვანქა სტერლინგი).

ლუიშ ფიგუ პირველივე სეზონზე დაეხმარა გუნდს ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში. 2002 წელს მან "სამეფო კლუბთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, მომდევნო წელს მადრიდის "რეალი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა. გუნდის ყველა ამ გამარჯვებაში პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ლიდერმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ვერისბაღელებში მიხო ნანეიშვილის ნაამბობი

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

დღევანდელ სტუმარს მიხეილ ნანეიშვილს მისსავე სახლში ვესაუბრეთ. მოხდა ისე, რომ ამჯერად მეორე რესპონდენტი არ გვყავდა და, ორი ვერისბაღელის დიალოგის ნაცვლად, ერთი კაცის ნაამბობი გამოგვივიდა, თუმცა - ძალიან საინტერესო:

"ვერის ბაღი ჩემი სახლის გვერდითაა და იქ ხშირად გვიან ღამითაც ჩავდიოდი. წელს ზუსტად ვერ დავასახელებ, როდიდან დაიწყო პირველად იქ ეს შეკრებები, მაგრამ 1958 წელი კარგად მახსოვს - ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონობა რომ მოიპოვა. მახსოვს, ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რა თქმა უნდა, როგორც ფეხბურთში მომხდარმა დიდმა მოვლენამ, მაგრამ ეს იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ პირველად მაშინ შევიგრძენით მთელი სიმძაფრით ჩვენი იზოლირებულობა - თურმე მსოფლიოში არსებობს ასეთი დიდი საფეხბურთო ქვეყანა, სადაც ასეთი რანგის "გროსმაისტერები" თამაშობენ და ჩვენ ამის შესახებ, თითქმის არაფერი ვიცით.

ვერის ბაღი იყო სტიქიონურად ჩამოყალიბებული არაოფიციალური კლუბი, რომელიც ბუნებრივად შეიქმნა იმიტომ, რომ ადამიანებს უნდოდათ ერთმანეთთან შეხვედრა, თავისუფალ აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ამ სურვილით დაიწყეს შეკრება; ზოგისთვის ფეხბურთი, უბრალოდ, საბაბი იყო, ზოგიერთები კი პროფესიონალი გულშემატკივრები გახლდნენ. ყოველ შემთხვევაში, ბაღში ის ადამიანები დადიოდნენ (ყველას ჩამოთვლა ძნელია), რომლებიც კულტურაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში იმ დროს მოქმედ ძალას წარმოადგენდნენ და სულაც არ იყვნენ მარგინალურნი. ერთი სიტყვით, ეს იყო არა თავსმოხვეული, არამედ სრულიად ბუნებრივი კლუბი ღია ცის ქვეშ. მსოფლიო ჩემპიონატი ან რაიმე ღირსშესანიშნავი საფეხბურთო მოვლენა თუ ხდებოდა, რა თქმა უნდა, ბაღშიც საუბრის ძირითადი თემა ფეხბურთი იყო. გულშემატკივრები ჯგუფებად იყვნენ დაყოფილები - ზოგი ბრაზილიას უჭერდა მხარს, ზოგი - არგენტინას, ზოგს ინგლისური ფეხბურთი მოსწონდა. უნდა გითხრათ, რომ ძალიან ხშირად ამა თუ იმ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებისადმი სიმპათია განპირობებული იყო იმ ქვეყნის კულტურისადმი სიმპათით - მაგალითად, ვინმე გერმანული კულტურის თაყვანისმცემელი თუ იყო, ფეხბურთშიც გერმანიის ნაკრებს გულშემატკივრობდა.მე ბრაზილიური ფეხბურთი მომწონდა; სამწუხაროდ, ბრაზილიურ კულტურაზე საკმაოდ ზერელე წარმოდგენა მაქვს; გარდა ამისა, თავისთავად, შემიძლია დავუშვა, რომ ბრაზილიური კულტურა არ არის იმ რანგის, როგორც გერმანული, მაგრამ მე ვფიქრობდი, რომ ამ ხალხის ეროვნული გენია ამ თამაშში ყველაზე კარგად გამოიხატა.

მაგრამ, მე სხვა რამის აღნიშვნა მინდა - ეს ძალიან საინტერესო იყო, ახლა რომ ვიხსენებ; ვიღაცა ანგლოფილი იყო და ამიტომ მსჯელობისას საუბარი ფეხბურთიდან ინგლისურ კულტურაზე გადადიოდა. ჯუნა მიქატაძე მოქანდაკე იყო და, რასაკვირველია - იტალიის თაყვანისმცემელი. ასე რომ, ბაღში სასაუბრო თემა მხოლოდ ფეხბურთით არასოდეს ამოიწურებოდა; რადგან პოლიტიკა კულტურის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია, ბუნებრივია, ვერც ამ საკითხს ავცდებოდით. ხანდახან ფილოსოფიასაც ვეხებოდით - მაგალითად, რას ამბობს რომელიმე ფილოსოფოსი ამა თუ იმ ქვეყნის კულტურის შესახებ და სხვა... ერთი სიტყვით, ბაღში ფეხბურთის თემა ისე იყო - ქვას რომ წყალში ჩააგდებ და გარშემო უამრავი წრე ჩნდება; ანუ ფეხბურთისადმი ინტერესი იყო ძალიან კონკრეტული რამ, რომელში და რომლის მიღმაც უფრო ფართო ინტერესები და სულის წყურვილი იმალებოდა.

თემატიკაც მრავალფეროვანი იყო - მაგალითად, ერთხელ რატომღაც ენათმეცნიერებაზე იყო საუბარი და, ვინაიდან თამაზ გამყრელიძეც იქ იმყოფებოდა, ბუნებრივია, სადავო საკითხის განმარტებაც მას ვთხოვეთ. ასე რომ, ეს იყო იმ პირობებში ბუნებრივად ჩამოყალიბებული კლუბი ღია ცის ქვეშ, რომელსაც აშკარად ჰქონდა პოლიტიკური ელფერი. მართალია, პოლიტიკა ფართო კულტურული ინტერესების კონტექსტში განიხილებოდა, თუმცა თავად ეს პოლიტიკური ინტერესიც ძალიან მნიშვნელოვანი და მწვავე იყო. მინდა, გავიხსენო ჩეხოსლოვაკიის ამბები - როდესაც რუსები ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ. მე მთელი დღე რადიოს ვუსმენდი და ინფორმაციას ვიღებდი, საღამოს კი ბაღში ჩავდიოდი, ზოგს ტრანზისტორი ბაღში ჰქონდა მოტანილი და იწყებოდა მსჯელობა, ღია საუბარი, რომლის დროსაც ყველა იქ მყოფი დაუფარავად გამოხატავდა, რომ მთელი სულით და გულით ჩეხებს და სლოვაკებს ემხრობოდნენ. მათ გულშემატკივრობდნენ. ამას განსაკუთრებულად იმიტომ აღვნიშნავ, რომ მაშინ კომუნისტური რეჟიმი იყო - ბუნებრივია, ფარულ კონტროლსა და თვალ-ყურის დევნებას არც ჩვენს ბაღს მოაკლებდნენ. რა თქმა უნდა, აგენტები ბაღშიც დადიოდნენ; რაც მთავარია, ვიცოდით, ვინც იყვნენ, მაგრამ საოცარი ის არის, რომ არც ერთი ჩვენგანი სუკაში არ დაუბარებიათ. ეტყობა, საქართველო, ამ მხრივ, სხვა რესპუბლიკებისგან მაინც განსხვავდებოდა - ეს აუცილებლად უნდა ითქვას. არ ვიცი, ადგილობრივი ხელისუფლება შემწყნარებლურად უყურებდა ამ ყველაფერს, თუ უფრო მეტად ფრთხილობდნენ და ამის გახმაურება არ უნდოდათ, ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, ქართველების ეროვნულ ხასიათს გარკვეული ანგარიში ეწეოდა. საერთოდ, ერის კულტურა, ერის ხასიათი, რა რეჟიმიც უნდა იყოს, მაინც თავისებურად იჩენს თავს და სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამოვლინება იყო ამ ბაღის არსებობაც. მე, ამ ყველაფერის შემხედვარეს, მაინც გადაჭარბებული იმედი მქონია ჩვენი საზოგადოების. თუმცა, ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, უცხოელი პოლიტოლოგებიც გამორჩეულ რესპუბლიკად თვლიდნენ - ანუ მიაჩნდათ, რომ ასეთი თვითმყოფადი და ღრმა კულტურული ფესვების მქონე ერისთვის შეურიგებლობა კომუნისტურ რეჟიმთან ან იმპერიის შემადგენლობაში ყოფნასთან სრულიად ბუნებრივია.

სწორედ ეს ვლინდებოდა ბაღის შეკრებებისას - არ გეგონოთ, რომ მუშტების ქნევას ან დორბლმორეულ ყვირილს ვგულისხმობდე; შეიძლება მუშტები აქნიო, მაგრამ კულტურული რესურსი არ მოგდგამდეს. უბრალოდ, აქ აბსოლუტურად მშვიდ მსჯელობაშიც კარგად ჩანდა, რომ ამ ხალხისათვის სრულიად მიუღებელია კომუნიზმი და, საერთოდ, რუსული სახელმწიფო.

ყვირილსა და მუშტის ქნევაზე გამახსენდა - სხვათა შორის, წინათ საქართველოში ეს სტადიონზეც არ ხდებოდა. ცნობილია, რომ, საერთოდ, მასობრივი თავშეყრის ადგილებში, მათ შორის სტადიონზეც, ყველაზე კარგად ვლინდება ეროვნული გრძნობის ცხოველმყოფელობა. წინათ თბილისის სტადიონზე თამაშის მსვლელობისას მართლაც ბუზის გაფრენას გაიგონებდით - იყო საშინელი სიჩუმე; ადამიანები, რომლებიც დაძაბულად ადევნებენ თვალს თამაშს; ლამის, სუნთქვა ისმოდა. რა თქმა უნდა, ბურთს თუ გაიტანდნენ, ჟრიამული ტყდებოდა, თუ ჩვენ გაგვიტანდნენ ხვნეშა ისმოდა, მაგრამ თამაშის განმავლობაში იყო მხოლოდ დაძაბული სიჩუმე. ამასთან დაკავშირებით მინდა, გიამბოთ სამი ამერიკელი ფსიქოლოგის შთაბეჭდილება, რომლებიც იმდროინდელი თბილისის სტადიონზე ფეხბურთის მატჩს დასწრებიან და თამაშის მერე უთქვამთ, - როგორც ჩანს, თქვენ რაღაც განსაკუთრებული სულიერი წყობის ხალხი ხართ იმიტომ, რომ ჩვენ მთელი მატჩის განმავლობაში საგანგებოდ ვაკვირდებოდით გულშემატკივართა სახეებს და არასოდეს გვინახავს მაყურებელი, რომელიც ასე ჩუმად, ასეთი დაძაბული, შინაგანი განცდით შესცქერის თამაშსო. მართლაც, ალბათ, როდესაც რაიმეს გულისფანცქალით უყურებ, იქ შეუძლებელია, იყვირო ან იხმაურო ან დოლზე აბრახუნო. ახლა მე სხვების ტრადიციას კი არ ვაკრიტიკებ, უბრალოდ, ვიხსენებ, ჩვენთვის რა იყო უფრო ბუნებრივი; მერე გაჩნდა მოდა. მგონი, ჩვენი სტადიონი დღესაც არაა ისეთი ხმაურიანი, როგორც ევროპაში. ყოველ შემთხვევაში, ევროპელები ცხვირს ძალიანაც ნუ აიპრუხენ, გაიხსენონ საკუთარი სტადიონები. ისე კი, სამწუხაროდ, კომუნისტური დროის საზოგადოება უფრო კულტურული ყოფილა, ვიდრე - დღევანდელი. არადა, მე ვფიქრობდი, კულტურული ძალები რომ გათავისუფლებოდნენ, უფრო ფართო სარბიელს ნახავდნენ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ახლა საზოგადოების დიდი ნაწილი ბარბაროსულ მდგომარეობაშია.

სახელი _____ მისამართი

გვარი _____

ასაკი _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

სიმაღლე _____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჭკანალი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა_____ თარიღი_____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსპორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაეშვათ "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგეკითხებით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებაბახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მონების სურვილი.

გმობთ შეაცოცხლოთ გარკვეული გლენკი შუბანა

სანდრეთელ კოლეგას "რუსთავი 2" არ ვიცნობთ, ვისმენთ, მოწონებს, მოწონებს და არა მოწონებულა. ინტელექტუალური გამოცდილებით "სუსტი რგოლი". ეთანხმებით ინტერესებით, ინტელექტუალური გამოცდილებით. კონკურენციაში. ეს ანკეტის შევსებით ეხლავე ინტელექტუალური გამოცდილებით "სუსტი რგოლი" ნებისმიერ და ინტერესით.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სანდრეთელ კოლეგა "რუსთავი 2" / ინტელექტუალური გამოცდილებით "სუსტი რგოლი" / ვაჟა-ფშაველას ქ., #177 (ბინა#10)

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოგეხმაურებით უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ქვემოთ აღნიშნულ ორ ლოტად დაყოფილ საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი-1: ოქტომბერი-ჭიკაანი-გავაზას საავტომობილო გზის კმ.1-კმ.12.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი-2: სოფელ მთისძირთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ.1-კმ.4.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - ლოტების მიხედვით მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სავარაუდოდ: 2005-2006წწ)

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 20 ივნისის 1000 საათიდან 2005 წლის 21 ივნისის 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

ე) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ავტოგრეიდერი სამუალო	1
2	ასფალტმადნები	1
3	ავტოგუდრონატორი 7000 ლ	1
4	ამწე ტვირთამწეობით 5 ტ	1
5	ამწე ტვირთამწეობით 10 ტ	1
6	კომპრესორი მოძრავი	1
7	სანგრევი ჩაქუჩები	2
8	პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ	1
9	სატკეპნი გლუვგლიანი 11-18 ტ	1
10	ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³	1
11	საგზაო ფრეზი	1
12	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ	1
13	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ	1
14	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 10 ტ	10
15	ავტობეტონსარევი	1
16	ქვის წერილსანის გასანაწილებელი	1
17	საბურღ-ამწე მანქანა	1
18	ნიშნისდები მანქანა	1
19	სარწყავ-სარეცხი მანქანა	1

- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ავტოგრეიდერი საშუალო 79 ცხ.ძალ.	1
2	ასფალტმადნების დამგები	1
3	ავტოგუდრონატორი 7000 ლ	1
4	ამწე კრანი 3 ტ.	1
5	ბულდოზერი	1
6	კომპრესორი 5-6 მ³/წთ	2
7	სამტკეპნი ჩაქუჩები	4
8	სატკეპნი გლუვი 5 ტ. 10 ტ. 18 ტ	3
9	ექსკავატორი 0.25 მ³	1
10	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ	1
11	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 8-10 ტ	5
12	ქვის წერილსანის გამანაწილებელი	1
13	ბიტუმის გამავრცელებელი ურმები	1
14	მოსარწყავი მანქანა 6000 ლ	1
15	მარკირების მანქანა	1

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მფლობელობა (ახალი, ნახმარი, მოქველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1					
2					
და ა.შ.					

- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 28 ივნისის 1000 საათიდან 2005 წლის 29 ივნისის 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ, ასევე ორივე ლოტზე. ორივე ლოტზე შესაძლებელია, როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალ-ცალკე ლოტზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამა "ირმის ნახტომის" დაფინანსების ფარგლებში, თბილისისა და საქართველოს რეგიონების სკოლებისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენისა და ადგილებზე ინსტალაციის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

ლოტი N		შესყიდვის ობიექტი	რაოდენობა
1	1.1	კომპიუტერი	1200
	1.2	უწყვეტი კვების წყარო (UPS)	1200
	1.3	ლაზერული პრინტერი	66
2		მონაცემთა პროექტორი	32
3		ციფრული ფოტოაპარატი	32

დეტალური ინფორმაცია შესყიდვის ობიექტების შესახებ ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. აღნიშნული ტექნიკა მიწოდებულ-დამონტაჟებული უნდა იყოს დანიშნულების ადგილებზე 2005 წლის 10 სექტემბრიდან 30 ნოემბერის ჩათვლით.

მიწოდების ადგილი: საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სკოლები (სკოლების რაოდენობები ქალაქების მიხედვით ჩამოთვლილი იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში).

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ივნისის 10 საათიდან 24 ივნისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი 222, სატენდერო კომისიის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ და წესდების ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს;

ბ) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

დ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობას საგადასახადო სამსახურიდან საბიუჯეტო ვალდებულებების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 27 ივნისს.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების გაგზავნის დღიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი 222, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

9. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი 222, ტელ.: 95-65-91, სატენდერო კომისიის აპარატი. ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე, განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.mes.gov.ge).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს, 72600 ლიტრი (*მათ შორის: სუპერი, ოქტანობის რიცხვი არანაკლებ 98 - 3000 ლიტრი; პრემიუმი, ოქტანობის რიცხვი არანაკლებ 95 - 30500 ლიტრი* და *რეგულარი, ოქტანობის რიცხვი არანაკლებ 91 - 39100 ლიტრი*), მაღალი ხარისხის, ევროსტანდარტის შესაბამისი საავტომობილო ბენზინის შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. პროდუქციის მიწოდება განხორციელდება 2005 წლის 31 დეკემბრამდე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 20-დან 21 ივნისის 18 საათამდე. მისამართი: თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ტელ/ფაქსი: 28-46-27

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ინფორმაცია ბენზინგასამართი ქსელის შესახებ (მისამართების მითითებით).

4.2. ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრობის საქმის წარმოება;

დ) ინფორმაცია ბენზინგასამართი ქსელის შესახებ (მისამართების მითითებით).

5. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 29-დან 30 ივნისამდე, მისამართზე: თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. 4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, მისამართზე: თბილისი. შიო ჩიტაძის ქ. 6, ტელ/ფაქსი: 284627.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისია

Четверг 8.06

Сегодня

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Том Хэнкс в остросюжетном фильме **«АПОЛЛО - 13». 12.20** Михаил Горбачев в программе **«ВЛАДИМИР ДУБРОВСКИЙ». 14.10** Специрепортаж. "Великий цыклоп". **15.20** "Удивительное путешествие Нильса Хольгерсона". **16.20** Мультфильм. **17.00** "Сегодня". **17.25** Сериал "Тот Грей" **18.20** Михаил Горбачев в сериале **«АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 19.40** Анатолий Сонин в программе **«ВЕРСИИ". 20.40** Сериал **«ТАМБОВСКАЯ ВОЛЧИЦА". 21.40** Мелодрама **«СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.40** Сериал "Пришлые". **00.40** Ночной экспресс.

Спорт

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Многосерийный фильм **«ВЕРЕВКА ИЗ ПЕСКА". 10.30** Сериал **«ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 11.30** Дилетант на диване. Ирина Дорофеева в фильме **«ЧАО КОРО БОЛ ПОШЛЕТ" 12.30** Сериал **«ТАМБОВСКАЯ ВОЛЧИЦА". 13.30** Сериал **«ЛИНИЯ СМЕРТИ" 14.30** Сериал **«ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 15.30** Многосерийный фильм **«ВЕРЕВКА ИЗ ПЕСКА". 16.30** Сериал **«АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 17.30** Многосерийный фильм **«ЛИНИЯ СУДЬБЫ". 18.30** Сериал **«ТАМБОВСКАЯ ВОЛЧИЦА". 19.30** Многосерийный фильм **«ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 20.30** Сериал **«ТАМБОВСКАЯ ВОЛЧИЦА". 21.30** Многосерийный фильм **«ЛИНИЯ СМЕРТИ" 22.30** Сериал **«ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 23.30** Многосерийный фильм **«ВЕРЕВКА ИЗ ПЕСКА". 00.30

ვილა, რომელშიც "მოხუცი და ზღვა" დაიწერა, საფრთხეშია

ისტორიული ძეგლების დაცვის ნაციონალური ფონდი (National Trust for Historic Preservation) - ეს ის ფონდია, რომელიც ყოველწლიურად ადგენს საფრთხის წინაშე მდგომი ძეგლების ნუსხას და მათი დაცვისთვის მოიძიებს თანხებს.

ხსენებულ ნუსხაში წელს პირველად მოხვდა ადგილი აშშ-ს საზღვრებს გარეთ. ეს ერნესტ ჰემინგუეის საყვარელი სახლია კუბაში, რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. არადა, ძალიან დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ უყოყმანოდ მიიქცია ფონდის დირექტორატის ყურადღება.

"მიუხედავად იმისა, რომ სახლი ჩვენს საზღვრებს მიღმა დგას, ის მაინც ამერიკულ კულტურულ მემკვიდრეობად განიხილება. ჰემინგუეი ისეთი დიდი ფიგურაა არა მხოლოდ ამერიკელთათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, რომ მისი ქონება ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას და დაცვას", - აცხადებს ფონდის დირექტორი რიჩარდ მო.

მწერლის სახლი ჰავანის აღმოსავლეთით, გორაკის წვერზე დგას. უძრავი ქონება 9 აკრზეა გადაჭიმული, ახლა მუზეუმადაა ქცეული და ჰემინგუეის წიგნებსა და ხელნაწერებს იტევს.

"ფინკა ვიჯია" (Finca Vigia) - ასე ჰქვია ვილას, რომელშიც ჰემინგუეი 1939-1960 წლებში ცხოვრობდა. სწორედ იქ დაწერა მან "მოხუცი და ზღვა", რომელმაც ჯერ პულიცერის პრიზი, შემდეგ კი ლიტერატურაში ნობელის პრემიაც მოუტანა. ვილა ჰემინგუეის მართლაც განსაკუთრებით უყვარდა. იქვე მასპინძლობდა მსოფლიო დონის ვარსკვლავებს, მათ შორის ავა გარდნერსა და გარი კუპერს. მწერლის გარდაცვალების შემდეგ (1961 წ.) სახლი კუბელ ხალხს გადაეცა, მაგრამ კუბის ტროპიკულმა კლიმატმა და ქარიშხლებმა შენობა საგრძნობლად დააზიანა. ამიტომაც გამოაცხადა ის ისტორიულ ძეგლთა დაცვის ფონდმა ერთ-ერთ ყველაზე საგანგაშო პუნქტად.

ჰემინგუეის ვილა

ამერიკის ხაზინამ ძეგლთა დაცვის ფონდს და ჰემინგუეის დაცვის ფონდს გადასცა (ცალ-ცალკე) სპეციალური ლიცენზია, რომლის თანახმადაც ისტორიულ უბანზე საგანგებო ჯგუფის მივლინება იქნება შესაძლებელი. ასეთი ბიუროკრატიული ჩარევა აუცილებელია იმ ემბარგოს გამო, რომლითაც ოფიციალური ვაშინგტონი კუბის მიმართ წლების მანძილზე მოქმედებს. საგულისხმოა ისიც, რომ წინა მცდელობაზე ბუშის ადმინისტრაციამ სახლის შეკეთების დაფინანსებაზე უარი თქვა, რადგან პროექტი კუბაზე ტურიზმის განვითარებას და ეკონომიკის აღორძინებას შეუწყობდა ხელს

რიჩარდ მოს ცნობით, სპეციალისტთა ჯგუფი კუბაში რამდენიმე დღეში ჩავა, თუმცა, ამერიკული ბიუროკრატიისგან ჯერაც არ მიუღიათ თანხმობა სახლის აღსადგენად საგანგებო ფონდის შექმნაზე.

ერნესტ ჰემინგუეი

არადა, ჰემინგუეის სახლი-მუზეუმი მართლაც საფრთხის წინაშე დგას. კუბელები თავიანთი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით ძალისხმევას არ აკლებდნენ სახლის აღდგენას, თუმცა, დრომ და ამინდმა მაინც თავისი გაიტანა. ასე რომ, განგაში გამოცხადებულია. დანარჩენი უკვე ბუშის ადმინისტრაციის გადასაწყვეტია.

რაც შეეხება ფონდის მიერ შედგენილ ნუსხას, მასში, ჰემინგუეის სახლის გარდა, სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებიც შედის. მაგალითად, ბერინგის ზღვაში ჩარეცხვა ემუქრება ჩრდილოეთ ალასკაზე კინგ აილენდს, რომელიც ინუპიატის ესკიმოსების ისტორიული სამოსახლო ადგილია და ამიტომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლად ითვლება. საფრთხის წინაშე დგას 175-მილის ფართობის მქონე ზოლი ვირჯინია-მერილენდი-პენსილვანიაში. არადა, ამ ზოლზე ასობით ისტორიული ადგილია. მათ შორისაა აშშ-ს ექვსი პრეზიდენტის სახლი, აფრო-ამერიკელთა ისტორიული ძეგლები, ამერიკის სამოქალაქო ომის დროინდელი გზები და მდინარეები.

სულ ნუსხაში 11 ადგილია მინიშნებული. რიჩარდ მო აპირებს, თითოეული მათგანის დასაცავად ძალისხმევა არ დაიშუროს.

EMPIRE-ის სია

ბრიტანულმა ჟურნალმა 10 საუკეთესო რეჟისორის სია გამოაქვეყნა

დიდი ბრიტანეთის ყველაზე პოპულარულ კინოჟურნალ Empire-ის მკითხველში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად სტივენ სპილბერგი ყველა დროის საუკეთესო კინორეჟისორად დასახელდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სპილბერგი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მხოლოდ ფინანსურად მომგებიან ფილმებს ქმნიდა, მისი წარმატება გასაკვირი არ უნდა იყოს. ფინანსურ მოგებას კი, ცხადია, სპილბერგის კინოს განსაკუთრებულობაც განაპირობებს. იგი იმ რეჟისორთაგანია, რომლის ფილმების ყურებისას არავის დაეძინება.

სტივენ სპილბერგს ჟურნალის 12 ათასმა მკითხველმა მისცა ხმა.

სპილბერგი კინემატოგრაფით ბავშვობიდან დაინტერესდა. 12 წლის ასაკში პირველი პრიზი მიიღო ომის თემაზე გადაღებული ფილმისთვის "გაქცევა არსად". პირველი პროფესიონალური მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ემბლინი" (სწორედ ეს სახელი ჰქვია მის კინოსტუდიას) იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ Universal Pictures-მა კონტრაქტიც დაუდო.

ჟურნალის რედაქციის მონაწერში ნათქვამია, რომ სპილბერგის პოპულარობა "ბითლზისას" უტოლდება და კულტურულ ფენომენადაცაა აღიარებული. ამ წოდებას რეჟისორი ალალად იმსახურებს, რადგან მისი ფანტაზიის არეალი პრაქტიკულად შეუზღუდავია. იგი ერთნაირი წარმატებით იღებს ფილმებს უცხოპლანეტელების, ზვიგენების, არქეოლოგებისა და ისტორიული მოვლენების შესახებ.

სტივენ სპილბერგი

სიაში მეორე ადგილი კინოს ლეგენდას და "სასპენსის"ჟანრის ფუძემდებელს ალფრედ ჰიჩკოკს მიაკუთვნეს. როგორც ჩანს, 25 წლის წინ გარდაცვლილი რეჟისორი დღემდე იმდენად პოპულარულია, რომ ცოცხალ მარტინ სკორსეზეზე მეტი ხმა მიიღო. ეს უკანასკნელი მესამე ადგილზე აღმოჩნდა, რაშიც, ცხადია, მის მიერ გადაღებული გენიალური ფილმები დაეხმარა. მით უმეტეს, რომ სკორსეზეს უკანასკნელი ნამუშევარი "ავიატორი" წლის ერთ-ერთ მოვლენად აღიარეს.

სკორსეზეს მეორე ლეგენდა - სტენლი კუბრიკი მოსდევს. ეს რეჟისორი "სპარტაკის" შემდეგ იქცა ლეგენდად და "ფართოდ დახუჭული თვალების" გადაღების შემდეგ სამუდამოდ შეივიდა კინოს ისტორიაში. სამწუხაროა, რომ "კოსმოსური ოდისეა: 2001"-ის რეჟისორი მხოლოდ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. ალბათ, ჯობს, გარდაცვლილი რეჟისორების რეიტინგი ცალკე შეადგინონ.

მეხუთე ადგილი რიდლი სკოტს ერგო, ხოლო იაპონური კინოს ლეგენდა აკირა კუროსავა სიაში მის შემდეგ წერია. კუროსავა ერთადერთი არაინგლისელი და არაამერიკელი რეჟისორია, ვინც ამ გამოკითხვის საუკეთესო ათეულში შევიდა.

საკუთარი ადგილი გამოკითხვაში "ბეჭდების მბრძანებლის" რეჟისორმა პიტერ ჯექსონმაც იპოვა. მას ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფილმი (თუმცა, სამი სერია) აქვს გადაღებული და უკვე ასეთი გრანდების გვერდით მეშვიდე ნომრად მოიხსენიებენ. ამჟამად "კინგ კონგის" გადაღებას ამთავრებს. ხომ წარმოგიდგენიათ, ამ ფილმის გამოსვლის შემდეგ რა პატივი ელის!

საკულტო ფილმების საკულტო რეჟისორმა კვენტინ ტარანტინომ მხოლოდ მერვე პოზიცია დაიკავა. ცოტა ხნის წინ მან აღნიშნა, რომ ფილმებს კიდევ 15 წლის განმავლობაში გადაიღებს, შემდეგ კი თეატრის მენეჯერობას დაიწყებს.

კინოს ისტორიაში საუკეთესო ფილმად აღიარებული "მოქალაქე კეინის" რეჟისორი, სცენარის ავტორი და მთავარი როლაის შემსრულებელი ორსონ უელსი რიგით მეცხრეა (სამაგიეროდ, მისი ფილმი ყოველთვის პირველია).

ათეულს თავისი მოკრძალებულობით ცნობილი ვუდი ალენი ამთავრებს.

კაილი მინოუგის საკონცერტო ტურნე გადაიდო

კაილი მინოუგი

მელბურნის კლინიკაში მომღერალ კაილი მინოუგისთვის, რომელმაც ახლახან მკერდის ოპერაცია გადაიტანა, კარდიოლოგიური განყოფილების 18 პალატიდან რვა გამოათავისუფლეს. რამდენიმე ხანდაზმული პაციენტი ადგილის გარეშე დარჩა. ექიმები იძულებული გახდნენ, ისინი სხვა ოთახებში გადაეყვანათ.

როგორც ჩანს, ამ ყველაზე მყუდრო და შედარებით მშვიდ განყოფილებაში მომღერალმა ოპერაციის შემდეგ სპეციალური თერაპია უნდა გაიაროს. რამდენიმე პალატაში კაილის ნათესავები და მეგობრები განთავსდებიან.

ერთ-ერთი ექიმის თქმით (ვინაობა არ სახელდება), ის ამ ინციდენტმა ძალიან გააკვირვა, რადგან ერთი ადამიანის მიზეზით ამდენი პალატის გათავისუფლება საავადმყოფოს წესებს ეწინააღმდეგება. "რამდენიმე ადამიანი სერიოზულად შეწუხდა. მართლაც გავოგნდი, როცა შევიტყვე, რომ ერთ ადამიანს, რომელსაც, სხვათა შორის, არანაირი კარდიოლოგიური დაავადება არა აქვს, რვა პალატა დაუთმეს," - აღნიშნა მან.

კლინიკის სხვა თანამშრომელი - ჯეკ მაიერსი კი აცხადებს, რომ სხვა ოთახებში გადასვლისას არც ერთი პაციენტი არ შეწუხებულა.

კაილი მინოუგს მკერდის კიბოს დიაგნოზი 17 მაისს დაუსვეს. რამდენიმე დღეში დაუნიშნეს ოპერაცია, რომლის დეტალები არ გახმაურებულა. ცნობილია, რომ მას მკერდის ლოკალური ოპერაცია გაუკეთდა.

ოპერაცია წარმატებით დასრულდა. ახლა მომღერალს სწრაფი გამოჯანსაღების შანსი აქვს. მომავალში მას რადიოთერაპიის კურსის გავლაც მოუწევს. როგორც ამბობენ, რადიოთერაპიის შედეგები ორგანიზმს ნაკლებად აზიანებს, ვიდრე ქიმიოთერაპია.

ასე რომ, მომღერლის საკონცერტო ტურნე უვადოდ გადაიდო. შეგახსენებთ, რომ მინოუგი ავსტრალიის, სინგაპურისა და ჰონკონგის რამდენიმე დიდ ქალაქში კონცერტის გამართვას გეგმავდა.

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE
შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:
- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.
მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
აცხადებს ვაკანსიას
თარჯიმნის თანამდებობაზე
თარჯიმანს მოეთხოვება ინგლისური, რუსული და ქართული ენების საფუძვლიანი ცოდნა.
თვიური ანაზღაურება - 490 ლ.
მსურველებს ვთხოვთ, განცხადება და CV თავად მოგვაწოდონ ეროვნულ კინოცენტრში
2005 წლის 10 ივნისის 17:00 საათამდე
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, მე-2 სართულზე,
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4, ტელ/ფაქსი: 984201.

მეუღლე ბელა დონდუა, შვილები დათო, კახა, ეკა ჩხეიძეები, რძლები ფატი შარაშენიძე, ნინო მესხი, სიძეები კახა ჯამბურია, რუსლან აბაშიძე, შვილიშვილები თაკო, ტასო, დათო, ნიკა, საბა, ნინუცა ჩხეიძეები, გიორგი, სანდრო ჯამბურიები, შვილთაშვილი სერგი აბაშიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კიმი (კუკური) ივანეს ძე ჩხეიძე

პანაშვიდი 2,3 ივნისს, 17 სთ-ზე
მის: აბასთუმნის I კორპ. I სად. ბინა 3
გამოსვენება 4 ივნისს, 15 სთ-ზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ტაძრიდან.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24